

კ 229913
3




იოანე ბაგრატიონი

საქართველო
 მხარეთა
 მთავართა
 აზნაურთა



გვარებიანი




წინათქმა

ქართველთა ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნის იოანე ბატონიონის - იოანე ბატონიშვილის (1768-1830) გენეალოგიური („ნათესავთმეტყველური“) შრომა „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ დაწერილა საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ მეფობის გაუქმების შემდეგ და მისი შექმნის სავარაუდოდ დროა XIX საუკუნის პირველი ათწლეული, მაგრამ არაუადრეს 1803 წლისა, როგორც ეს თვით ამ ნაშრომიდან ჩანს. იოანე ბატონიშვილის მიერ, საოჯახო ნუსხებზე და სამეფო კარის არქივში დაცულ საბუთებზე დაყრდნობით, აღწერილია საქართველოს სამეფოს 88 თავადისა და 281 აზნაურის გვარის წარმოშობისა და გათავადება-გააზნაურების ისტორია. ამასთან, თავად-აზნაურების გვარების ისტორიის აღწერა ისეთი უანამიმდევრობით ხდება, რაც შეესაბამება ამა თუ იმ გვარის ტერიტორიულ განსახლებასა და მათ თავდაზნაურულ ხარისხს, რასაც განსახლვარავს გვარის სოციალური (სამეფო, საეკლესიო, საერისთაო, სათავადო დაქვემდებარებაში ყოფნა) და ეკონომიკური მდგომარეობა.

„შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ პირველად გამოქვეყნებული იქნა ილია ჭავჭავაძის მიერ 1884 წელს ჟურნალ „ივერიაში“, და როგორც თვით აღნიშნავს, მას ეს აღწერა ამოუწერია იმ ხელნაწერებიდან, „რომელნიც პროფესორს დ. ი. ჩუბინაშვილს ჰქონია თავის ბიბლიოთეკაში“.

ილია ჭავჭავაძის მიერ იოანე ბატონიშვილის ამ შრომის გამოქვეყნება შემთხვევითი არ არის. გასულია თითქმის საუკუნეზე მეტი რუსეთ-საქართველოს შორის „კეთილმოყვრული“ ხელშეკრულების - გეორგიევსკის ტრაქტატის - დადებიდან. ამ ხნის მანძილზე ვერ გამართლდა ქართველ თავად-აზნაურთა იმედები ამ ტრაქტატის ძალით მოეპოვებინათ დიდი იმპერიის არისტოკრატიის დარი უფლებები და პრივილეგიები, თუმცა მათ რუსეთის იმპერიის ერთგულ სამსახურში მრავალჯერ დაღვარეს სისხლი. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ კავკასიაში, და კერძოდ - საქართველოში, თავდაზნაურობა მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო და მათ, როგორც პრივილეგირებული წოდების, არსებობას საფუძველი სრულიად გამოაცალა.

გააუქმა რა მეფობა საქართველოში, რუსეთის იმპერიამ საფუძველიანად დაიწყო საქართველოში იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძალით რღვევა, რაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, სახეს გა-



ნსაზღვრავდა. ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის („პატონყმობის“) სახით დაფუძნებული იყო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ნიადაგზე და მრავალი საუკუნის მანძილზე განსაზღვრავდა სახელმწიფოში ადამიანთა შორის ზნეობრივ ურთიერთდამოკიდებულებას. რადგან ბატონყმურ ურთიერთობაში წამყვანი როლი თავადაზნაურობას ეკუთვნოდა, ბუნებრივია, რუსეთის იმპერია პირველად სწორედ მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განადგურებას შეუდგა.

ათეისტური აზროვნების ისტორიკოსთა შეხედულებით ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობა დაკავშირებულია ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის (კერძოდ, მონათმფლობელობის) შეცვლით მეორე სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციით (ფეოდალიზმით). სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების სახეს, მათი აზრით, განსაზღვრავს საწარმოო ურთიერთობები და ამ საწარმოო ურთიერთობებში წარმოშობილი კლასები. უფრო მეტიც, ასეთი მიდგომით, კაცობრიობის ისტორია განიხილება არა როგორც ერთიანი, მთლიანი სახის მქონე, საზოგადოდ ბატონყმური ურთიერთობის ბუნების მატარებელი, არამედ დანაწევრებული — „ძველი მსოფლიოს“ (ახ.წ. VI ს.-მდე), „შუა საუკუნეების“ (ახ.წ. V ს.-დან XVII ს.-ის შუა ხანებამდე) და „ახალი დროის“ (ახ.წ. XVII ს.-დან) ისტორიებად, რომელთა ერთმანეთისგან გამიჯვნა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების „რევოლუციური ურთიერთშენაცვლების“ პროცესების პერიოდიზაციით ხდება. კაცობრიობის ისტორიის ასეთნაირად დაყოფის აბსურდულობას დღევანდელი XX საუკუნის „დემოკრატიული“ სახეც კარგად გვიჩვენებს, რომელიც მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტურ-სოციალისტური ურთიერთობების საოცარ კონგლომერატს წარმოადგენს.

ათეისტურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში საქართველოს თავად-აზნაურობა, როგორც „ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის“ არსებობა არაუადრეს ახ.წ. V ს.-დან იწყება, თუმცა თვით ტერმინ „აზნაურის“ წარმოშობა ქართულ საისტორიო წყაროებში ძვ.წ. IV ს.-დან იწყება და უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში დატოვებულ იმ ათას რომაელ მხედარს, რომელნიც განუდგნენ ქართლის მმართველ აზონს და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ფარნავაზს მიემხრნენ.

საზოგადოდ, სარწმუნოებაზე დაფუძნებული ისტორია კაცობრიობის ბატონყმური ურთიერთობების წარმოშობას ბიბლიურ ნოეს უკავშირებს, რომელმაც თავის შვილებს სემს, იაფეთს და ქამს, მას შემდეგ რაც ამ უკა-




ნასკენელმა შეცოდა უფალს მამისადმი უპატივეცემულობის გამოხატვით, განუსაზღვრა ურთიერთდაქვემდებარება და უღირსი ქამის შთამომავალნი შექმნა „მორჩილად“ თავისი უფროსი ძმების სემის და იაფეთის შთამომავლობისა (აქ ჟურიგო არ იქნება გავიხსენოთ ქართულ სამართალში არსებული წესი, რომელსაც კარგად შემოუნახავს ბიბლიური წარსული კაცობრიობისა. ეს წესი მდგომარეობს უკანონო შვილის მიერ თავისი ძმებისადმი ყმობის უფლებაში (ვახტანგ VI სამართალი, მუხლი 110)). ამ ხანიდან იწყება ადამიანის, როგორც „ღვთის ხატად და სახედ ქმნილი“ არსების დამდაბლება, მისი თავისუფლების შეზღუდვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ წიალში იხსნება.

სწორედ კაცობრიობის ისტორიის ამ უძველეს ხანაში ჩნდება ადამიანთა ორი კატეგორია: ერთი მხრივ, ბატონები (თავისუფალი ადამიანები) და მეორე მხრივ, მათზე დამოკიდებული, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყმები (თავისუფლება შეზღუდული ადამიანები). შემდგომში, კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, კაცობრიობის არსებობის დასაწყისში მკვეთრად გამოჩნული ეს ორი კატეგორია ადამიანებისა, ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ადამიანთა განსხვავებული გენეტიკური წარმომავლობის (მიუხედავად ღვთის მიერ აკრძალვისა, სემის და იაფეთის შთამომავალნი ქორწინებაში შედიოდნენ ქამის შთამომავლობასთან) და საზოგადოებაში მათი განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მრავალსაფეხურიან საზოგადოებრივ იერარქიულ კიბედ დაიშალა და შექმნა ის რთული ადამიანური ურთიერთდამოკიდებულებები, რომელიც ასერიგად უშლის ხელს კაცობრიობას ჰუმანურ-პროგრესულ განვითარებაში.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანობის წიალშია შესაძლებელი და ამ სანუკვარ მიზანმდე მიღწევის ხელშემწყობ ფაქტორებს უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრავენ მართლმადიდებლობაში მყარად მდგომი სახელმწიფოები.

სამწუხაროდ, რუსეთი, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, როდესაც იმპერატორმა პეტრე I-1721 წლის ბრძანებით ეკლესია „იძულებულყო“ გაეთქვა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლო-აღსარება, გადაიქცა ერესში მყოფ ისეთ „მართლმადიდებლურ“ სახელმწიფოდ, რომელმაც არ იცის თანამოძმისა და მოყვასის დანდობა.

ასეთი სახელმწიფო ბუნებრივია ვერ შეურიგდებოდა ისეთი ქვეყნის არსებობას, საქართველოს სახით, სადაც ადამიანთა შორის ურთიერთო-



ბებს ქრისტიანული ზნეობა განსაზღვრავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის იმპერიამ თავისი დამანგრეველი ქმედება თავადაზნაურობის წინააღმდეგ მიმართა, მოითხოვა რა მათგან მათი წოდებების დამადასტურებელი სიგელები, ვითომდაც იმ პრივილეგიების მისაღებად, რაც მათ გეოგრაფიკის ტრაქტატის ძალით ეკუთვნოდათ.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში დაინიშნა ამა თუ იმ გვარის თავადაზნაურული ღირსების უფლების დამდგენი კომისია, რომელიც იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს (!) მიერ შედგენილი სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით ამტკიცებდა საქართველოს არისტოკრატიული საგვარეულოების სათავადო და სააზნაურო ხარისხს.

ეს პროცესი, რომელიც თოთქოსდა ქართველი თავადაზნაურობის სასიკეთოდ ხდებოდა, საქართველოს არისტოკრატიის ნამდვილ წამებად გადაიქცა.

1800 წლის კამერალური აღწერების მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 675.000 სულს ითვლიდა. ამ პერიოდისათვის თავადაზნაურობა მოსახლეობის 12%-ს (ე. ი. 80.000 სულს) შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავადაზნაურობის ასეთი დიდი რიცხვით შეედრებოდა საქართველოს პოლონეთი იყო, სადაც თავადაზნაურობა მოსახლეობის 8%-ს შეადგენდა. თავადაზნაურობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ამიტომაცაა, რომ ვახტანგ VI -ის სამართლით დიდებული თავადის სისხლი — 1536 თუმნად იყო შეფასებული, შუა თავადის სისხლი — 768 თუმნად, მესამე ხარისხის თავადის სისხლი — 348 თუმნად, გადიდებულის აზნაურის სისხლი — 192 თუმნად, შუა აზნაურის სისხლი — 96 თუმნად, ცალმოგვი აზნაურის სისხლი — 48 თუმნად, მსახურის სისხლი — 24 თუმნად, ხოლო გლეხის სისხლი კი — 12 თუმნად.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „ქვემოდან ზევით სისხლის ფასი იმიტომ იზრდება, რადგანაც ზემოდან ქვემოთ მეტი სისხლი იღვრება“. სწორედ, საჩუმუნოებისა და მამულისადმი ერთგულებითა და მათი დაცვისას დაღვრილი სისხლით ჰქონდა მოპოვებული ქართველ თავადაზნაურობას ის პრივილეგიები, რაც მეფის ან ეკლესიის მიერ ნაბოძები წყალობის სიგელით იყო განმტკიცებული.


დამოუკიდებლობის დაკარგვამდე სახელმწიფოს იდეოლოგიას განსაზღვრავდა მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მეფესთან ერთად წარმართავდა და არეგულირებდა ადამიანთა შორის ურთიერთობებს



ქვეყანაში და, როგორც ვახტანგ VI შენიშნავს, სახელმწიფოში მეფე იყო, „ხორცის ხელმწიფე“, ხოლო კათალიკოსი — „სულის ხელმწიფე“. თავადაზნაურობის დამამტკიცებელი სიგელები საქართველოში სწორედ მეფის ან კათალიკოსის მიერ გაიცემოდა დამსახურების მქონე პირზე და ის იწოდებოდა თავადად ან აზნაურად გარემოებისა მიხედვით, ხოლო მისი უფლებები ვრცელდებოდა მის ოჯახის წევრებზე, როგორც თავადიშვილებზე ანდა აზნაურიშვილებზე და მემკვიდრეობით გადადიოდა მათ შთამომავლობაზე.

იონანე ბატონიშვილის წინამდებარე შრომის გაცნობით მკითხველი დარწმუნდება, რომ ბევრ შემთხვევაში, ამა თუ იმ გვარის მიერ თავადაზნაურული წოდების მიღება საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ადრეულ, უძველეს პერიოდს განეკუთვნება. ბუნებრივია, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე საგვარეულო ნუსხები და სიგელები ნადგურდებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ., ცნობილია, რომ 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების დროს არაერთი გვარის აზნაურობის დამადასტურებელი სიგელი დაიკარგა). ძველი ქართული სამართლის შესანიშნავი მკოდნის ნიკო ხიზანიშვილის თქმით საქართველოში „ბატონყმობა, როგორც იურიდიული დაწესებულება, დაწესებული იყო ორს ძალაზედ, ერთს ძალას შეადგენდა დაწერილი კანონი, მეორეს — ჩვეულებრივი უფლება“. ამდენად, წყალობის სიგელის დაკარგვა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ამა თუ იმ გვარისთვის ტრაგედიად არ იქცეოდა, რადგან ტრადიციული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, მის უფლებებს სახელმწიფოში არავინ ლახავდა.

მას შემდეგ რაც გაუქმდა საქართველოში სამეფო კარი და ქართულ ეკლესიას წაართვეს დამოუკიდებლობა და ერესში მყოფ რუსულ „მრთლმადიდებულურ“ ეკლესიას დაუმორჩილეს, თავადაზნაურობას გაუჭირდა თავისი უფლებების დამცავი დოკუმენტების წარდგენა კომისიისთვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სათავადო და საეკლესიო აზნაურები, რომელთაც თავიანთი აზნაურობის დამადასტურებელი სიგელები ხელმეორედ უნდა მიეღოთ ამა თუ იმ თავადისა და ეპისკოპოსისაგან, რომელთა დაქვემდებარებაშიც ისინი ისტორიულად იმყოფებოდნენ. ერთი მხრივ იმიტომ რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიურობა წაართვეს და ქართულ ტაძრებში მასობრივად „მოკალათდა“ რუსი სამღვდელთა და მეორე მხრივ, კი იმიტომ, რომ ერეკლე II-ის პოლიტიკური წინდაუხედაობისა თუ სიბეცის გამო, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გაუქმდა საერისთავოები და დაკნინდა უმრავლესი სათავადო საქა-




რთველოში, უმეტესი სათავადრ და საეკლესიო აზნაურებისათვის მათი აზნაურობის დამამტკიცებელი საბუთების მოპოვება თითქმის შეუძლებელი გახდა. ამ გვარის წარმომადგენლებს რუსეთის იმპერიამ შესთავაზა სახაზინო გლახებად ჩაწერა, რამაც დიდი უკმაყოფილება დაბადა თავადაზნაურობაში.

თავადაზნაურობის შევიწროებას განაპირობებდა ისიც, რომ კომისია თავადაზნაურობის დამადასტურებელ სიგელს გასცემდა არა მთლიანად გვარზე, როგორც ეს იყო საზოგადოდ მიღებული საქართველოში, არამედ ცალკეულ იმ ოჯახებზე, სადაც შემორჩენილი იყო გვარის თავადაზნაურობის დამამტკიცებელი ან სხვა რაიმე მეფის წყალობის დამადასტურებელი სიგელი. ძველ საქართველოში მართალია ხდებოდა „დრო-ჟამის ვითარებიდან გამომდინარე“ ამა თუ იმ თავადაზნაურული შტოგვარის დაკნინება ეკონომიკურად, მაგრამ ეს არ იწვევდა ამ შტოს წარმომადგენლების, როგორც მხედრებისა და მეომრების ფუნქციის მოშლას. ასეთ დროს კი თავადაზნაურული ხარისხის დაუმტკიცებლობით გვარი მთლიანად კარგავდა თავის ფუნქციას და იმ უფლებებს, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო საშხედრო ხელოვნების დაუფლება.

იმპერიის კომისიის „მუშაობა“ თითქმის 60-იან წლებამდე გაგრძელდა და ამ ხანში ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის იმპერიამ ისე გართო თავისი პრივილეგიების მოპოვებაში, რომ მან მთლიანად თუ არა საკმაოდ დაკარგა თავისი მხედრული სახე. საქართველოს თავადაზნაურობას, რომელიც რუსი გენერლის ფადიევის აზრით მთელს კავკასიაში ყველაზე უფრო მამაცი და გამორჩეული მეომარი იყო, XIX ს.-ის 60-იან წლებში ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე შეეძლო 20 ბატალიონის (დაახლოებით 18000-20000 მეომრის) გამოყვანა ომში. იგივე ფადიევის თქმით ამ დროისათვის კავკასიაში მხოლოდ და მხოლოდ ქართველი თავადაზნაურობა იყო „იარაღახსნილი“; საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს მთელს კახეთში მოსახლეობამ თავდაცვის მიზნით რამდენიმე თოფი ძლივს მოიძია (ურთიგო არ იქნება აქ გავიხსენოთ, რომ ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძნების მიერ დაპყრობილ ქართლში, ქვეყნის მმართველ აზონს გამოუცია ბრძანება: „ყოველმან ქართველმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“ (!)).

რუსეთის იმპერიამ სხვა მხრივაც დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის რღვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ორგანიზმის სიჯანსაღეს საქართველოში განსაზღვრავდა ქრისტიანულ



ზნეობაზე დაფუძნებული ბატონყმური ურთიერთობა. საქართველოს კანონები და ტრადიციული ურთიერთობები იცავდა ყმის სიცოცხლეს, მის უფლებებს და ქონებას. ყოველი მებატონე დაინტერესებული იყო ყმაგლეხების შენარჩუნებით და მათი გაძლიერებით, რაც ბუნებრივია მის ქონებრივ მდგომარეობასაც განსაზღვრავდა.

იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კავკასიის მთავარმართებელ ბარონ როზენს მოსთხოვა თავადაზნაურობისა და გლეხებს შორის დამოკიდებულების შესწავლა საქართველოში. ბარონ როზენის 1832 წლის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში „გლეხკაცობა კმაყოფილია თავის ძველებური ჩვეულებისა და ეკონომიური დამოკიდებულების შეცვლა რუსულ წესებზე საჭირო არ არისო“ (!). ბუნებრივია, რუსეთის იმპერია ამ შემთხვევაში შეეცდებოდა ასეთი გაწონასწორებული საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლას და ასეც მოხდა, იმპერიის აგენტურამ დაიწყო გლეხების წაქეზება თავადაზნაურობაზე; ავრცელებდა რა ხმებს იმის შესახებ, რომ მათ არ გააჩნდათ ყმებზე და მამულებზე უფლების დამადასტურებელი საბუთები, ამით დააწყებინა გლეხობას „გაუთავებელი საჩივრები“ ბატონისაგან თავდახსნის მიზნით, თუმცა ქართული სამართლის ძალით მას ისედაც ჰქონდა თავდახსნის უფლება კანონიერად და ზნეობრივად თავის გამოსყიდვის გზით (აღსანიშნავია, რომ 1805 წლის საბუთით ამ გზით საქართველოში თავისუფლება მოუპოვებია 1967 კომლ ყმაგლეხს). გაჩნდა პირველი ხელოვნურად შექმნილი „ბზარი“ საქართველოს თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ამ „ბზარს“ რუსეთის იმპერია თანამიმდევრულად და მეთოდურად აფართოებდა მრავალი წლის მანძილზე.


1847 წელს იმპერიის მთავარი სამმართველოს საბჭოს რჩევით შედგა პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იყო, ერთი მხრივ, „მომეტებული“ უფლებები თავადაზნაურობისა და მეორე მხრივ, შეზღუდვა თავის უფლებებში ყმა-გლეხობისა (მაგ. ყმაგლეხს ეკრძალებოდა ეჩივლა ბატონისათვის, ეკრძალებოდა მამულების ყიდვა და ა. შ.). საქართველოს თავადაზნაურობა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად კუთვნილი პრივილეგიები, ხოლო ბევრ მათგანს თავადაზნაურობის დამამტკიცებელი საბუთიც კი არ ჰქონდა აღებული (ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ფაქტი, ნიკო ჩიმაკაძის მონაცემებით „თავისუფალ სვანეთში“, სადაც 70-მდე მოსახლე აზნაური აღირიცხებოდა 1911-1913 წლებშიც კი არც ერთი მათგანი დამტკიცებული არ იყო თავის წოდებაში (!)), გულუბრყვილო აღფრთოვანებით შეხვდა ამ პრო-

ექტს. საპირსპიროდ, მან დიდი უკმაყოფილება დაბადა ქართველ გლეხობაში. სწორედ ასეთი შემთხვევისთვის ბრძანებს ბიბლია: „ნათქვამია დავარტყამ მწყემსს და განიბნევა ფარა მისიო“. ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა უმეფოდ და უეკლესიოდ დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა.

და აი, დადგა 1862 წელი და რუსეთის იმპერიამ საბოლოო ლაზვარი ჩასცა ქართულ ბატონყმურ ურთიერთობას. დაიწყო საგლეხო რეფორმის განხორციელება, რომელიც 1864-1870 წლებში „დაგვირგვინდა“ საქართველოში „ბატონყმობის გაუქმებით“.

სამწუხაროდ, ქართულმა საზოგადოებრიობამ ვერ გამოიჩინა სათანადო სიფხვანე, ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბატონყმობის გაუქმებით საქართველოში რუსეთის იმპერია საბოლოოდ შლიდა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და ამით დიდი ხნით უკარგავდა ქართველ ერს თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას.

საქართველოს თავადაზნაურობაში წარმოიშვა ორი განსხვავებული დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი: ერთ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა დიმიტრი ყიფიანის აზრი, რომლითაც ყმებს უნდა მისცემოდათ პირადი თავისუფლება, თავადაზნაურობას კი ყმების ნაცვლად, კომპენსაციის წესით უნდა მიეღოთ ფულადი თანხა, ამასთან ადგილ-მამულეებიც მათ განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო. მეორეგვარ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძე, რომლის აზრითაც გლეხები უპირობოდ და უსასყიდლოდ უნდა განთავისუფლებულიყვნენ და მათ უნდა გადასცემოდათ მიწები საკუთრების უფლებით. ერთ შემთხვევაში თავადაზნაურობა მართალია, კარგავდა თავის მემკვიდრე ყმაგლეხებს, მაგრამ მათ ყმების სანაცვლოდ მიღებული ფულადი კომპენსაციის მეშვეობით შეეძლოთ განეციტარებინათ საკუთარი მამულები; ამის საპირსპიროდ, უმიწოდ და უსახლკაროდ განთავისუფლებული გლეხები ილიას აზრით გახდებოდნენ „მავნებელნი ქვეყნის მშვიდობიანობისათვის“. მეორე შემთხვევაში, გლეხების განთავისუფლება მიწებით არ იყო ზნეობრივი აქტი, რადგან ეს მიწები არ იყო მათი სისხლით მოპოვებული და ეს დაუმსახურებელი ქონება საბოლოოდ მათთვის სასურველ ბედნიერებას ვერ მოიტანდა. ამასთან, საგლეხო რეფორმის განხორციელების შემდეგ ყოველი მიწის მფლობელი (მემამულე) ვალდებული იყო ფულით გადაეხადა სახელმწიფო ბეგარა (ტრადიციულ ბატონყმურ ურთიერთობაში კი ქართველი გლეხი მებატონეს ნატურით ისტუმრებდა), ხოლო ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა კი რადგან მოკლებული იყო ფულად სა



ხსრებს, მათ არ შეეძლოთ საკუთარი მეურნეობის განვითარება და მომავალში განწირულნი იყვნენ სოციალური სიბეჭავისათვის.

ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ მოახერხა რუსეთის იმპერიის ხრიკების ამოცნობა, ვერ გაიაზრა, რომ განსხვავებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან, სადაც გლეხი „მოძრავ ნივთს“ წარმოადგენდა, საქართველო არ საჭიროებდა საგლეხო რეფორმის განხორციელებას, მით უმეტეს დამპყრობლის უხეში ხელით, რადგან ქართველი ყმაგლეხების უფლებები ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც ტრადიციული ჩვეულებრივი ურთიერთობით საკმაოდ მყარად იყო დაცული.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დიმიტრი ყიფიანის აზრს, რომ თუ კი მოხდებოდა ყმაგლეხების განთავისუფლება მამულებით, ჯერ უნდა შესწავლილიყო თუ ვის „რამდენი ეკმარებოდა და დასჭირდებოდა“ და მიწების საკუთრებაში გადაცემის შემდეგ შეძლებდა თუ არა უწინდელი მებატონეც და ახალი მემამულეც ამ მიწებით საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენას...


აცთილებელია აღინიშნოს, რომ, რომც მომხდარიყო ქართველების მიერ ამ შემთხვევაში ქართველთათვის ყველაზე მისაღები სასარგებლო აზრის შემუშავება, რუსეთის იმპერია საგლეხო რეფორმას სწორედ იმგვარად განხორციელებდა საქართველოში, რაც მისი ბატონობის გარანტი გახდებოდა ამ ქვეყანაში. (მართლაც, რუსეთის ხელისუფლებამ „განთავისუფლა“ რა ყმაგლეხები, ისინი აქცია „დროებით ვალდებულ“ სახაზინო გლეხებად მანამდე, სანამ ისინი სრულად არ გამოისყიდნენ მათთვის გადაცემულ მიწებს, ე. წ. „ნედლეებს“. „საგლეხო რეფორმით“ რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა რა ბატონყმობა საქართველოში ერთი მხრივ, გააღატაკა ქართველი თავად-აზნაურები, წაართვა რა ფაქტობრივად მათ ყმები და მეორე მხრივ ეს „გათავისუფლებული“ გლეხობა გადააქცია თავის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ „მოძრავ ნივთად“, იმპერიის „სახაზინო საკუთრებად“).

1884 წელს, როდესაც პირველად დაიბეჭდა იოანე ბატონიშვილის წინამდებარე შრომა, რუსეთის იმპერიას თითქმის დასრულებული ჰქონდა საქართველოს კოლონიზაცია. პოლიტიკურ-ეკონომიკურად გაპარტახდა თავადაზნაურთა წოდება (ჯერ კიდევ 1864 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ვალს მთავრობის წინაშე შეადგენდა 1.810.840 მან.-ი). უფრო მეტად დაკნინდა და დაბეჩავდა გელხობა. ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც თავს აცხადებდა მემკვიდრედ იმ წინაპრებისა, რომელთაც თავიანთი სისხლით საუკუნეთა განმავლობაში დაიცვეს „მა-

მული, ენა, სარწმუნოება“, შეიქმნა ადვილად სამართავი იმპერიის მხრიდან და სწორედ ამ უფუნქციოდ დარჩენილმა წოდებამ წარმოშვა ძირითადად ის პლეადა ე. წ. „რევოლუციონერი მოღვაწეებისა“, რომელთა ქმედებაც უმეტესად საკუთარი ხალხის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

იოანე ბატონიშვილის შრომის გამოქვეყნებით ილია ჭავჭავაძემ ქართველობას, მის მოწინავე ნაწილს, შეახსენა თუ ვინ იყვნენ მათი წინაპარნი; შეახსენა რომ მხოლოდ მამულის კეთილ სამსახურში და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოიპოვება ის პრივილეგიები, რომელიც მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ პიროვნებისა თუ გვარის ღირსების დამცავი.

იოანე ბატონიშვილის შრომა „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული შრომაა. მართალია თითოეული ნუსხა ცალკეული გვარის ისტორიას აღწერს, მაგრამ ისინი ერთობლიობაში შეადგენენ იმ აუცილებელ ისტორიულ მასალას, რის გარეშეც შეუძლებელია ობიექტურად გაანალიზდეს საქართველოს წარსული ისტორია. ამ ნუსხებს კარგად ახსოვთ ქართული სახელმწიფოს წარმოშობის ადრეული ხანა, ახსოვთ ქართველი ხალხის ქართლოსიანობა და შესაბამისად, ბიბლიური ნოესაგან წარმომავლობა. აღწერაში წარმოდგენილი ზოგიერთი გვარი მიუხედავად არაქართული წარმოშობისა, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქართულ ეთნოსთან. ამასთან, მათი გაქართველება იწყება ამ გვარების წინაპართა არამართო ქართლოსიანთა მამულში დამკვიდრებით, არამედ უპირველესად მათი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევით, მამულისა და სარწმუნოების კეთილმსახურებით. საინტერესოა, რომ თუ გადავხედავთ „ქართლის ცხოვრებას“, ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების დაპირისპირება ქვეყნისა და ერის მიმართ მაშინ იწყება, როდესაც ხდება ამ პიროვნების ქვეშარტი სარწმუნოებიდან გადახრა, მაშინ იჩენს მასში თავს მომეტებული სიყვარული თავისი წინაპრების სისხლისა, რასაც იგი ზოგიერთ შემთხვევაში ტრაგიკულ შედეგებამდე — მამულის დაღატამდე მიყავს. ამ მხრივ საგულისხმოა გიორგი სააკაძის, ნუგზარ არაგვის ერისთავის, ყორღანაშვილების და სხვათა ტრაგიკული სახეები საქართველოს ისტორიაში. ასევე საგულისხმოა 1667 წლით დათარიღებული სომეხთა კათალიკოსის იაკობ IV-ის წერილი, რომელშიაც ქართველ მეფეებს (კერძოდ ლუარსაბს) ბაგრატიდებად მოიხსენიებს, ხოლო როსტომ ხანს (შემდგომში საქართველოს მეფეს) სომეხთა დიდ მოყვარედ და მფარველად სახავს. სწორედ მისი მეშვეობით მოუხერხებია



მას საქართველოში ეჩმიაძინის შემოსავლის გასაზრდელად მამულების ყიდვა (!). ბუნებრივია, სომეხთა კათალიკოსი ამას ვერ მოახერხებდა ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ დიდის, ან ალექსანდრე დიდის მეფობის დროს. რა თქმა უნდა, საკუთარი წინაპრების ხსოვნა და საკუთარი წარსულის პატივისცემა ურიგო კი არა საჭიროც და აუცილებელიცაა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიმართული იმ ეთნოსის საწინააღმდეგოდ, რომელთა წინაპრებმაც საკუთარი სისხლის გაღების ფასად შეინარჩუნეს ღვთისგან ბოძებული მამულები (საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ან. წ. V ს.-ში სპარსეთის მეფეს კარგად ახსოვს ბიბლიური ნოეს მიერ შვილებისთვის საცხოვრებლად განწესებული ქვეყნების საზღვრები).

ურიგო არ იქნება მკითხველმა დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ამ კუთხითაც რომ გაიაზროს. დარწმუნებულნი ვართ, საქართველოს ცხოვრება მაშინ მოწესრიგდება, როდესაც გათვალისწინებული და კანონით განმტკიცებული იქნება იმ მოქალაქეთა უპირატესი უფლებები და ეკონომიკური პრივილეგიები, რომელთა წინაპრებიც საქართველოში 1801 წლამდე ცხოვრობდნენ (აღსანიშნავია, რომ ისეთ „დემოკრატიულ ქვეყანაში“, როგორც მაგ. ინგლისია, ნამდვილ ბრიტანელად ითვლება ის, რომლის წინაპარიც 300 წლის მანძილზე ცხოვრობდა ინგლისში). მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი გაიაზროს და შეიცნოს მოქალაქემ რეალურად (და არა „რომანტიკულად“) საკუთარი სამშობლოს არსი და ცნება, სხვაგვარად გაუგებარი ხდება თუ რისთვის იტანჯებოდა და ღვრიდა სისხლს მისი წინაპარი, გაუფასურება (თუ არა უგულებელყოფა) ხდება წარსულის ისტორიისა, უსახური ხდება აწმყო და უპერსპექტივო ქვეყნის მომავალი.


თუ გადავხედავთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკას 1800-1939 წ.წ.-ში, როდესაც ასე თუ ისე მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები შედარებით ობიექტური იყო, დავრწმუნდებით რომ რუსეთის იმპერია ამ ხნის მანძილზე ახორციელებდა ქართული ეთნოსის შეგნებულ გენოციდს: თუკი 1800 წელს, ქართველების რიცხვი 600. 750-ს შეადგენდა, ხოლო დანარჩენი ეთნოსის 74.250-ს, XIX საუკუნის ბოლოს (1897 წელს) ქართველთა რიცხვმა შეადგინა დაახლოებით 1.312.000-ი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობისამ ~ 617.000-ი; 1939 წელს ქართველთა რიცხვი საკუთარ სამშობლოში უკვე ~ 2.174.000-ია, ხოლო დანარჩენი მოსახლეობისა ~ 1.367.000-ი. ე. ი. თუ 1800 წელს ქართველთა წილი მოსახლეობის 89%-ს შეადგენდა,

1897 წელს მან შეადგინა 68%, ხოლო 1939 წელს კი 61,4%. დარწმუნებული ვართ, დღევანდელი ობიექტური სტატისტიკური მონაცემები ამ მხრივ გაცილებით უფრო სავალალო სურათს დაგვანახებს. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი მოსახლეობის წილის ზრდა უპირატესად მათი ბუნებრივი მატებით კი არ აიხსნება, არამედ იმპერიის მიერ საქართველოს მიწა-წყალზე სხვა ეთნოსის ჩამოსახლებით, პარალელურად კი ხდებოდა იმპერიის ომებში ქართველთა ფიზიკური განადგურება.

ასეთ პირობებში გაუმართლებლად მიგვაჩნია იმ ისტორიკოსთა მცდელობა, რომელნიც ქართული ისტორიული საბუთების მოშველიებით ცდილობენ გასომხებული, გათათრებული, გაებრაელებული და ა. შ. ზოგიერთი ქართული წარმომავლობის გვარების დაბრუნებას ქართულ წილში. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, უცხო ტომების გაქართველება დამოკიდებული იყო უპირველეს ყოვლისა მის ქვეშარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევით; სწორედ მართლმადიდებლობა განსაზღვრავდა ქართველი ერისა და ქართველი კაცის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებას, მის ხასიათს და ზნეობრივ თვისებებს. ქრისტიანულ ბუნებას და ზნეობრიობას მოკლებული თუნდაც ქართული სისხლის მატარებელი პიროვნება ჩვენი აზრით შორდება ქვეშარიტი ქართველის სახეს და წარმოგვიდგება როგორც გაუცხოებული საკუთარი ეთნოსის მიმართ. მეორე მხრივ, როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ პიროვნების გასომხებაზე, ან ვთქვით გაებრაელობაზე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში პიროვნებას უღალატია ქვეშარიტი სარწმუნოებისათვის და უღალატია ასევე თავისი ეთნოსისათვის, რადგან სხვა აღმსარებლობაზე გადასვლით პიროვნება ვალდებული ხდებოდა ქორწინებაში შესულიყო მხოლოდ შესაბამისი აღმასარებლობის მქონე ადამიანთან, რითაც ის დროთა განმავლობაში არა მარტო სულიერად, არამედ სისხლითაც შორდებოდა საკუთარ ეთნოსს.

ამდენად, ამა თუ იმ პიროვნების „გაქართველება“ უნდა ხდებოდეს არა მექანიკურად, „ისტორიული საბუთების მოშველიებით“; არამედ უნდა ხდებოდეს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა და ბუნებრივია, ქართული ეკლესიის თავისთავადობისა და ქვეშარიტი სარწმუნოებით ძლიერების პირობებში.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მკითხველი იოანე ბატონიშვილის შრომის გაცნობით კიდევ ერთხელ გაიცნობიერებს თავის მოვალეობას „მამულის, ენისა და სარწმუნოების“ წინაშე.



ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ იოანე ბატონიშვილის შრომა „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული ცალკე წიგნის სახით, ჩვენ შრომა გამოვეცით იმ სახით, რა სახითაც ის დაბეჭდა ილია ქავკავაძემ 1884 წლის „ივერიის“ IV-VII ნომრებში დამატების სახით, როგორც „მასალა ისტორიისათვის“. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროდ ჩავთვალეთ ტექსტისათვის დაგვეერთო ჩვენი შენიშვნები.

წიგნს დამატების სახით აქვს ორი დანართი: I დანართი წარმოადგენს გეოგრაფიკის ტრაქტატს (1783 წ.) დართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიას. ამ სიის გაცნობით მკითხველი დარწმუნდება, რომ იოანე ბატონიშვილის შრომაში აღწერილი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა გვარების რიგითობა ემთხვევა ტრაქტატს დართულ სიაში თავად-აზნაურთა გვარების თანამიმდევრობას.

II დანართი წარმოადგენს ზოგიერთი თავადაზნაურული გვარის საოჯახო ნუსხას. ეს გვაროვნული ნუსხები მართალია არაა სრულყოფილი, რადგან მათში არაა ასახული ქორწინების შედეგად წარმოშობილი ნათესაური ურთიერთობები, მაგრამ მათი გაცნობით მკითხველი გაიცნობიერებს ასეთი ნუსხების, როგორც გენეალოგიური მეცნიერებისთვის (ვახუშტი ბატონიშვილის თქმით — „ნათესავთმეტყველობისთვის“) აუცილებელი ისტორიული მასალის საჭიროებას.

ზურაბ კაცელაშვილი



იოანე ბაგრატიონი

შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა
მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა
გვარებისა

მასალა ისტორიისათვის

შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად შეფეთაგანცა და უკანასკნელ შეფისა შიერ ირაკლისაგანცა ვითარცა არს მოხსენებულ ტრაკტატსა შინა დადებულსა ოდეს შეეკრა მის დიდებულებას იმპერატორიცა ეკატერინასა, წელსა 1783.


Handwritten note: V. 229, 413

ქ. ქართლის ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა უკუცვლილებასა. პირველსა მთავრობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა, და ესეცა მეფობა განყოფილ ოთხ გვარად: 1) ფარნავაზიანად, რომელნი იყვნენ ქართლოსიანი; 2) არშაკუნიანად, რომელნი იყვნენ ერმანიანი; 3) ხოსროიანად, რომელნი იყვნენ სპარსთაგან და 4) ბაგრატიონად, რომელნიც არიან დავით წინასწარმეტყველის გვართაგან მოსრულნი პალესტინით.

დროსა ქართლოსიანთ მეფობისასა იყვნენ გვართ უფრორე ქართლოსიანი თავადნი, და აზნაურნი გარნა მცირედნილა იპოებიან და იგინიცა კაკასიისა მათთა შინა გარნა თუნმცა მცირედნი, რომელთაც მოვიხსენებ თავის თავის აღგილსა. არშაკუნიანთა დროთა შინა, თავადნი უფრორე იყვნენ ერმანთა ქვეყნისაგანნი და აწცა არიან რაოდენნიმე გვარნი, რომელთაც ცხად ვჰყოფ ქვემორე.

ხოსროიანთა დროისანი იყვნენ სპარსთაგან თავადნი, რომელნიცა აწცა არიან რაოდენნიმე გვარნი თავადთაცა და აზნაურთაცა.

ხოლო ბაგრატიონთა დროისანი, რომელნიცა იყვნენ და არიან მოხსენებულნი თამარ მეფისა დროსა შინა გვარნი, თავადთა და აზნაურთა დიამცირენი ჰსჩანან, გარნა ისინიცა რომელნიც მის დროსა შინა ყოფილან, რომელნიმე დამდაბლებულ არიან თავადნი აზნაურად და გლენადცა მძლავრობისა გამო ერისთავთა და სხვათა შემძლეთაგან, ვინაიდან სპარსნი



მრავალ ჯერ ჰფლობდნენ საქართველოსა მიზეზითა მით შეწევნითა. სპარსთა მართველთაგან დაუმდაბლებიათ იგინი, ვითარცა ქვემოთ ვიტყვი.

ბაგრატიონობა ბაგრატისა გამო მისთა შთამომავლობათა ეწოდათ, ხოლო ოდეს მოვიდა რა საქართველოსა შინა წელსა ქრისტეს აქეთ 580-სა და ესე მართავდა საქართველოსა ერისთაობისა ხარისხითა, ხოლო ძმამან ბაგრატისამან გურამ შვა ძე და უწოდა ბაგრატ და ესე ბაგრატ იყო დედით სომეხთა მეფისა მირდატისა დისაგან შობილი, რომელიცა ჰყვა ცოლად გურამსა ბაგრატის ძმასა და შემდგომად მირდატისა სიკვდილისა, მოკვდა გურამცა. ესე ბაგრატ მორჩილებდა ერისთაობისა ხარისხითა მირდატის ძესა ასფაკურს და ესენი მორჩილებდნენ ქართველთ მეფესა ვახტანგ გარგასლანისა შთამომავლობისასა. ხოლო ასწყდენ რა მირდატიანი, არწმუნეს ყოველი ადგილი მისი გურამ ბაგრატის ძესა და უწოდეს მირდატოვანი. ხოლო ასწყდენ რა ხოსროიანნიცა, მაშინ გურამმან შეაერთა სრულიად შავი ზღვიდგან საქართველო ვიდრე კასპიის ზღუამდე და მუნდამდე ეწოდებოდა მირდატოვანი გურამს და მერე ამისა გიურამონ შესცვალა გვარი მირდატოვანისა და გაიგვარა მამისა თვისისა ბაგრატისა სახელისა ზედა ბაგრატიონობა, და ამან დიდად უერთგულა ბერძენთა მეფესა დროსა სპარსთა მოსვლისასა საქართველოსა შინა, რომლისა ზილდოდ გიურამს ბაგრატოვანსა პირველად კურატ პალატობაი უბოძა კენისარმან იუსტინიანემ და შემდგომად მეფობისა ხარისხსა შინა აღიყვანა წელსა ქრისტეს აქეთ 575-სა და მუნიდგან ვიდრე აქამომდე იყო მეფობა ბაგრატოვანთა, რომელ მეფეთა ძენი და ძის ძენი და სხვანი ძმა და ძმისწულნი ყოველთვის იხსენებოდნენ უგანათლებულესობისა ტიტლოითა. ხოლო მდაბალნი რომელთაც არა ხვდთ მეფობით შთამომავლობა, იხსენებოდნენ ტიტლოთი განათლებულესათ, ბრწყინვალე თავადად, ვითარცა არს აწ მუხრანის თავადი, მუხრან ბატონად წოდებული.

1. თავადი მუხრან ბატონი.

ესე არს აშოტანისა ბაგრატოვანისა შთამომავლობანი მეორისა ხარისხით ბაგრატოვანად წოდებულნი და პირველნი თავადნი, რომელნიცა ოჯახსა მათსა შინა არის უპირველესი შვილი მათი. ხოლო სხვანი მეორისა და მესამისა ხარისხის თავადობის ხარისხისანი და იწოდებიან: 1) კონსტანტინეს შვილებად, 2) ბაგრატის შვილებად, 3) სვიმონის შვილებად, 4) ივანეს შვილებად, და სხვანი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. თავადი ჯამბაკურიანი

ესე ჯამბაკურ იყო ადგილით კერძოთი ჩინეთისა, რომელ არს კიტაი დიდისა თათარიასა შინა. ეს ჯამბაკურ იძულებული მუნ ადგილსა თვისსა აღიყარა თავისის სახლის კაცებითურთ, რომელსა ჰყვა ორნი მახლობელნი ნათესავნი. ერთი უკვე ბარათად წოდებული და მეორე ბოშ ალად წოდებული. და წარმოსულნი მუნით მოვიდნენ რანისა ადგილსა შინა, რომელსა აწ ეწოდების ყარაბალი და მუნითგან ევედრნენ მეფესა ფარნაოზს ქართლოსიანსა, რათა მიეცა მათთვის ადგილი დასასახლებლად საქართველოსა შინა, ხოლო მან მიუბოძა, სომხითსა ადგილსა შინა კერძოდ გორისა და თრიალეთისა მხარესა და ადგილთა შინა მისთა, და მოვიდნენ ორნი ესე ბეგები, ჯამბაკურ და ბარათა ვიდრე ხუთი ათასითა ოდენ მეკომურისა კაცითა და დაეშვნენ მუნ. ხოლო ბოშალა დაშთა ყარაბალისა ადგილთა შინა თვისითა ხალხითა სიონად წოდებულსა ადგილსა კერძოდ, აწ რომელიცა არს წოდებული სისიანად და მის გარეშემო დაემკვიდრნენ იგინი, თუმცა მათ გამოყვა მრავალი ხალხი მუნებურნი, გარნა უმეტეს იყვნენ ბოშებად წოდებულნი, რომელნიცა დაიფანტნენ და დასახლდნენ სპარსეთისა კერძოთა ცარიელთა ადგილებთა შინა. ხოლო მეფემან ფარნავაზ პატივსცა ჯამბაკურს და ბარათას და მიიღო ხარისხითა თავადობისათა წელსა დასაბამითგან სოფლისა 3650-სა. ხოლო შემდგომად ამით გაუგვარდათ კვალად ორნი უკვე სახელნი გვარად: ერთი ორბელისა შვილობა და მეორე ყაფლანის შვილობა. ორბელიანობა გაუგვარდათ მაშინ, ოდეს აბაშმან თავადმან ორბელად წოდებულმან, რომელიც იყო მოსახლე ორბელის კერძო და მას არა ესვა ძეი გარდა ერთისა ასულისა კიდე. და ესე ორბელ განარიხეს თვისთა სახლისა კაცთა და ამან ჯამბაკურიანი დავით აღიყვანა ზედ სიძეთ და მიათხოვა ასული თვისი და მისცა თავისი წილი მამული ორბეთსა და სხვათა ადგილთა შინა ქრისტეს აქეთ წელსა 1469 და მუნითგან იწოდებიან ორბელის შვილებად ანუ ორბელიანად. ხოლო რომელიმე მისტორიენი სწერენ ორბეთის ადგილის გამო ეწოდათ გვარი ესე, ხოლო ყაფლანის შვილად იწოდნენ ყაფლან სახელისა გამო, რომელმანცა მახურა და წარჩინებულ იქმნა ბრძოლათა შინა დროსა ბაგრატ მეფისა ბაგრატიანისასა, ოდეს ბრძო (ლანგთემურს) და მან უწოდა ყაფლანად, და ამის გამო იწოდებიან ყაფლანიანად. ესენი აწ არიან განყოფილნი ამ სახით: 1) არიან რევაზის; 2) დიმიტრის შვილებად; 3) ზაალის შვილებად, რომელნიცა ასწყდენ სრულიად ამა საუკუნესა შინა. 4) აწ არიან ვახტანგის შვილებად და აწ არიან ამათნი შთამომავლობანი სხვა-და-სხვა სახე-



ლად განყოფილნი ამა დროსა შინა. ამით სახლთა შინა ვინმცა იქმნების პირველი შვილი რევაზ სარდლის სახლისაგან შთამომავალი, იგი არს შერაცხილ პირველ თავადად, ხოლო ბიძაშვილი მეორე თავადად, ესრეთვე სხვანი მეორედ და მესამედ არიან შერაცხილ თავადებად ხარისხსა შინა.

3. თავადნი ამილახვრიანნი.

ამათნი უკვე გვარნი იყვნენ მოსრულნი იტალიიდან ძველად მხედარნი, რომელთანიცა ოდეს მოვიდა მხედართა მძღვანი პომპიოს საქართველოსა შინა მხედრობითა თვისითა და დაიპყრო საქართველო წელსა დასაბამი-დგან 3939. ესე მხედარნი დაშთენ ერმანიასა შინა ტრდად მეფისა თანა და მერე მოვიდნენ საქართველოსა შინა დროსა სუმბატ მეფისასა და დაეშვნენ რომელნიმე ამით ხალხთაგანი ქართლსა შინა და რომელნიმე ახალციხეს მესხეთსა შინა და ესენი მიიღო სუმბატ მეფემან აზნაურობისა ხარისხითა და უბოძა გვარად ზედგინისძეობა და მამული მისი ბეითა-ლმონი. ხოლო რომელთათმე ამით გვართა წარჩინებულებისა გამო მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1150 წ. და იწოდებოდნენ ზედგინიძეთ და შემდგომად ოდეს არამ ზედგინიძემ განა-რინა მეფის ალექსანდრეს ძე, გიორგი მეფე ბაგრატიონი, ორგულთა კა-ცთა ხელთა სიკვდილისაგან და თვით ზედგინიძე იორამ მოკლულ იქმნა ნაცვლად მეფისა, ამისა ჯილდოდ უბოძა შვილთა მისთა გვარად ამილა-ხვრობაი და უფროსსა ძესა მისსა მიჰსცა სპასპეტობა, ქართლისა მოურა-ობა გიორგისა და ციხე გორის ჯვარი და სხვანი ადგილნი, რომელნიც იწოდებიან აწ საამილახვარო ადგილებად. ხოლო სასაფლაოდ უბოძა სა-მთავის ეკლესიისა შინა ადგილი წელსა ქრისტეს აქეთ 1465-სა და მუნი-დგან იწოდებიან თავად ამილახვარად შთამომავლობანი მათნი, რომე-ლნიცა განიყოფებიან სხვა-და-სხვა სახლად: 1) რევაზის შვილებად; 2) ქაიხოსროს შვილებად; 3) ბეჟანის შვილებად; 4) ერასტის შვილებად და იმის ძმის წულეზად; 5) გივის შვილებად. ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახრობა სპასპეტობა იყო რევაზის შვილთა, რომელნიც უფროსნი იქმნებოდნენ სახლში, ხოლო სხვათა აქვნდათ მეორისა და მესა-მისა თავადისა ხარისხნი და პატვი. ხოლო სხვანი რომელნიც იყვნენ გვა-რნი ამით ზედგინისძენი, რომელნიმე დაშთენ აზნაურად ზედგინიძეებად და რომელნიც დაშთენ მესხეთს, იგინი თუმცა ამილახვრად არ იხსენებიან გვართ, გარნა არიან თავადნი იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნა-ურებად. ეს სახელვე ახალციხესა შინა არიან ამილახვარის გვარისანი და



ხიღირბეგისა შვილებნიცა თავადნი ამილახვრიანნი და რომელთაცა მოვი-
ხსენებ თავის ადგილს ვითარებასა მათსა.

4. თავადი არაგვის ერისთავი.

ესე არაგვის ერისთავნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი ოსნი კარგის
გვარისანი სიღამონისძენი. ამათნი წინაპარნი მოსახლეობდენ ვანათსა
ადგილსა შინა. ამათ პირველათ მიუბოძა მეფემან კონსტანტინემ გიორგის
ძემან, აზნაურობანი და განაწესნა მოხელედ სიღამონ წოდებული არაგვის
ზედა. ხოლო ოდეს მოვიდა მუსათურქი საქართველოსა ზედა დიდისა
მხედრობითა, მაშინ ბრძო მეფემან კონსტანტინემ თურქთა მათ და ბრძო-
ლასა ამას შინა მოიკლა მეფე თურქთაგან და იძლიენენ ქართველნი და
იქმნა აღრეულობა ურთი-ერთისა შორის ქართველთაგან წელსა ქრისტეს
აქეთ 1407. ამ მიზეზითა სიღამონამ შემოიყარნა მხედრობანი ოსთანი და
სახლის კაცნი თვისნი და მოსწყვიდნა ბაზლიძენი თავადნი, მოსახლენი ვა-
კესა შინა არაგვისასა, რომლისა გამო ღლესაცა ეწოდების მუნ ტბასა ბაზა-
ლეთისა ტბაი, სახელისა გამო მათისა. და ამა სიღამონმან დაიპყრა ადგი-
ლნი იგი. გარნა ვერა იწოდა ერისთავად, არამედ მებატონედ არაგვისა.
ხოლო შემდგომად ამისა ეამსა მეფობისა სვიმონისასა იქმნა მრავალი
ბრძოლათ თურქთა და სპარსთაგან და ყოველგან შეიმოსა ძლევაი მეფემან
სვიმონ ლუარსაბის ძემან და უკანასკნელს ბრძოლასა შინა დაჯერქმეთსა
იძლიენენ ქართველნი და შეიპყრეს ბრძოლასა შინა მას მეფეი სვიმონი და
დაშთა ძეი მისი ლუარსაბ ჯერეთ ყრმა, მაშინ იწოდა ერისთავად შთამომა-
ვლობაი სიღამონისა სიღამონ ერისთავად და მერეთ ამისა ძე მისი ნუგზარ,
რომელმანცა დანაშთენი მუნ ბაზლის ძენი ასწყვიტნა. ხოლო მდებალნი
ბაზლიძენი რომელიმე განივლტვენენ ქართლსა და შეიქმნენ დამდაბლებუ-
ლნი. ხოლო შემდგომად ამისა მოვიდა რა შაჰაბაზ ყაენი შირვანსა შინა,
მაშინ განუდგა სააკაძე გიორგი მეფესა, და ნუგზარ ერისთავი სიმამრი გი-
ორგი სააკაძისა და მივიდნენ წინაშე შაჰაბაზისა, რომელსა იამა ფრიად და
მან დაუმტკიცა ერისთაობაი არაგვისა მტერობისათვის საქართველოს მე-
ფეთა, რომლისა მიზეზითა მეფეცა ლუარსაბ მივიდა შაჰაბაზისა თანა დასა-
ცველად ერთა საქართველოსათა, რომელმანცა სული თვისი დასდო
ერთათვის, და განარინა მისვლითა თვისითა ერნი ქართველთანი და უკანა-
სკნელ აწვია შაჰაბაზ მამადიანობა ლუარსაბ მეფესა, გარნა არა ინება
ჰსჯული მისი და უკანასკნელ პყრობილობასა შინა კვალად აწვია ჰსჯულსა
მამადისასა და მიცემად ქართლი, გარნა არა ინება მეფემან და იწამა ქრი-



სტესთვის წელსა 1622-სა, და მუნიდგან უმეტეს ფლობდნენ არაგვსა ერისთავნი მათნი. ხოლო ოდეს დაიპყრეს თურქმეთა საქართველო და ერთგულობდნენ ერისთავნი უმეტეს თურქმეთა და დროსა ამას შინა. რა მიიღო ტახტი სპარსეთისა ნადირშამ და გარეკა ყოვლის მხრიდგან ოსმალნი და აგრეთვე საქართველოდგანაც, მაშინ დაამდაბლნა ერისთავნი და მისცა არაგვი მეფესა თეიმურაზსა ჯილდოდ ერთგულებისათვის მისისა ქრისტეს აქეთ 1742-სა. ხოლო უკანასკნელ მეორემან ირაკლი მეფემან თეიმურაზის ძემან შეაერთა საქართველო და კახეთი. მაშინ განასხნა დანაშთნი არაგვის ერისთავის ძენი კახეთსა შინა და მიუბოძა მუნ ადგილნი და სოფელნი, რომელნიცა პირველნი იწოდებოდნენ სარიდანის შვილებად. ხოლო მეორე მდაბალნი ლალიხანის შვილებად, რომელ ახლა იწოდებიან მდივან-ბეგის შვილებად ზედ წოდებით ბეჟანისა. ხოლო მეორენი ლალიხანის შვილებად, რომელ ამათა აქეთ გაღმა მხარში მამული და აწ არიან გვარნი ამათნი აზნაურნი ლალოხანის შვილები. ხოლო თავადნი მდივან-ბეგის შვილებნი.

წ. თავადი ქსნის ერისთავი

ძველთა დროთანი არვინდა არიან, რომელნიც მოსრულნი იყვნენ თურქისტინის მხრიდგან ავარიელნი ხალხნი, რომელთაცა დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან ვიდრე შავ ზღვამდის და დაეშვნენ მუნ დროსა საქართველოს მეფისა გურამ ბაგრატიონისასა, ხოლო მეფე ესე მარადის ბრძოდა და აენებდა მათ, რათა დაეტყვებინა ადგილნი იგი და მაშინ მივიდნენ ბეგნი ამათნი წინაშე კეისრისა იუსტინიანესა და სთხოვეს შუამდგომლობა მეფისა თანა საქართველოს და აღუთქვეს მსახურება, ვითარცა ქვეშევრდომთა და მაშინ სთხოვა მეფესა საქართველოსასა კეისარმან ზავყოფა მათთანა და ამანაც ინება და რომელნიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისათა ცარიელთა ადგილთა და ხუნზახსა შინაცა, რომელ აწ იწოდებიან ავარიელეზად. ხოლო უჩინებულესი მათგანი მოიყვანნა და დაასახლა ქართლსა შინა და იყვნენ თავადობისა ხარისხითა; ხოლო ამათ შთამამავლობათაგან დაიდგინა მთავრად შიდა ქართლისა კონსტანტინე და რომელიც ეწამა სპარსთაგან ქრისტესთვის და მერმე ამისა შთამამავლობათაგან თორნიკე დაიდგინა ერისთავად ქსნისა, რომელმაცა, დროსა რომანოზ კეისრისასა, ბრძო წინააღმდეგთა მისთა და ძლევა შეიმოსა მტერთა ზედა მისთა, დროსა ბაგრატიონისა მეფისასა და ამან თორნიკ ერისთავმან დაუტევა სოფელი და მიიღო მონაზონობა და წარვიდა ათონის მთასა შინა, ხოლო შე-



მდგომად ამისა იყვნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდენ იგინიცა.

მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხვა-და-სხვა მოხელენი მთისანი და სხვანნი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა, ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა იქმნა რა აღრეულება საქართველოსა შინა და ბრძოლანი ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი ერისთავთა წინა-პარნი სამეფოს ხეობიდგან ოსეთისა, რომელიც არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარასა შინა გვარნი მათნი. ამათნი უკვე მოვიდნენ ორნი მამანნი. პირველს ეწოდა ბიბილა, ხოლო მეორესა რატი, რომელნიცა დაემუნენ ქსნის ხეობასა შინა წელსა ქრისტეს აქეთ 1235, ხოლო ბიბილა უკვე დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენაფხვეს, რომელი აწ იწოდების იფნევად. ხოლო რატი დაესახლა ჟამურის ხეობასა შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდნენ ბიბილურები ქვენა ფხოველბად გვარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ. ხოლო შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფისა ძმამან დაუთხანად წოდებულმან ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენა ფხოველი და დაუმტკიცა ერისთობა გასამტკიცებლად თავისა თვისისა წელსა ქრისტეს აქეთ 1569 და მუნიდგან იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად. ხოლო რომელიცა ამათ შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი იგი ახლო ჟამებში მისცა შანშეს ერისთობა მეფემან თეიმურაზ და მერე დავით ერისთავს და მერეთ მეფემან ირაკლი დავით ერისთავის შვილს როსტომს, რომელსა ზედა დასრულდა ერისთობა ამავე მეფისა დროსა მამულის ორგულებისა გამო და ბრძოლისა, რომელმანც დიპყრო ბრძოლით ქსანი, წელსა ქრისტეს აქეთ 1777-სა. ხოლო აწ არიან სამ სახლად განყოფილნი: 1) დავით ერისთავის შვილები; 2) ყულარაღასის შვილები. ხოლო 3) ალაბაბის შვილები, ამათაცა აქეთ ვითარცა სხვათა სამსახედ თავადობაი, პირველის ხარისხის თავადი, რომელიც პირველი შვილია როსტომისა, მეორე ხარისხი თავადობისა ყულარაღასისას და მესამე თავადის ხარისხი ალაბაბას შვილებს და სხვათა. ხოლო სხვანი ბიბილურები არიან აზნაურად გამხდარნი და გაყმებულნი მათნი და რატიანნიცა დამდაბლებულნივე მათგან, რომელსაცა თვის თვის ადგილსა შინა მოვიხსენებ მიზეზსა მათსა.




6. თავადი ციციშვილი


ამათნი წინა-პარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი. ძველადვე მდიდარნი კაცნი და ესენნი მოვიდნენ დაეშენნენ ახალციხის ნაწილსა ადგილსა შინა, ფანასკენტად წოდებულს, ამათთა შთამომავლობათა უკვე მსახურეს მეფესა თამარს და იყვნენ მეგობარიცა სპასპეტის მხარგარძელის ზაქარიასი და ამის შუამდგომლობითა უბოძა მეფემან თამარ თავადობაი და ადგილისა მის ფანასკენტისა ზედა მხედველობაი და მამულნი მუნ. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღომი ზაქარია ფანასკენტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკვე დიდად მსახურა, დროსა მოსკლისა ლანგ თემურისასა, რომელიცა ბრძოდა მეფესა და ვინაიდგან წარჩინებულ იქმნა ზაზა ფანასკენტელი, აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოსა შინა, და მიუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფთა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი, და დაასახლნა მუნ. ხოლო შემდგომად ამისა, მოკვდა რა ზაზა, დაშთა ძე ციციტ წოდებული, რომელმანცა მეფესა კონსტანტინეს ამანცა ფრიად მსახურა სხვათა და სხვათა ბრძოლათა შინა, და ჯილდოდ ამისა მეფემან უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გვარად ციციშვილობა, და აგრეთვე სახლის კაცთა და განაყოფთა ამათთა და მუნიტგან იწოდებიან ციციშვილებად წელსა ქრისტეს აქეთ 1488 ესრეთ: ზემო ციციანათ და ქვემო ციციანად. ზემო ციციანნი არიან, რომელნიც მძოვრეთის ხეობას მცხოვრებნი არიან. ხოლო ქვემო ციციანნი ნიჩბისის ხეობაში სახლობდნენ და ზემო ციციანნი არიან აწ მოხელედ: 1) მოურავის შვილები, მეორე ნიკოლაოზისა, 3) ამილბარის შვილებად, 4) გლახას შვილებად, 5) პაატას შვილებად, 6) გიორგის შვილებად, 7) ზაქარიას შვილებად და სხვანი, ხოლო ქვემო ციციანნი დიმიტრის შვილებად და აწ ცხოვრობენ ესენი მოსკოვს, 2) მდივან-ბეგის შვილებად, 3) ზაზას შვილებად და 4) კიდევ ზაზას შვილებად. ხოლო ამათში პირველის ოჯახისა შვილი იყო პირველ ხარისხის თავადად. ხოლო სხვანი მეორე და მესამე თავადის ხარისხისა.

7. თავადი აბაშიძე.

ესენი არიან ადგილით აბაშით, რომელ არს (ეთიოპია) ესენი იყვნენ ჩინებულნი გვარნი მის ჟამისანი. ამათთანი წინაპარნი დაშთნენ იმერეთის



შინა, დროსა მეფისა არჩილისასა, ქრისტეს აქეთ წელსა 668, ოდეს აღა-
 ოხრა მურვან ყრუმან დისწულმან მამადისამან საქართველო და იმერეთი,
 და დაიპყრა ოდიშიცა, და მიიწია აფხაზეთს და ბრძო ანაკოფის მყოფთა,
 მეფესა მირს და არჩილს, რომელ მირ მეფე მოიწყლა მუნ მძიმედ და მო-
 კვდა. ხოლო არჩილი იქმნა მეფედ, მამა მირისა, და ვერა რაისა დამკლემან
 მურვან ყრუმ და ძლეულმან იწყო უკუნ-ქცევა და მოვიდა ცხენის წყალსა
 ზედა და დაიბანაკა, რომელსა ეწია რისხვა ღვთისა და ღამე გადიდდა
 წყალი იგი და გარდავარდა ბანაკსა მათსა ზედა, რომელნიცა მოაშთო მხე-
 დარნი მისნი ვიდრე ოც-და-ათი ათასამდის და უმრავლესნი ცხენნი და სა-
 კიდარნი, რომლისა გამო აწ ეწოდების მდინარესა მას ცხენისა წყალი და
 ესრეთ განგებითა ღვთისათა წარვიდა მამულად თვისა მურვან ყრუ სი-
 რცხვილეული და მხედრობათაგან მისთა დაშინენ მრავალნი ტყვედ და
 თვისისა ნებითაცა და რიცხვთა ამათ შინა ყრმა ვინმე ბეგისა შთამომო-
 ვლობისა აბაში დაშთა მუნ, რომელსაც მეფეი არჩილ უყოფდა პატივსა და
 ზრდიდა თვისთანა. ხოლო შემდგომად ამისა ნადირობასა შინა ძესა მეფისა
 არჩილისასა იოანეს ზედან შეახლტა მგელი განსაბრძაძავად და მაშინ
 აბაშმან მან აღმოიწოდა ხმალი, და მით მოკლა მგელი იგი და განარინა ძეი
 მეფისა და ამისა ჯილდოდ უბოძა მეფემან არჩილ თავადობა და გვარად მი-
 სცა აბაშის ძეობა და მიუბოძა მამული ქალას; სვერსა და ზოსიათ ხევსა
 შინა და სხვანიცა მასთან მყოფნი აბაშანი მიიღო აზნაურობისა ხარისხითა
 და დაასახლა ქალას, რომელნიცა იწოდებიან ქალელ აბაშიძეებად. ხოლო
 უკანასკნელ გვარი ამა თავადის აბაშიძისა უმეტეს განდიდდა მეფეთგან და
 მამულიცა უფრორე შეიძინეს დროსა გიორგის მეფობისასა წელსა ქრი-
 სტეს აქეთ 1605 და მერე დროსა მეფისა ვახტანგისასა რომელნიმე გა-
 რდმოსახლნენ ქართლსა შინა ხეობასა სურამისასა და რომელნიმე და-
 შინენ იმერეთსავე. აწ არიან განყოფილნი ქართლში მცხოვრებნი: 1) ქა-
 იხოსროს შვილები, 2) ევგენისა შვილები, 3) ნიკოლოზისა შვილები;
 ხოლო კახეთსა შინა იოანე აბაშიძის შვილები და 2) სვიმონის შვილები და
 ესენიცა არიან სამ ხარისხათ: 1) ქაიხოსროსნი, მეორე ნიკოლოზისა და
 სხვანი მესამე თავადობისა ხარისხსა შინა, ხოლო კახეთს მცხოვრებისა პი-
 რველი არის იოანეს შვილი პირველის ხარისხით, ხოლო მეორეს თავადის
 ხარისხით — სვიმონის შვილნი.



8. თავადი ფალვენის შვილი

ძველად არიან ესენი მხარგრძელის შთამამავლობისანი, რომელნიც იყვნენ მხარგრძელნი უკანასკნელი მეფისა სპარსთასა ეზდიგარისა გვარისანი, ამათნი უკვე გვარნი განდევნილ იქმნენ სპარსთაგან და მივიდნენ ასურისტანსა შინა და მუნ დაემუნენ და მერე მიიღო ამათგან წინაპარმან, სარწმუნოება სომეხთა და აიესტანიდგან გადმოვსახლნენ ერევანს და იქმნა ამათ გვართა შინა წარჩინებული სერგის მხარგრძელი და შემდგომად ამისა განდიდებულ იქმნენ ზაქარია მხარგრძელი და იოანე ძმა მისი დროსა თამარ მეფისასა წელსა 1174-სა, რომელნიც მიღებულ იქმნენ სპასპეტებად და უკანასკნელ ზაქარია აღყუანებელ იქმნა ხარისხსა შინა ათაბეგობისასა, ხოლო მამულად აქვნდათ დვინი ერევანს რომელიც არს აწ გარნიჩაი და ფლობდენ თამარ მეფისა დროსა შინა და, ოდეს იოანე მხარგრძელმან მიიღო მართლმადიდებელთა ბერძენთა სარწმუნოება დროსავე თამარ მეფისასა, მაშინ იგი უმეტეს ახლდა თამარ მეფესა განუშორებლად და შემდგომად ამისა, ოდეს მოვიდნენ თურქნი საქართველოსა ზედა სულთანითურთ თვისით და სძლო მეფემან დავით ბაგრატიონმან მეუღლემან თამარ მეფისამან, მას ჟამსა შინა თანა ჰყვა ზაქარია მხარგრძელი იოანეთურთ და რა ძლევაი შეიმოსა მეფემან, მაშინ მიუბოძა ზაქარიას სასაფლაოდ მონასტერი სომეხთა საინი და მუნ სოფელი. ხოლო იოანეს უბოძა თვისი საზაფხულო სასაზღე სოფელითურთ ერედვად წოდებული, რომელ იოანესა შთამამავლობანი ჰსცხოვრებდენ მუნ და შემდგომად თამარ მეფისა შვილის-შვილისა დავით მეფისა დროსა, იქმნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და დაიპყრეს ჩინგიზთა საქართველო და ნოინთა, მაშინ ყრმა ერთი ამათგანი მხარგრძელი მოიტაცეს ოსთა და მუნ კავკასიასა შინა, თავადმან თავაურთაგანმან, ფალვენად წოდებულმან, აღზარდა შვილად თვისად, ვინაიდგან არა ესვა შვილი და მისცა ასული თვისი ცოლად და უწოდა სახელი თვისი მხარგრძელსა მას ფალვენა და მოიყვანა მამულადვე თვისა და მუნიდგან იწოდებიან ესე მხარგრძელნი ფალვენის შვილებად მუნ ჟამიდგან წელს 1244-სა და აწ არიან სხვა-და-სხვა სახლად განყოფილნი: 1) შიოშის შვილებად, 2) თეიმურაზის შვილებად, 3) ივანეს შვილებად, 4) იორამის შვილებად და კიდევ სხვად და აქვნდათ პირველის შვილისას ხარისხი პირველისა სახით, სხვანი მეორისა და მესამისა ხარისხით.



9. თავადი მაჩაბელი

ამათნი უკვე გვარნი არიან უფრორე ძველად კავკასიის მითი შთამოსრულნი, ანჩაფაიძეთ წოდებულნი თავადნი, რომელნიც პირველ მოსახლეობდენ აფხაზეთს შინა, ხოლო დროსა მეფისა ალექსანდრესასა, განიყო რა საქართველო სამ სამეფოდ, და მართვიდენ ძენი მის ალექსანდრესნი და უკანასკნელ, რა მოკვდა ძე ალექსანდრესი ვახტანგი და დაიპყრეს იმერეთი შთამამავლობათა რუსუდანიასათა, იქმნა მაშინ აღრეულეზბაი, რომლისა გამო აიყარნენ ანჩაფაიძეები, გამოვიდნენ ქართლსა, დაეშენნენ აჩაბეთს ადგილსა და მერე მეფემან გიორგიმ მიიღო ანჩაფაიძეები ესე და უბოძა ადგილი ლიახვის ხეობასა შინა და შესცვალა გვარი მათი მაჩაბელად, ვინაიდგან მაჩაბელი ნიშნავს სახელსა, რომელ არს ხვეის ბერი. ხოლო თათრულეზ სულთანნი, რომელ ესენი ავაზაკთა და ქურდთა კაცთა იყვნენ შემპყრობელ და დამსჯელ და ჯარიმათა გარდამხდევინებელ. ხოლო შემდგომად ამისა უმეტეს წარჩინებულ იქმნენ დროსა მეფისა თეიმურაზისა და ირაკლისასა წელსა 1733-სა, რომელ ეამსა ამას შინა ეპყრათ ქართლი ოსმალთა, მაშინ არა მკირედსა ვნებასა აძლევდა ზაალ მაჩაბელი და სხვანი თათართა და არცა მორჩილებდენ და ბრძოდენ ნიადაგ, რომლისა გამო პატივცემულ იყო მეფეთაგან, ხოლო აწ არიან მაჩაბელნი მოსახლეოთ: 1) ზაალის შვილები, 2) გიორგის შვილები, ხოლო მეორე რევაზის შვილები და სხვანი კიდევ მდაბალი გვართა ამათგან. პირველსა აქვს ადგილი და ხარისხი პირველისავე თავადისა, ხოლო სხვათა მეორისა და მესამისა. ეგრეთვე ამათნი გვარისანი ძველადვე არიან ბორტის შვილები თავადნი ესენიცა ქრცხინვალის ხეობაზედ მოსახლენი და არიან ორ სახლად: 1) ბარძიმის შვილები, 2) ზაზას შვილები და სხვანი ბელელას შვილები მდაბალნი.

10. თავადი ფალავანდის შვილი

ესენი იყვნენ მოსახლენი, პირველ ნახჩევანის ნაწილსა შინა ერინჯაქად წოდებულსა და სცხოვრებდენ მუნ წელსა ქრისტეს აქეთ 1184-სა, ხოლო უკანასკნელ ამათნი წინაპარნი სიაკვაცისა გამო მეფემან სომეხთამან გამო რეკნა და მოვიდნენ ახალციხეს და მუნ სცხოვრებდენ. შემდგომად ამისა წელსა 1600, რა დაიპყრეს საათაბეგო თურქთა, მაშინ მათგანი რომელნიმე გაათარდენ და დარჩნენ ახალციხეს, ხოლო სხვანი გარდმოვიდნენ




და მეფემან ლუარსაბ უბოძა მამული ძალინის ხეობასა შინა და დაასახლა მუნ და ვინაიდგან ძველადცა იყვნენ კეთილნი და მესამე ხარისხის თავადთცა იხსენებოდენ ამა მეფემან ლუარსაბმან მიიღო მესამისა თავადობისა ხარისხითა წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა შინა და იწოდებიან ფალავანდიანად, ვინათგან ამათგან გვართა პირველ ჟამსვე ფალავანობისა გამო გაუგვარდათ და აწ არიან ესენი მოსახლეთ: 1) გლახას შვილები, 2) ზურაბის შვილები, 3) როსტომის შვილები, 6) ზაალის შვილები, 7) ბერის შვილები, ხოლო რომელნიმე სახლობენ იმერეთს.

11. თავადი ამირეჯიბი

ამირეჯიბნი არიან ესენიც ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაცა აქეთ მამულნიცა ურთიერთისა შორის შერევილნი, გარნა ამირეჯიბობაი გაუგვარდათ სახელისა გამო, ვინაიდგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხსენებელსა მეფისასა, რომელიცა ნიშნავს (დაკლადჩიკს). ხოლო ესენიცა არიან ახალციხიდანვე მოსრულნი ქართლში, რომელნიც სახლობენ ზემო ქართლსა შინა ზემო ამირეჯიბად და ქვემო ამირეჯიბად. ზემონი არიან დავითის შვილები, ხოლო ქვემონი ზაზას შვილები. ასპანის შვილები, რომელნიმე ამათ გვარნი სცხოვრებენ იმერეთს აზნაურად და რომელნიმე ახალციხეს ბეგებად წოდებულნი.

12. თავადი ჩხეიძეები

ესენი არიან ძველადვე თავადნი იმერეთისა საერისთოსა ჩიხორად წოდებულისა, რომელიცა იყვნენ ღროსა ნარინ დავითისა ბაგრატიანისასა ცნობილნივე თავადად წელსა ქრისტეს აქეთ 1237-სა და რომელ უკანასკნელ ამათნი სახლის შვილნი იწოდნენ ერისთავად რაჭისა, ხოლო შემდგომად ამისა ამა ერისთავთაგან დამდაბლებულნი სახლის კაცნი თვისნი მოვიდნენ ქართლსა შინა და მეფემან ვახტანგმან მიუბოძა ადგილნი სურამის კერძოდ და დაასახლა მუნ წელსა 1668, და არიან მუნიდგან მოსრულნი ქართლში და აგრეთვე იმერეთში დაშთომილნი ჩხეიძენი და სხვა-და-სხვა სახლად მოსახლენი.



13. თავადი ხიდირბეგის შვილი

ესენი არიან გვართ ამილახვარისა გვარისანი, ვითარცა აღვწერეთ ზემორე. ხიდირბეგის შვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინა-პარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან, და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამამავლობათა ხიდირბეგის შვილობა. ხოლო ამა ხიდირბეგისა შვილნი მოვიდნენ ქართლსა შინა სურამის ხეობის ადგილს ხაშურსა შინა და მუნ მიუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა და ნათელ იღეს ამით და იწოდნენ გვარად ხიდირბეგის შვილებად და არიან ზოგნი ამათნი გვარნი დაშთომილნი ახალციხეს ხიდირბეგის შვილებად, თათრებად და სხვანი ქართლში მამუკას შვილებად და სხვანი კვალად ხიდირბეგის შვილებადვე.

14. თავადი დავითის შვილი

არიან გვართ ბაგრატიონნი, რომელნიც აწ მოსახლობენ ქრცხინვალის კერძოდ ნულის ხეობასა შინა და არიან ორ სახლად: 1) ზაალის შვილებად, ხოლო 2) ელიზბარის შვილებად, ხოლო სხვანი მდაბლნი ამათისა გვარისანავე არიან ფცას მოსახლენი: შანშე შვილებით და სხვანი კვალად ლეონის შვილები.

15. თავადი ხერხეულიძე

ესენი არიან ძველად სამცხესა შინა ადგილის ხერხეთის მცხოვრებნი და მათის ხეობისა მოხელენი, დროსავე თამარ მეფისასა და ამით ნათესავთაგანიცა იყო მოხელედ კავკასიასა შინა, ადგილსა ნარად წოდებულსა, რომელმანცა მუნებურისა კარგისა გვარისა ოსისა გორჭიშვილისა ქალი შეირთო ცოლად და მის გამოცა შვილთა მათთა უწოდდნენ გორჭიანად, ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა დიდისა თეიმურაზისა, ოდეს სპარსნი მოვიდნენ ურიცხვითა მხედრობითა საქართველოსა ზედა და ბრძო მეფემან თეიმურაზ ადგილსა მარაბდად წოდებულსა, წელსა ქრისტეს აქეთ 1633-სა, ამა ბრძოლასა შინა მხნედ გამოჩნდა აღათანგი ხერხეულიძე, რომელიცა იქმნა წარჩინებულ და მერე შთამამავლობანიცა იყვნენ პატივ-ცემულ მეფეთაგან და მოხელენიცა იყვნენ სხვა-და-სხვა სამსახურსა



შინა, და აწ არიან ხერძეულიძენი სხვა-და-სხვა სახლად: 1) დავითის შვილები, 2) გიორგის შვილები, 3) ჯამასპის შვილები, 4) ალათანგისა და მისის ძმისწულის შვილები და სხვანი კიდევ ზაქარიას შვილები და მკვიდრობენ ქრცხინვალის ნაწილებთა ადგილთა შინა.

16. თავადი თაქთაქის შვილი

ესენი იყვნენ პირველად სამცხის თავადნი ჯა ამათი წინაპარი შეიქმნა მამალიანი და უწოდეს თაქ ალა. ოდეს დაიპყრეს თურქთა ახალციხე და მერე დროსა მეფისა თეიმურაზისა მოვიდნენ შვილნი ამათნი და მიიღეს მართლმადიდებელთ სარწმუნოება წელსა 1627-სა და დაემუნენ ქრცხინვალის ადგილის ნაწილთა შინა და არიან მუნითგან თაქთაქის შვილად, თავადად მიღებულნი. ამათნი სახლნი არიან: 1) ელიზბარის შვილები, 2) ივანეს შვილები და სხვანი.

17. თავადი თუმანის შვილი

ესენი ძველად იყვნენ ვანის ადგილთა შინა მოსრულნი კილიკიიდან და მსახურებდნენ მეფესა ბაგრატოანსა თეოდორეს, სომეხთა მეფესა წელსა 1167-სა. ხოლო უკანასკნელ ამათნი გვარნი უკვე გარდასახლდნენ გილანსა შინა და იყო ამათსა შინა უპირველესი თუმანა სომეხი თავადობისა ხარისხითა, ხოლო უკანასკნელ ესე თუმანა მოვიდა დედა წული თურთ თვისით საქართველოსა შინა და მიღებულ იყო მეფეთაგან. ხოლო ასწყდენ რა გვარნი ამისნი დაშთა ერთი ოდენ ყრმა მცირე და ზრდიდა ბებია თვისი. ეამსა თურქთაგან დაპყრობისა ქართლისა წარვიდნენ დასახიზნავად სამეფოსა ადგილსა შინა მთასა კავკასიისასა, როკად წოდებულსა, და მუნ ბეზიამან მისმან აქორწინა კარგისა ოჯახისა გვარისა ქალსა ზედა და შვა მუნ ძენი და უკანასკნელ ბებია ამათი მოვიდა ძღვნითა ისაყ ფაშისა თანა და ევედრა შვილის შვილთა თვისთათვის და რომელ ფაშამან მისცა ადგილი ხელთუბანი და შთამოვიდნენ მუნ თუმანიანი და რომელიმე დაშთა მასვე ადგილსა როკასა შინა, რომელნიც იწოდებიან თომანიანად და ესენი თუმანიანად. წელსა 1726-სა ოდეს განასხნა ნადირშაჰ ოსმალნი საქართველოდგან, ამათ გვარნი იწოდნენ მდივნებად მეფისა თეიმურაზ მეორისა და მსახურებდნენ. ხოლო შემდგომად მეფემან ირაკლიმ მიუბოძა გვარად მამიკუნნიანობა, რომელნიცა აცხადებდნენ თავსა თვისსა მამაკუნნიანად, გარნა



გაგვარებულად აქვსთ თუჟმანის შვილობა, რომელ არიან რაოდენიმე სახლად: 1) ნიკოლაოზის შვილები, 2) სულხანის შვილები, 3) მანუჩარის შვილები, 4) ბირთველის შვილები, 5) ეგნატეს შვილები, 6) კიდე თუჟმანის შვილები, ბირთველისა და სხვათა.

18. თავადი ავალის შვილი

ესენი ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეულნი ნათესავნი, რომელსაც ამათ წინა-პარსა ავალა ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბეგი და დაიპყრა ახალციხე თვისად შეწვევითა თურქთა წელსა 1601, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა, რომელიმე განვიდენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: 1) პეტრეს შვილები, 2) გოგიას შვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი, ხოლო იმერეთს შინა რომელნიმე არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა.

19. თავადი შალიკა შვილი

ესენიცავე არიან საათაბეგოდგანვე მოსრულნი შემდგომად განდგომისა ათაბეგისა და არიან მონათესავენი შორიელნი ათაბეგისა და ესენი მიღებულ იყვნენ პატივით დროსა სვიმონ მეფისასა წელსა 1550-სა და ესრეთვე უწოდებენ როჭიკა შვილებათ სახელისა გამო ამათ წინა-პარსა. ესენი სცხოვრებენ გაღმა მხარს ქართლისა სკრად წოდებულისა და არიან აწ ორ სახლად: 1) ვილახლას შვილები, 2) ბეცია შვილები, გვართა ამათგანნი, რომელნიმე გარდასახლებულ არიან რუსეთსა შინა აღრითვე და რომელნიმე სახლობენ ახალციხესა შინა.

20. თავადი ბეგთაბეგოვი

არიან ძველადვე სომეხთა მელიქთაგანნი და პირველ მოსახლენი ქალაქსა შინა ანსა. ხოლო შემდგომად დაპყრობისა სპარსთაგან ადგილთა მათ,



მოვიდნენ საქართველოსა შინა, რაოდენისა მეკომლისა კაცითა და მიიღო მეფემან პატივითა თავადობისათა. ხოლო უფრორე დროსა მეფისა თეიმურაზისა შეიქმნენ წარჩინებულნი და მიიღეს მეფისა მდივნობისა ხარისხი ამათთა წინა-პართა წელსა ქრისტეს აქეთ 1633-სა და აწ არიან: 1) სულხანის შვილები, 2) ბეგთაბეგის შვილები, 3) დავითის შვილები და სხვანი. ხოლო ყარამ დიგნის შვილები აწყვეტილ არიან და არვინღა არის მათი შვილთაგანი.

21. თავადი ვეზირის შვილი

ესენი არიან ძველადვე სპარსნი და მუნებურნი ბეგის გვარისანი და რომელიცა ყიას ბეგ ვეზირად წოდებული იყო მეფისა როსტომისა თანა განუშორებელ და მიიღო ქართლისა მეფობაი როსტომ მეფესას წელსა ქრისტეს აქეთ 1634-სა, ესე ყიას ბეგ ვეზირიცა თანა ჰყვა და მიღებულ იყო თავადად. ისინიცა გვართვე იყვნენ ვეზირის შვილები და ბეგები და ესრეთვე ნადირშასა დროსაცა იყო საქართველოსა შინა ვეზირი შვილი იბრაიმ, თანა შემწე მეფისა თეიმურაზისა. შემდგომად სიკვდილისა იბრაიმისა მიიღეს მისთა შვილთა ქრისტიანობა მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა, რომელნიცა მოსახლობენ ქართლში სურამის კერძოდ აწ გორის ანუ გიორგის შვილებად; ხოლო სხვანი ამათნი სახლის კაცი მოსახლობენ ტფილისს მამადიანადვე და არიან ორ სახლად: 1) გაბაშის შვილი, ხოლო 2) აღაბაშის შვილი.

22. თავადი რატის შვილი

ესენი არიან გვართ ქსნის ერისთავნი, რომელიც ზემორე აღესწერეთ და რომელიცა დამდაბლდნენ და რომელნიმე ასწყდენ ქსნის ერისთავთაგან და გამოიღვენენ ქსნიდგან და დაეშენნენ ქსოვრის სამუხრანოსა ადგილსა შინა. ხოლო ამა რატის შვილთაგანნი ბეჟანად წოდებულ იქმნა მეფის ვახტანგისაგან. ირაკლისაგანვე აღყვანებულ სათავადობისა ხარისხსა შინა. ხოლო ერთი ამათგანი სცხოვრებდა რუსეთსა შინა, ხოლო აწ არიან თავადად ბეჟან რატი შვილი, რომელიცა ვახტანგ დროსავე იწოდებოდა თავადად წელსა 1724 და მეფის ირაკლის დროს წელსა 1783-სა და აწ არიან ბეჟან რატი შვილები, ხოლო სხვანი არიან აზნაურად შალვას შვილები და სხვანი.

23. თავადი ჯავახიშვილი

ეს პირველ იყვნენ მოსახლე აბულეთისა შინა კერძოდ ჯავახეთისა და ესენი იტყოდნენ ქართლოსიანთ გვარობასა ჯავახოსისგან შთამამავლობასა, ხოლო უკანასკნელ დროსა — მეფისა ბაგრატიანისა, ოდეს მეფე იქმნა ბაგრატ წელსა 1360 და დროსა ამისასა მოვიდა ლანგ თემურ და ბრძო მეფესა, მაშინ ჯავახოს სახელ წოდებით დიდად გაისარჯა და მრავალგან ბრძო თათართა და შემდგომად მეფემან ამანვე გადმოსახლნა ჯავახოს და სახლეულნი მისნი და დააშენნა გაღმა მხარს ფხოველის ადგილსა შინა და უბოძა ხეობასა მას შინა ადგილნი და სოფელნი. ხოლო ესენი არიან ერთ დროს ციციშვილებთან გადმოსრულნი და მუნიდგან იწოდებიან თავად ჯავახის შვილებად და აწ არიან მოსახლედ: 1) თეიმურაზის შვილები, 2) ვახუშტის შვილები, 3) დიმიტრის შვილები, 4) ქაიხოსროს შვილები, 5) იოსების შვილები.


24. თავადი შარვაშიძე

ესენი არიან გვართვე აფხაზთა მთავრისა შარვაშიძეს მონათესავენი და მუნითგან მოსრულნი საქართველოსა შინა დროსა გიორგი მეფისასა ქრისტეს აქეთ წელსა 1325-სა, რომელმაც მიიღო კარგად და უბოძა ადგილნი თეგამის (*) ხეობასა ზედა და არიან მუნიდგან. ხოლო დროსა მეფისა ირაკლისასა უმეტეს წარჩინებულ იქმნა ელიზბარ შარვაშიძე, რომელიც დროსა ნადირშაისასა თანა წარყვა მეფე ირაკლის ინდოეთსა და ახლდა მუნ და ოდეს მუნიდგან მოვიდა მეფე ირაკლი და შეაერთა ქართლი და კახეთი, მაშინ იყო არაგვის ერისთვის მოადგილედ და აგრეთვე უბოძა მოლარეთ უხუცესობისა ხარისხი და აწ არიან მისი შთამამავლობანი ორ სახლად: 1) მალაქიას შვილი და 2) ივანეს შვილი.

(*) ეხლა თეგამის ხეობას უწოდებენ ხალხი.

25. თავადი თარხნიშვილი


ესენი ძველად იყვნენ დალისტნის მხრის თავადნი, ჭანკაანად წოდებულნი, რომელნიცა აწცა არიან დალისტანს და ბელაქანსა შინა ჭანკაანად წოდებულნი. ამათნი გვარნი ვინმე მოვიდნენ სისიანის კერძოდ. ნახჩევანის მხარეს და დაეშენნენ მუნ და მეფემან სომეხთამან მიიღო ხარისხითა პირ



რველისა აზნაურობისათა და მიიღეს ამით სარწმუნოება სომეხთა და უწოდეს სააკ (რომელი არს ისაკ) და მისცა ადგილი აგულელს შინა და გუბთანისა მოხელედ განაწესეს წელსა ქრისტეს აქეთ 767-სა, ხოლო უკანასკნელ რა სპარსთა იწყეს დამდაბლებად სომეხთა სამეფოსა, გადმოსახლდნენ მუნითგან და მოვიდნენ ქართლს და მეფემან საქართველოსამან მიიღო იგი და უბოძა თევგის ხეობასა შინა მამულნი და მოხელობა კლდე-კარისა. ხოლო შემდგომად ამისა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1503 იწოდებოდნენ მოურავებად და ხარისხით მესამე თავადად და უკანასკნელ ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი სპითა დიდითა საქართველოსა ზედა წინამძღომელობითა სააკაძე გიორგი მოურავისა, ვითარცა მოუთხრობს ქართველ მატთანესა შინა; მიზეზითა ამით მეფეცა ლუარსაბ შეპყრობილ იქმნა შააბაზ ყაენისაგან, რომელიცა აიძულებდა მამადიანობასა, ხოლო მეფე, არა მიძღები ბრძანებისა მისისა, იწამა ქრისტესთვის წელსა 1622-სა და შემდგომად ამისა შააბაზმან დაუმტკიცა თავადობა გიორგის და უბოძა გვარად თარხანობა (რომელ არს თათრულეზ თავისუფლება) და მუნიდგან იწოდებიან თავადად თარხნის შვილებად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ გაღმა მხარს ახალქალაქსა ადგილსა შინა: 1) ბეციას შვილები, 2) ზაზაშვილები, 2) გლახას შვილები, 4) პატარა ბეციას შვილები და სხვანი სააკაძენი სახლობენ აზნაურად ტანის ხეობასა ზედა რაოდენსამე სახლად.

26. თავადი მალალაშვილი

ესენი არიან იმერეთიდგან მოსრულნი საქართველოსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესა ქრისტეს აქეთ 1415 და მეფემან ალექსანდრემ მიიღო ესენი აზნაურად და უბოძა იოწის ძის (?) მამულიდგან, ნაწილი და შესწირა მცხეთის ეკლესიასა, ვითარცა წერილ არს გუჯარსა შინაცა და დასახლა მეტეხსა შინა, ხოლო უკანასკნელ მეფემან ირაკლი უბოძა თავადობაი ამილბარ მალალაშვილსა ქრისტეს აქეთ 1783-სა და არიან თავადათ: 1) ამილბარის შვილები, ხოლო 2) დავითის შვილები და სხვანი ამათნი სახლის კაცნი აზნაურად: 1) სვიმონის შვილები, 2) ნიკოლაოზის შვილები, 3) იოსების შვილები, 4) გაბრიელის შვილები, 5) ივანეს შვილები, 6) გიორგის შვილები და სხვანი.



27. თავადი ბარათაშვილი


ესენი არიან ჯამბაკურიანთა თანა ერთის დროისანი, რომელიც ზევით აღვწერეთ (2) პუნქტშია. და არიან სხვა-და-სხვა სახლად გაყოფილნი და მოსახლენი სომხითსა შინა.

28. თავადი აბაშის შვილი

ესენი იყვნენ ძველად ყიფიანნი ეგვიპტის ნაწილიდგან; ოდეს მეფეს დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს, მაშინ აბაშმა ამათ ცხენი თვისი მიართო და განაჩინა მით წელსა ქრისტეს აქეთ 1285-სა და შემდგომად ბრძოლისა, მეფემან მიიღო აბაში იგი და მერეთ, შემდგომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა აბაში იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა თავადობა აბაშადვე წოდებით და სომხითსა შინა სამეფო-თაგან ადგილნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამიდგან არიან თავადად აბაშად აღვიარებულნი. გარნა ამა დროსა შინა ასწყდ გვარი მათი და არვინლა არიან შთამამავლობანი მისნი.

29. თავადი მელიქის შვილი

ესენი პირველ იყვნენ სომეხნი ლორის მელიქთა ნათესავთაგანი აზნაურნი და ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი ერევანს მხედრობითა დიდითა და მუნ იხილა მეფე გიორგი ქართველთა და აღექსანდრე მეფე კახთა და ბრძვეს ოსმალთა ერევანს და აღიღეს ციხე ერევნისა და განდევნეს ოსმა-ლნი. შემდგომად შააბაზმან გამოართო მეფეთა ლორე თვისთა ხეობითა და დაადგინა მხედრობანი თვისნი, მაშინ მუნებური მელიქი მივიდა წონაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობაი და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა წელსა ქრისტეს აქეთ 1601. და მუნიდგან იწოდებიან თავადად მელიქის შვილებად. აწ არიან მოსახლედ: 1) ავთანდილის შვილები, 2) თეიმურაზის შვილები და სხვანი.



30. თავადი სოლოლაშვილი

ესენი არიან ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი. ამათი წინა-პარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულალად, ხოლო ამის შთამამავლობისანი, რომელთაც მიიღეს მამადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატისასა წელსა 1375-სა და მეფემან მიიღო თავადობისა ხარისხითა და უბოძა გვარადცა სოლოლას შვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრებნი სომხითსა, რომელნიმე გარდმოვიდნენ რუსეთს და დაშთნენ, ხოლო სხვანი ამათნი დაშთნენ ქართლსავე შინა და აწ არიან: 1) იესეს შვილები, 2) ზაზას შვილები და სხვანი ძმანნი ამათნი, ხოლო სხვანი სოლოლას შვილები, რომელნიცა არიან თათრად, მცხოვრებენ ახალციხის ნაწილსა შინა ჩირდილის კერძო ადგილსა.

31. თავადი იოთამის შვილი

არიან გვარით ბარათიანნივე, ხოლო დროსა მეფისა კოსტანტინესა სიზნისა და მამაცობისა გამო იწოდა ქავთარად, რომელ არს აფთარი (ხოლო რუსულეზ ლენია) და აწ იწოდებიან გვარნი ამათნი რომელნიმე იოთამის შვილებად და თავდანიცა თავალთოანნიცა არიან ამათნივე ძმათა შვილები.

32. თავადი იარალის შვილი

ესენი არიან გვარით სომხეთის ერისთავის გვარისანი, ხოლო ამათგანსა იწოდა რომელსამე იარალი და მერე მისთა შთამამავლობათა გაუგვარდათ იარალის შვილობა მეფობისა გიორგისასა ქრისტეს აქეთ 1609 და მუნიდგან იწოდებიან იარალის შვილებად.

33. თავადი დოლენჯის შვილი

ესენი არიან ძირით სომხეთის თავადნი და მიიღეს გვარად სახელისა გამო დოლენჯისა მეფობასა ვახტანგისასა ქრისტეს აქეთ 1703 წ. და მუნიდგან იწოდებიან დოლენჯის შვილებად. ამათნი წინა-პარნი ცნობილნივე იყვნენ დროსა მეფისა სვიმონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1624 და მათი გვარნი რომელნიმე არიან ახალციხის ნაწილთა შინა.

34. თავადი ზურაბის შვილი


ესენი იყვნენ სომეხთ სამეფოდგან მოსრულნი ანის ადგილიდგან დროსა მეფისა ბაგრატისასა, წელსა ქრისტეს აქეთ 1064-სა. და მერე იყვნენ ამით გვართავანი ორნი ზურაბ და ნაზარ ზურაბის შვილნი. მოსახლობდენ ლორის ხეობასა შინა ახპატსა და აქვნდათ მამულნი სხვა-და-სხვა ადგილთა შინა, ხოლო ნაზარ მარაბდას გარდა. ამით გვარნი დროსა ამა შინა არვიწყელა არიან, რომელ ასწყედენ შთამამავალნი ამათნი.

35. თავადი გურჯი რევაზის შვილი

ესენი არიან ბართაანთ გვარისანი, გარნა გაუგვარდათ სახელი, სომხნისა გამო, რომელ გურჯი რევაზად სახელდვეს თათართა, ოდეს ბრძოდენ მათ და რომელიც ითარგმანების (გურჯი რევაზ) ქართველი რევაზ და ესე გვარი მიიღო რევაზმან დროსა მეფისა ვახტანგისასა წელსა 1703-სა და მუნიდგან იწოდებიან გურჯი რევაზის შვილებათ მისნი შთამამავლობანი და არიან რაოდენსამე სახლად სომხითსა შინა.


36. თავადი სუმბატის შვილი

ესენი არიან ძველადვე სომეხთა მეფეთა თავადნი, რომელ სუმბატ იყო ლალა უკანასკნელ მეფისა არტაშერისა არშაკუნიანისა, წელსა ქრისტეს აქეთ 68-სა. შემდგომად ამისა, ოდეს მოიწია მხედრობითა დიდითა ბაღდადის კერძოდგან ამირ არაბი და აღაოხრა სომეხთა სამეფოთა ადგილი, წელსა ქრისტეს აქეთ 882-სა, ამით სუმბატთა ნათესავთა ანიდგან განივლტნენ აზრუმისა და ტრაპიზუნის მხარეს და დაშთნენ მუნ. შემდგომად მოვიდნენ დროსა მეფისა გიორგისასა შთამამავლობანი მათნი და მიიღო მეფემან გიორგი თავადობისა ხარისხითა სუმბატის შვილებათ წელსა ქრისტეს აქეთ 923. და იწოდებიან მუნიდგან სუმბატის შვილებად და აწ არიან ერთ სახლად, პაატას შვილებად, ხოლო შვილი შვილნი ამათნი: 1) თომას შვილებად, იოანეს შვილებად და სხვანი.



37. თავადი არლუთაშვილი

ესენი იყვნენ ძველად ჯუღელი სომეხნი და არლუთა ვინმე სომეხმან მსახურა არლუნ-ყაენსა, რომელმაც აჩვენა სხვა-და-სხვა შამოსავალნი და დასლო დიდი ხარჯი ქრისტიანეთა ზედა და ჯილდოთ ამისა არლუნმან უწოდა არლუნინობა და მიიღო აზნაურობისა ხარისხითა, წელსა ქრისტეს აქეთ 1287-სა და იწოდებოდნენ არლუთად. უკანასკნელ დროსა ყაზან ყაენისასა არლუთაანნი აიყარნენ სპარსთა ბევრისა ხარჯისა მიცემითა და გარდმოსახლდნენ ასურეთის მხარეს, ქურთების სომეხების ადგილთა შინა და იყვნენ მუნ შემდგომად დროსა მეფისა გიორგისასა, წელსა ქრისტეს აქეთ 1397. რა მოვიდა მეორედ ლანგთემურ და შემუსრა ყოველგან ადგილნი საქართველოსანი და ეგრეთვე შემუსრა ლორეს ხეობაზედ მონასტერნი აბტალა და სანაინი სასაფლაო სომეხთ მეფისა; შემდგომად ამისა მოვიდა ქურთებიდგან (ვართაპეტი), რომელ არს მღვდელ-მონაზონი, სომხურად პარკიკუქად წოდებული, რომელიც იყო პირველ ტერტერა ანუ სომეხთა მღვდელი და ჰყვა შვილები და მოვიდნენ ესენი სომხითს და დაემუნენ ქციისა პირსა ზედა დროსა კონსტანტინე მეფისასა წელსა 1410-სა და მერე პარკიკუქამ ვართაპეტმან ჰსთხოვა მეფესა განახლება სანაინისა ეკლესიისა და მისცა ნებავი მეფემან და გაახლა იგი ეკლესია და დაემკვიდრა მუნ და ეკლესიასა ზედა დააწერინა სახელი თვისი და განახლება მისგანვე, რომელიც იყო ვიდრე აქამომდე. ხოლო ვართაპეტისა შვილსაცა ეწოდა არლუთა და მეფემან მიიღო აზნაურად არლუთაშვილებად; ხოლო უკანასკნელ დროსა ნადირშაისასა ამათი ნათესავი იყო ვინმე მაიარბაშად წოდებული და სახლთხუცესი ნადირისა და სწყალობდა დიდად ნადირშა და ამან მსახურა და შეეწია ნადირშასთან მეფესა თეიმურაზს და მეფესა ირაკლის და სთხოვა თვისთა სახლისა კაცთა არლუთაანთათვის მამული და უბოძა მეფემან სანაინს შინა ადგილნი და ქციისა პირსა ზედა სოფელი ავლავარი და მინბაშობა მისხანის მადანსა შინა მცხოვრებთა და ზედა მდგომლობა მადნისა და მუნიდგან ათის თავი, რაიცა მადნიდგან სპილენძი შემოვიდოდა. ხოლო უკანასკნელ დროსა იმპერატორის პავლესასა მიიღეს მხარ-გრძელისა გვარობა სომეხთა არქიერისა ოსეფასაგან შეეწენით, რომელიცა იყო ბეჟან არლუთაშვილისა ძმა და დროსა იმპერატორის ეკატერინესასა და მეფისა ერეკლესასა, ტრაკტატსა შინა დადებულსა მისვე არქიერისა შემდგომლობითა ბეჟანისა და მოსეს სახლმან იწოდა თავადობა არლუთაშვილად და არა მხარგრძელად. გარნა არქიერნი და მისი ძმანი იწოდებოდნენ მარკოზაშვილებად, ვითარცა არს სომეხთა ისტორიასა შინა მოხსენე-




ბულიცა. სხვანი ჯუმაშვილებად და კვალად სახლის კაცნი ამათნი თაყაშვი-
ლად, სისუა შვილად, ზუზუინად და მათაშვილებად და სხვა. და ესე ყოვე-
ლნი აზნაურად.

38. თავადი ბებუთოვი

ესენი არიან მოსრულნი ანისა ქალაქიდგან, ოდეს სპარსთა აღაობრეს
ადგილი იგი და მოვიდენ გვარნი მათნი და დაეშენენ კახეთისა ნაწილსა
შიგან ადგილსა, მახლობელ ტფილისისა, სოფელსა პირშავად წოდებულსა
და მერმე მიადწიეს პირველსა მოქალაქეობისა ხარისხსა შინა და იყვნენ
მდიდარ და იყიდეს ადგილნი; აღაშენეს აბანოები და ქარავსლა და იყიდეს
ბალი და დაეშენენ კარგად. ამათმან შთამამავლობამან, აზმარბეგმან, უმე-
ტეს შემატა მამულსა თვისსა და მიიღო ხარისხი მელიქობისა და დიდად
სწყალობდა და უყვარდა ისაყ ფაშასა, ოდეს ეპყრათ საქართველო ოსმა-
ლოთა ქრისტეს აქეთ 1731 და ამა აზმარ ბეგმან დიდად მსახურა დროსა
მას მეფესა თეიმურაზს, ოდეს ენება ღალატით სიკვდილი მეფისა ფაშასა
და ამან აზმარბეგმან ამცნო მეფესა იღუმალ ფაშისგან ღალატი და მეფე
განივლტო და განერა ხელთაგან, მისთა და ამა მიზეზისა გამო აზმარბეგ
მოაშთო ფაშამან. ხოლო უკანასკნელ, რა დაიპყრა ქართლივე მეფემან
თეიმურაზ, უბოძა შვილთა მისთა ჯილდოდ სოფლები და აზნაურობისა ხა-
რისხი და დაუმტკიცა ქალაქის (რომელ არს გოროდნიჩი რუსულად) და
ეგრეთვე სწყალობდა დიდად აღამელიქს და შვილსა მისსა ავეტიქს მეფე
ირაკლიც, რომელმანცა უბოძა თავადობა ავეტიქს მელიქსა და ძმასა მისსა
გვარად თავად ბებუთოობა წელსა ქრისტეს აქეთ 1783 და არიან მუნი-
დგან თავადად წოდებულნი: 1) ავეტიქას შვილები, 2) მისკარმაშიონეს
შვილები, 3) იოსების შვილები, აზმარ ბეგისა და სხვანი.





კახეთის თავადნი

1. თავადი ჩოლაყაშვილი

ესენი არიან ძველად გენუზიელნი (რომელ არიან ერნი იტალიისანი და ამათი დიდი ხალხი მოვიდნენ და დაიპყრეს ყირიმი წელსა ქრისტეს აქეთ 1100 და შემდგომად მიუღეს ვენეციელთა წელსა 1297-სა და ვაჭრობდენ პონტოიისა ზღვიდგან ვიდრე კასპიის ზღვამდისაცა და ამათგანმან ვინმე წინამძღომელმან მოიწონა ადგილი გემრი დალისტანის მხარეს და გარდმოსახლდა მუნ ერითა მრავლითა, რომელსა აწცა უწოდებენ გენოელთა და ქოფაჩთა და მთავარსა მას გენელთასა უწოდეს დალესტნელთა ჩოლაღად, ვინაიდგან ჰყვა მრავალი ცხოვარი და ზროზა და ვაკე ადგილთა ხმარობდა იგი და აწუხებდა მუნებურთა ამა მიზეზისათვის მუნებურთა უკვე ხალხთა აღიღეს შური ჩოლაღაზე, იავარ ჰყვეს ყოვლითურთ და ასე გააღარბეს, რომელ ერთისა ხარისა საკიდარითა ძლივდა მოვიდა სახლეულობითა თვისითა დარუბანდის გზით მეფისა გიორგისა თანა წელსა ქრისტეს აქეთ 1320-სა და ამა მეფემან მიიღო იგი ფრიად, რადგან აქვნდა პირველვე საქართველოს მეფეთა ზედა სამსახური ამათა წინა-პართა და შემდგომ ამა ჩოლაღასაცა და ამისთვის მეფემან შეიწყნარა და მიიღო თავადად ჩოლაღადვე გვარად და უბოძა კახეთსა შინა მამულნი ბეითალმანი თავადის ირუბაქის ძისა (რომელიც იყო ირუბაქ კახოსის შთამამავლობათაგანი ძველადვე ადგილსა (სენორის ხეობასა მდგომარე) და უბოძა მუნ სოფლები და აგრეთვე ახმეტას და თიანეთს ნაწილნი მამულნი და არიან მუნიდგან თავადნი პირველნი თითქმის კახეთსა შინა. ესენი აწ არიან განყოფით მოსახლენი: 1) დურმიშხანის შვილები, 2) ჯარდანის შვილები, 3) გივის შვილები, 4) ქაიხოსროს შვილები, 5) ჯიმშერის შვილები, ქაიხოსროს შვილები, 6) ერასტის შვილები, 7) დიმიტრის შვილები, 8) ჯამასპის შვილები.

2. თავადი მაყაშვილები

ესენი არიან მეორისა ხარისხისა თავადნი მისვე ჩოლაღას გვარისანი და ამათაცა აქეთ მამული ნაწილი ირუბაქის ძისავე და არიან ესენი მოსახლედ 1) ლუარსაბის შვილები, 2) იოსების შვილები, 3) გოშპარის შვილები, 4) ზურაბის შვილები, 5) სვიმონის შვილები.

3. თავადი ანდრონიკეს შვილი


ესენი არიან გვართ მანოელ კეისრისა ძმის წულნი, რომელნიცა გამოძევებულ იქმნენ საბერძნეთიდგან და მოვიდნენ საქართველოსა შინა დროსა მეფისა გიორგისასა წელსა 1144-სა, ხოლო მეფემან დიდად მიიღო ესე ანდრონიკე სახლეულობითურთ თვისით და უბოძა კახეთსა შინა მამულნი სოფლებითურთ და დაეშენნენ მუნ, რომელსაცა ადგილსა მას ეწოდების აწ საანდრონიკო და სცხოვრებენ მუნიდგან წოდებით თავადათ ანდრონიკე შვილებად, რომელნიცა არიან აწ განყოფით მოსახლენი: 1) პაპუას შვილები, 2) თამაზის შვილები, 3) სოლომონის შვილები, 4) მდივან ბეგის შვილები ანუ ქაიხოსროსნი, 5) მზეჭაბუკის შვილები, 6) ზურაბის შვილები, აწ ზაალის შვილებად წოდებულნი, 7) ერასტის შვილები, ესენი არიან მოსახლედ დავითის შვილებად: 1) დიმიტრის შვილები, 2) ივანეს შვილები, 3) პეტრეს შვილები, ამათ სახლის კაცნი და სხვანი.

4. თავადი აბაშიძე

ესენი არიან ვითარცა ზევით აღვწერეთ აბაშიძეების შთამამავლობანი და იყო ივანე აბაშიძე ძე ზაალ აბაშიძისა, რომლისა ქალი მეფესა ერეკლესა ჰყვა ცოლად, რომლისაგან იშვა მეფე მე-13 გიორგი და არიან კახეთსა შინა მცხოვრები ორ სახლად: 1) ივანეს შვილები, 2) სვიმონის შვილები.

5. თავადი ვაჩნაძე შვილი

ესენი ძველად იყვნენ სომეხთავე მეფეთა დროსანი, არტავაზის შვილებად მოხსენებულნი მამუკუნიანთა გვართა, რომელნიცა პირველ იყვნენ მოსრულნი კიტაიის მხრიდგან ვანსა შინა და სპასპეტნიცა სომეხთა მხედრობისა წელსა ქრისტეს აქეთ 286-სა, ხოლო შემდგომად ამისა გარდმოვიდა კახეთსა შინა ამა ვაჩას შთამამავალი ვარდან მამიკუნიანი და დაეშენა ხორანბუჯს შინა, რომელსა ეწოდების აწ ჭოეთი და ამათ მიუბოძა მეფემან სუმბატ კახეთსა შინა ადგილნი, რომელსა ეწოდების აწ სავაჩნაძო და არიან მუნიდგან ვაჩნაძედ წოდებულნი. ხოლო მეორეცა გვარი მიიღეს ბებურისა გამო, რომელიცა იყო ვაჩნაძე ბებურ ჩინებული ვაჟი-კაცი. ამის გამო აწ უწოდებენ ბებურის შვილებადაცა. ვაჩნაძეები




ესენი არიან მამულით სახელებითაც სხვა გვარად წოდებულნი, ესე იგი, ასათის შვილებად და აგათოშვილებად და ონანა შვილებად, ხოლო პირველნი არიან ამათ შორის მოსახლენი: 1) ბებურის შვილები, 2) ყაპას შვილები, 3) გიორგის შვილები, 4) აიდებურის შვილები, 5) თამარის შვილები და ომანის შვილები. ესენი სახლობენ კარდენახს. ხოლო აგათოშვილები ბაკურციხეს და ონანაშვილი კოლავს. თუმცა ონანაშვილი იყვნენ პირველ სომეხთა გვარნი, გარნა მეფემან ერეკლე პირველმან შუამდგომელობითა განჯის ბეგლარბეგის ქალბაღის ხანისა თხოვნითა უბოძა ვაჩნაძეობა წელსა ქრისტეს აქეთ 1695-სა და მამული ამოწყვეტილი ვაჩნაძისა და გვარიცა მისივე და ესრეთვე მეფემან თეიმურაზმანცა და მეორემან ირაკლიმანცა მიიღეს რიცხვთა შინა თავად ვაჩნაძედ და აწ არიან მოსახლედ ლუარსაბის შვილებად წოდებულნი.

6. თავადი სიდომონის შვილი

ესენი არიან გვარით არაგვის ერისთვის შთამამავლობისანი, რომელიც დავსწერე ზემორე არაგვის ერისთავთათვის და შთამამავლობათა მათთათვის.

7. თავადი ჯორჯაძე შვილი

ესენი არიან ძველად გვართაგან ჯორჯიკ ვაშატიელის შვილთაგან შთამამავლობათაგანი, რომელნიც რანის ადგილიდგან გარდმოსახლდენ ახალციხეს წელსა ქრისტეს აქეთ 980-სა და მერე დროსა მეფისა გიორგისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1466 გარდმოსახლებულ იქმნენ კახეთს გრემისა ქალაქსა შინა და მიღებულ თავადად და უკანასკნელ მეფეთაგან მიიღეს გრემის მოურაობაი და ენისელისა და იწოდენ ენისეს მოურავად, რომელნიცა აწცა იწოდებიან ენისელთ მოურავის შვილებად. ეს ჯორჯაძეები არიან: 1) იოანეს შვილები, 2) ზურაბისა შვილები და ძმისა მისისა თამაზის შვილები. ხოლო სახლის კაცნი ამათნი იწოდებიან ნოდარის შვილებად, რომელიცა მოსახლეობენ საბუესა შინა და არიან ესენიცა მოსახლედ: 1) გიორგის შვილები, 2) გრიგოლის შვილები და 3) დავითის შვილები.



8. თავადი რუსიშვილი

ესენი არიან დროსა თამარ მეფისასა, რომელიცა მოჰყვნენ რუსთა მეფისა ძესა ვსევოლოდიისსა სვიაჯად წოდებულის ქალაქით, რომელიც ექორწინა თამარ მეფესა ქრისტეს აქეთ 1177-სა და თამარ მეფემენ ამა რუსიშვილს რუსოვად წოდებულსა გვართა უბოძა რუსისშვილობა და თავადობა და აწ არიან შილდას მოსახლენი ესენი: 1) ბამარის შვილები, 2) ქიზოსროს შვილები.

9. თავადი ჩერქეზისშვილი

ესენი არიან მისვე დროსანი მოსრულნი ჩერქეზ ქიმონიდგან და ადგილისა გამო მიიღეს გვარად ჩერქეზის შვილობა და თავადობა თამარ მეფისავე დროსა და აწცა არიან მოსახლედ მანავს: 1) რამაზის შვილები, 2) ჯანასლანის შვილები, 3) გიორგის შვილები, 4) ნიკოლაოზის შვილები და სხვანი.

10. თავადი აფხაზისშვილი

ესენი არიან აფხაზეთიდგან მოსრულნი, ოდეს იწყეს მამალიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზის შვილებად და უბოძა კარდანებს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრებენ მუნ ჟამიდგან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად.

11. თავადი გობიტაშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან საბერძნეთიდგან თანა მოყოლილი თავადი ანდრონიკესი დროსა მეფისა გიორგისასა წელსა 1144-სა, რომელიც ამათ წინაპარი იწოდებოდა სახელით გობიტად და ესე მიღებულ იქმენ თავადადვე გობიტაშვილებად და არიან მუნიდგან მცხოვრები ფხოველსა შინ ერთ სახლად, აწ კონსტანტინეს შვილებად წოდებულნი.




12. თავადი ჯანდიერის შვილი

ამათნი გვარნი უკვე პირველ ესახლენ გლდანსა ადგილსა შინა, ოდეს მოვიდნენ თურქნი და აიღეს ტფილისი და დაემკვიდრენ მუნ. მაშინ ჯანდიერ ვინმე ლეონის შვილმან, რომელიც მაშინ იწოდებოდენ ამ გვარითა აზნაურად, ამა ჯანდიერმან მეფისა დიდისა თეიმურაზისა დროსა სთხოვა მხედრობანი და აღუთქვა ტფილისის ალება. ხოლო მან უბოძა მხედრობანი და ამა ჯანდიერმან ღამე იღუმალად მიიყვანა და დამალა ქვეითობანი ბალებთა შინა და თვითონ ჯანდიერმან და სახლის კაცთა ამისთა აჰკიდეს სახე-დართა ფიჩხნი და დამალეს მასშინა თოფები და მოვიდნენ კოჭრის კარს წოდებულსა და მცველთა ქალაქისათა განუღეს კარნი, ეგონათ ფიჩხთა განსყიდვაი მათგან და მაშინ აღმოიხადეს მახვილი და მოსრნეს მეკარენი იგი და თვით გაამაგრეს კარისა მის კოშკი და მისცეს ნიშანი დამალულთა ჯართა, რომელნიცა შემოესივნენ და აღიღეს ტფილისი და მოსრნეს მასშინა მყოფნი მცველნი და ამა ჯილდოსათვის მეფემან მისცა თავადობაი გვარად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან აწ მცხოვრებნი კალაურსა შინა: 1) ხალის შვილები, 2) ფრიდონის შვილები, 3) ნიკოლაოზის შვილები, 4) ომანის შვილები და მისის ძმისა, 5) თარხნის შვილები, რომელ არიან ლუარსაბისა და ბიძინას შვილები, ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან ჩოკაშვილებად ამავე ჯანდიერთა გვარისა და არიან აზნაურნი.

13. თავადი ჭავჭავაძე

არიან ორ გვარად, პირველნი რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისაღეგისა შვილები. ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდამ მოსრულნი, რომელნიც ამბობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლესა მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა



შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდენ მამუჩის შვილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი.

14. თავადი ვახვახაშვილი

ესენი იყვნენ პირველ სამცხის თავადნი ვახვახად წოდებულნი, მეფობასა დიმიტრისასა, წელსა 1294-სა. ხოლო უკანასკნელ მოვიდნენ კახეთსა შინა თელავს და დასახლდნენ მუნ და იწოდებიან ვახვახის შვილად თავადად აგრეთვე ბაზიერთ-ხუცის შვილებადცა, ხოლო სახლის კაცნი ამათნი იწოდებიან ყორჩიბაშის შვილებად და კახის შვილებად: 1) არიან ზაალის შვილები, 2) ყორჩიბაშის შვილები, 3) კახის შვილები. ყორჩიბაშის შვილობა გაუთვისდათ სახელის გამო, რომელ ყორჩიბაში სპარსულად ნიშნავს აბჯართუხუცესობას. ხოლო კახის შვილობა მამეულ სახელისა გამო გაუთვისდათ.

15. თავადი საგინაშვილი

ამათნი შთამამავლობანი არიან სპარსთ მთავრისა საგად წოდებულისა, რომელიც საგ მთავარი დაადგინა ხალილ არაბმან ამირად წოდებულმა. ესე საგ დაადგინა ტფილისსა შინა გამგედ წელსა ქრისტეს აქეთ 787-სა დროსა აშოტ მეფისასა და მერე ამა საგისა დაშთომილნი შთამამავლობანი იწოდნენ საგინა შვილად თავადად მეფეთაგან და არიან ორად: 1) სომხთსა შინა მოსახლენი, 2) კახეთსა შინა.

16. თავადი ტუსის შვილი

ესენი არიან ძველადვე ზედგინისძეთა შთამამავლობანი ვითარცა აღვწყურეთ ზემორე ამილახვარიანთათვის და გაუგვარდათ სახელისა გამო, რომელსა ამათ წინა-პართაგანსა ეწოდა სახელად თუს, და ამის გამო მიიღეს ტუსის შვილობა. ამათნი გვარნივე ჰჩნდნენ დროსავე ალექსანდრე მეფისასა წელსა 1469-სა და არიან მცხოვრებნი კახეთსა შინა ახმეტას და



გალმა მხარშია: 1) არიან შიომის შვილები, 2) ქაიხოსროს შვილები და სხვანი.

17. თავადი ხიმშიაშვილი

ამათნი წინა პარნი ძველადვე არიან თავადნი აქარისანი და ოდეს დაიპყრეს თურქთა ახალციხე და მიიღეს მუნ მრავალთა მახმადის ჰსჯული ამათნი გვარნი რაოდენნიმე აიყარნენ მუნიდგან და მოვიდნენ კახეთს დროსა დიდისა ლეონ მეფისასა წელსა 1605-სა და დაეშენნენ საგურამოს თავს საგნაკორაისა ადგილსა და არიან მუნ ჟამიდგან თავადნი რაოდენნიმე სახლად განყოფილნი და სხვანი არიან აქარას და ახალციხეს ბეგებად წოდებულნი ხიმშიაშვილებნი.

18. თავადი ყარალაშვილი

ამათნი წინაპარნი იყვნენ თურქისტანელნი დროსა ლანგ თემურისასა და ამა თემურლანგისა სარდალი იყო ყარალთი. ხოლო ოდეს მოიწია საქართველოსა ზედა მხედრობითა დიდითა ლანგთემურ მაშინ ტყვედ დაშთა ამა ყარალთისა ნათესავი ყრმა ქაბუკი დროსა მეფისა გიორგისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1396-სა და მერე შემდგომად ამა ყარალთისა ნათესავმან მილო მართლმადიდებლობისა სარწმუნოება და მეფემან თავადობისა ხარისხითა ყარალაშვილად და დაამოყვრა ჩოლოყაშვილს და მისცეს მამული გალმა მხარსა შინა და დაასახლნა მუნ და არიან ვიდრე აქამომდე თავადნი ყარალაშვილად წოდებულნი.

19. თავადი ბაბადიმიშვილი

ამათი წინა პარი არის ბაგრატიონთა შთამამავლობისა იმამ ყულისაგან და არიან თავადნი მესამისა ხარისხისანი.

20. თავადი ქობულაშვილი

ამათი წინა-პარნი იყვნენ ქობულად წოდებულნი სომეხთა მეფეთა დროსვე და მოსახლენი ანსა ქალაქსა შინა, ოდეს სუმბატ მეფე განძევებულ იქმნა ამირ არაბისაგან წელსა ქრისტეს აქეთ 882-სა. მაშინ ესე

ქობულის ძენიცა განივლტენ მასთანა და მეფე მივიდა აფხაზეთისა და სხვანიცა მრავალნი მისთანა; და უკანასკნელ ამა ქობულთა შვილთაგანი დაშინენ გურიას ადგილსა ქობულეთისა შინა და იყვნენ მუნ. შემდგომად მეფემან დავით კახთამან შეირთო ცოლად გურიელის ასული თინათინ. ამას მოჰყვა ზითევში ქობულოვი და დედოფლის შუამდგომლობითა მიიღო მეფემან თავადობის ხარისხსა შინა და დაასახლა რუის პირსა ადგილსა. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა თეიმურაზისა და ირაკლისასა წარჩინებულ იქმნა ოთარ ქობულოვი და მიუბოძა მდივნობა კახეთისა და იწოდებოდენ მდივნის შვილებადცა, რომელნიცა არიან აწ: 1) დავითის შვილები, 2) იოანეს შვილები, 3) სვიმონისა, პართენისა და სხვანი.

21. თავადი გურამის შვილი

ამათნი წინა პარნიცა არიან ძველადვე მონათესავენი ტუსიანთა გვარისანი, ვითარცა ზემორე აღვსწერეთ, გარნა გვარნი ამათნიცა ისევ ძირით არიან ზედგინიძის ძეების შთამამავლობისანი და ესენი მეფისა ალექსანდრეს დროსავე ცნობილნი იყვნენ თავადად წელსა 1585-სა, რომელნიცა პირველ მოსახლეობდენ საგურამოს შინა და აწ არიან მოსახლეები ქვემო ავჭალას: 1) ზაალის შვილები, 2) გიორგის შვილები, 3) დავითის შვილები, 4) მილახვრის შვილები, 5) ეფრემის შვილები და სხვანი. ხოლო ამათნი სახლის შვილნი აღრიდვე, ცხოვრობენ აჭარასა შინა თავად ოდლით წოდებულნი.

22. თავადი გურგენის ძენი

ძველად გურგენის ძეები იყვნენ თავადნი შილდისანნი, რომელნიცა ასწყდენ და არვინლა დაშთა გვართა მათთაგანი. ხოლო უკანასკნელ მორდლის ძემან სოლომონ, რომელიც იყო აზნაურად ცალმოგვად დიდად მსახურა მეფესა ირაკლის. ოდეს ნადირშამ წაიყვანა მეფე ირაკლი ინდოეთისა შინა თანა წარყვა მუნ სოლომონ და თავდადებითაც მსახურა. ამისთვის მეფემან ირაკლი უბოძეს თავადობა და უწოდეს გურგენისძეობა და არიან ესენი წელსა 1744-სა წოდებულადვე თავადად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ შილდასა შინა და იწოდებიან სოლომონ მორდლის შვილებად თავადად გურგენის ძეებად ესენი და ამათნი სახლის კაცნი.



23. თავადი ლიონასძე

ლიონ თავადი იყო ძველად სომეხთა მეფეთა და ასწყდენ გვარნი მათნი და რომელნიმე ესახლენ კახეთსა. შინა გვარნივე ამათნი აღრითვე და ესენიცა ამოსწყდენ. ხოლო ოდეს მეფემან ირაკლი ბრძო ერევანს ერევნის ხანის უსინ ხანს და ძლევა შეიმოსა მუნ მეფემან ირაკლი, მაშინ დაიჭირა ბრძოლასა შინა მდივანი ანაფინთა სოლომონ და ჯილდოთ ამისა მეფემან ირაკლი უბოძა გვარად ლიონისძეობა და მიიღო თავადად და აწ არიან: 1) სოლომონის შვილები, 2) ირაკლის შვილები.

24. თავადი ავალიშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან მონათესავენი თავადთა ავალიანთანი ვითარცა ზემორე აღვწერეთ ავალიანთათვის, ხოლო მოსახლეობენ ესენი კახეთს: 1) გივის შვილები, 2) ივანე მეითრის შვილები.





სამეფო აზნაურნი ქართლისანი

1. შაბურის შვილი


ამათ ადგილისა გამო გაუგვარდათ სახელი ესე. ხოლო ამათგანი წინა-პარნი ესახლენ პირველ დარუბანდის ნაწილსა შინა შაბურად წოდებულსა და სახლის კაცნიცა მათნი რომელნიმე ესახლნენ ნახევრის მხარესა ხეობასა შინა შაბურისანსა წოდებულსა და ოდეს მეფემან გიორგიმ ბრძოლით დაიპყრა დარუბანდი და მისნი კერძონი წელსა 1150, მაშინ შაბურელი ვინმე ბეგი მოვიდა მეფესთან. იგიცა და სხვანიცა მუნებურნი წარჩინებულნი გვაშნი გარდმოასახლნა და დასხნა სხვათა და სხვათა ადგილთა შინა და ესე შაბურიანნი დაასახლნა არაგვსა ზედა და დაშთენ მუნ ჟამიდგან და იწოდებიან აზნაურ შაბურიანად შთამამავლობანი მათნი და არიან მუნ ჟამიდგან პირველ აზნაურად გვარნი მათნი.

2. აზნაური თურქისტანის შვილი

ამათნი წინა-პარნი არიან აღრითვე მოსრულნი თურქისტანის ადგილისაგან, და ამათნი წინა-პარნი სომხითსა შინა ესახლნენ მეორე აზნაურის ხარისხითა და ამათნი წინა-პარნი იყვნენ მოხელედცა თამარ მეფისა ქრისტეს აქეთ 1202-სა და მუნ ჟამიდგან არიან აქამომდე აზნაურად მიღებულნი სომხითსა შინა პირველნი აზნაურნი.

3. აზნაური სააკაძე

ამათნი წინა-პარნი არიან მონათესავენი თავადის თარხნის შვილისა, ვითარცა ზემორე აღვწერეთ გვარნი მათნი. და აწ ესე სააკაძენი არიან აზნაურნი და მოსახლენი ატენის ხეობისანი, რომელნიც სახლობენ სოფელსა ხიდის თავად წოდებულსა.



4. აზნაურის საგინაშვილი

არიან მონათესავენი თავადის საგინაშვილისა, ვითარცა ზემორე აღვწერეთ გვარი მისი და ესენიცა ესახლნენ სომხითს ნაწილსა შინა და იწოდებინ აზნაურად ძველადვე.

5. აზნაური გაბაშვილი

ამათნი წინა-პარნი ძველადვე დროსა მეფისა მირიანისასა ჰსჩნდენ და იტყვიან ამათ მოსვლასა ურიასტანის ადგილით, გაბაონიდგან მოსვლასა აღრითვე, ოდეს ურიანი გარდმოესახლნენ, დროსა ნაფუგოდონოსოსორისასა და იყვნენ ესენი მცხეთისა ქალაქსა შინა მოსახლენი. ხოლო უკანასკნელ, რა იწყო ტფილისის ქალაქის შენობამან, მაშინ გვარნიცა ამათნი გარდასახლდენ ტფილისსა შინა და არიან მუნ ჟამიდგან მცხოვრებნი აზნაურად და მეფეთაგანც იყვნენ მიჩნეულნი.

6. აზნაური მურვანის შვილი

ამათ წინა-პარი იყო თათართა გვარისა ბეგისა მურვანად წოდებულისა და მერე მისი შთამავლობათაგანი მოვიდნენ ახალციხიდგან და მიიღეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოება და შერაცხილ იქმნენ აზნაურად, რომელნიცა მოსახლეობენ სურამს. და ესენი ჰსჩანდენ საჩინოდ დროსა მეფისა ლუარსაბისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1604-სა და უკანასკნელიცა მუფე მეორე ირაკლი დიდად ჰსწყალობდა ქაიხოსრო მურვანის შვილსა და ჰყვა მოხელედცა ჯაბადრად და ყაზახის მოურავის შემწედცა.

7. აზნაური აბაზაძე

ამათნი წინა-პართაგანი იყო აბუბაზ წოდებული დროსავე მეფისა დავითის აღმაშენებელისასა და იყო აბუზამ ძველად ერისთავი სომხითისა და მერე, ოდეს დავით აღმაშენებელმან განსდევნა თათარნი მოსახლენი ქართლიდგან, მაშინ ამათ გვარმან მსახურეს მეფესა და იყვნენ პირველ თავადისა ხარისხითა წელსა 1295-სა შინა. ხოლო უკანასკნელ, სხვათა და სხვათა მფლობელობასა ქვეშე, მათგანიცა გვარნი დამდაბლებულ იქმნენ



და უკანასკნელ იწოდნენ აზნაურებად და არიან აწ მოსახლენი სურამსა შინა, აზნაურად მიღებულნი.

8. აზნაური ყორღანაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან თურქმანთა სომეხთა გვარისანი, რომელნიცა პირველ იყო ყორღან ალად წოდებული, რომელიცა დროსა ლანგ თემურისასა მოვიდა და დაეშენენ სომხითსა შინა. ამათთა შვილთა მიიღეს აზნაურობისა ხარისხი და გვარად ყორღანაშვილობა, რომელნიცა ჰსჩნდეს დროსა მეფისა ალექსანდრესასა აზნაურადვე მიღებულნი წელსა 1415-სა. ხოლო უკანასკნელნი ამათნი გვართაგანნი, რომელნიცა ორგულობისა გამო მეფისა გარდაყრილ იქმნენ გელიყარა კლდესა ზედა ადგილსა წოდებულსა და არიან ესენიცა მეორისა ხარისხისა აზნაურად და მეჭონნი მამულთა სომხითსა შინა. აწ არიან რაოდენიმე სახლად განყოფილნი: 1) ოსეთას შვილები; 2) გაბრიელის შვილები, 3) დავითის შვილები და სხვანი.

9. აზნაური ფიცხელაური.

არიან ძველადვე წინა-პარნი ამათნი კავკასიის მთით მოსრულნი და მოსახლენი ქსნის ხეობასა შინა და ცნობილნი ადრევე დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1299-სა და შემდგომად მეფისა თეიმურაზისა და მეფისა ირაკლისაგანცა პატივცემულნი და მოხელედცა დადგინებულნი ქსანსა შინა და არიან აწ რაოდენიმე სახლად: 1) ბოქოულთ ხუცის შვილები, 2) არაგვეანის შვილები; 3) რამინის შვილები, 4) გიორგის შვილები, 5) ივანეს შვილები, 6) საამის შვილები, 7) ბეყანის შვილები, 8) ამირანის შვილები; 9) ბერის შვილები, 10) თექთუმანის შვილები.

10. აზნაური ენაკოლოფაშვილი.

ამათი წინა-პარნი იყო ენუქარქუნ, რომელიცა პირველ მოსახლეობდა ყარაბაღსა შინა ადგილსა და იყო პირველი მოქალაქე მუნებური სომეხთა სჯულისა. ხოლო ამათნი შთამამავლობათაგანი მოვიდნენ საქართველოსა შინა და დაესახლნენ და ესენი მიღებულ იყვნენ აზნაურის პატივით მეფეთაგან, გარნა უკანასკნელ დროსა მეფისა ირაკლისასა უმეტეს წარჩინებულ იქმნენ მირზა გურგინა და მმა მისი მირზა მიხეილა, ვინაიდგან სპა-




ასისა და არაბულისა ენისა და წიგნისა და წერისა მეცნიერნი იყვნენ და საკუთარნი მწერალნი მეფისა. ამისათვის დაუმტკიცა ამათ აზნაურობაი პირველის გვარისა ენუქარქუნისა ენიკოლოფაშვილად და მოიხსენა ტრაქტატსა შინაცა და არიან აწ მოსახლედ: 1) მირზა გურგინა შვილებად წოდებულნი, 2) აზარიაშვილებად და სხვანი.

11. აზნაური შანშიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძირით გამყრელიძენი იმერეთის ადგილით მოყვანილნი საქართველოს მეფისაგან, ვახტანგისაგან მშველად 1666 წელს ტფილისსა შინა. ხოლო მათ მშვევალთაგანნი ეტრფიალა სომხეთის აზნაურისა ქალსა შანშიაშვილისასა გვარად და მას სომეხსა არა ჰყვა ძე, გარდა იმა ქალისა, და აღუთქვა მან შანშიამ, უკეთუ მიიღებს სომხის სარწმუნოებასა, მისცემს მას ქალსა თვისსა და მამულსაცა. მაშინ გამყრელიძე იგი ტრფიალებისა გამო გამოხდა და შეირთო ქალი იგი და მამულიცა მისი მიიღო. ხოლო რა სცნა ესე მეფემან დიდმან თეიმურაზ ენება გარდახდევინება გამყრელიძისა მისა, გარნა გამყრელიძე იგი განივლტო და მივიდა წინაშე სპარსთა მეფისა შააბაზისა და ევედრა მეფესთან შუამდგომლობასა. ხოლო მან სთხოვა მეფესა და ვერლა ურჩ მყოფმან მისცა ნებაი და არიან მუნიდგან გვარნი ამა გამყრელიძეებისანი შანშიაშვილებად წოდებულნი: 1) გიორგის შვილები, 2) სოლომონის შვილები, ხოლო ამათნი სახლის კაცნი, რომელნიც გათათრდნენ, ისევ სპარსთა მეფისა დროსვე, არიან: 1) იბრეიმ ნაზირის შვილები და მისის გზისა. ხოლო სხვანი ამათნი გვარნი არიან იმერეთს მოსახლენი, რომელნიმე რაჭას და რომელნიმე წირქვალს. ხოლო ქალაქს მოსახლეთა აქვთ მამული ბოლნისის ხეობასა შინა და არიან მუნ ჟამიდგან აზნაურნი.

12. აზნაური გლურჯიძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან აფხაზეთიდგან მოსრულნი კონსტანტინე მეფის დროსა 1473 წ. შარვაშიძეებთან, ვითარცა ზემორე დავწერეთ და მონათესავენი მათნი, გარნა აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელნიცა მოსახლეობენ თემისა ხეობასა ზედა სასირეთს და არიან რაოდენიმე სახლად.



13. აზნაური კობიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველადვე არაგვის ხეობის ადგილის აზნაური, მთისანი, რომელნიც პირველად ესახლნენ ადგილსა კობისასა ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა როსტომისასა 1633 წელსა შთამოვიდნენ არაგვის ვაკესა ადგილთა შინა და მუნ არიან მოსახლედ, ხოლო ამათგანნი რომელნიმე სახლობენ კახეთს ბახტრიონსა შინა აზნაურივე და არიან რაოდენიმე სახლად მოსახლენი ესე კობიაშვილები. ხოლო კობიაშვილობა გაუგვარდათ კობის ადგილისა გამო.

14. აზნაური გარაყანიძე.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე არიან ქსნის აზნაური პირველ ცხრამის ხეობის მოსახლენი და მუნებური ხევის ბერნი მოხელედ, ხოლო ოდეს მოვიდა ყაზან ყაენი მტრობითა დიდითა დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1300 წ. ამათმან წინა-პარმან ბრძო მეფისა ლუარსაბის დროს 1556 წელსა მხედრობათა ყაზან ყაენისათა, ოდეს შევიდნენ ქსნის ხეობასა შინა, ვინადგან მეფე იყო გამაგრებულ არაგვისა შინა და ბრძოდნენ მაშინ ამა გარაყანიანთა წინამძღორობითა, გამოდევნეს მტერი ქსნის ხეობიდან, რომლისა გამო მეფემან უბოძა და უწოდა გვარად განმყრელობა და მერეთ, ცვლილებისა გამო ენისა, იწოდებიან გარაყანიძედ და არიან მუნიდგან აზნაურად წოდებულნი, ქსნის ხეზედ ლამის ყანას მცხოვრებნი და პატრონნი მის ადგილისანი: 1) ზურაბის შვილები, 2) დიმიტრის შვილები, 3) სპირიდონის შვილები, ხოლო სხვანი გარაყანიძეები არიან კახეთის წილნი, ზემო ავჭალას მოსახლენი.

15. აზნაური კორინთელი.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე არიან კორინთლიდგან მოსრულნი, რომელნიცა სახლობდნენ ქსნის ხეობასა შინა და იყვნენ ალევის ხევის ბერნი, წარჩინებულნი აზნაური, ეპყრათ სოფლებიცა საკმაოდ, აქვდათ მამული საკმაოდ. დროსავე მირიან მეფისასა ჰსჩნდნენ ამათნი გვარნი წელსა ქრისტეს აქეთ 317-სა, ხოლო დროსა სვიმონ მეფისა ბაგრატის ძისასა 1623 წელსა, რა მიიღეს ერისთობა ქსნისა ქვემო ფხოველთა, ამათნი გვარნი ასწყვიტნეს და მიუღეს მამულნი, გარნა დაშინენ კვალად ამათგანნი რა-



ოდენნიმე და მათნი შთამომავლობანი აწ მოსახლეობენ ადგილსა საკორი-
ნთლოდ წოდებულსა, რაოდენმე სახლად.

16. აზნაური ჩერქეზი შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ჩერქეზთა მთავართა აზნაურნი და, ოდეს
ჩერქეზთა მებატონეთა ქალი რუსუდან შეირთო მეფემან საქართველო-
სმან, მაშინ მოყვა დროსა გიორგი მეფისასა 1562 წ. ზითევს შინა ჩე-
რქეზი ვინმე აზნაური და მეფემან უბოძა ადგილნი გვერდის ძირს და
უწოდა გვარად ჩერქეზის შვილობა გვართა ამათთა და არიან აწ რაოდე-
ნმე მოსახლედ გვარნი ამათნი და მუნიდგან იწოდებიან ჩერქეზის შვილე-
ბად.

17. აზნაური ჭილაძე.

არიან ესენი ძველადვე არაგვის მოსახლე მსახურნი კაცთაგანი შთამო-
მავლობით, ხოლო უკანასკნელ მიიღო მეფისა ირაკლისაგან აზნაურობა
ბაბანად წოდებულმა მსახურებისათვის, რომლისა გამო შვილთა ბაბანასთა
უწოდებენ ბაბანაშვილებად, მოსულან ბაგრატ მეფის დროსა 1535 წ.
იმერეთიდგან, საჭილაოდგან. ხოლო უმეტეს მეფის ძემ ვახტანგმა აღიყვა-
ნა პატივსა შინა გლახა ბაბალა შვილი და უბოძა მამული და სოფელი და
აწ მოსახლობენ დუშეთსა შინა გლახა-შვილებად წოდებულნი და რომე-
ლნიმე ამათნი სახლის კაცნი მოსახლობდნენ კახეთს კონდოლსა სოფელსა
შინა, რომელნიმე მოსდოგსა შინა, რომელ ამათაც მისცა მეფემან აზნა-
ურობისა ხარისხი ცალმოგვად, ვინადგან პირველ არა ჰყავთ ყმანი და
არიან ესენი ივანეს შვილები და ვასილის შვილები.

18. აზნაური იეგუალას შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან სომეხთა მეფობათაგან ადგილით ყარსით
ფრანგნი. მოსრულნი და ცნობილნი აზნაურად ადრევე და მეფისა თეიმურა-
ზისა და ირაკლის განვე ცნობილნი 1778 წ., რომელნიცა მოიხსენებიან
ტრაკატასა შინა, დადებულსა მეფისა ირაკლისასა.

19. აზნაური მუსხელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ოდიშიდგან მოსრულნი გვართა მსხულაე-
ნნი და მერე გაუგვარდათ სახელისა ცვლილებისა გამო მუსხელაშვილებად
შთამომავლობათა ამისთა. დროსა მეფისა ვახტანგისასა ჰსჩნდენ ესენი
აზნაურად წელსა 1657 და არიან ესენიცა ტრაკტატსა შინა მოხსენებუ-
ლნი აზნაურად.

20. აზნაური მეღვინეთხუცისშვილი.


ესენი არიან მონათესავენი აზნაურის ჩერქეზის შვილისანი, ვითარცა
ზემორე მოვიხსენეთ მათთვის. პირველ იყვნენ ესენი საციციანოზედ მიწე-
რილნი. უკანასკნელ მეფემან ირაკლი დასდო საკუთრად სამეფო აზნა-
ურად 1770 წელსა, რომელნიცა მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინა.
მოსულან მეფე ვახტანგის დროს 1655 წ. ყოფილან საკათოლიკოზო
აზნაურნი და რადგანაც მეღვინეთ-უზუცესი კათოლიკოზისა ყოფილან, ეს
სახელი გაჰგვარებიათ. ესენი არიან ორ-გვარად: 1) მეღვინედ-ხუცის შვი-
ლებად წოდებულნი, ხოლო მეორენი ჯომარდიძე შვილებად წოდებულნი.
ესენი სახლობენ ხიდის-თავს და აქვთ მამული წედისსა შინა. ჯომარდიძეს
შვილი სახლობს კახეთსა შინა თელავს და მეორე ჯომარდიძე - ხიდის
თავს.

21. აზნაური სავარსამიძე.

ესენი არიან ძველადვე რაჭის აზნაურნი, მოსულან ვახტანგ მეფის
დროს 1722 წ. საქართველოში. სულ წინად, თავდაპირველ მოსულნი
არიან კლიკიის ადგილით საფარშიდამ და ამათნი წინა-პარნი სჩნდენ ვა-
ხტანგ გორგასლანის დროს, რომელთაცა აქვნდათ წყალობის წიგნიცა მი-
სნი. რომელნიმე სახლობენ საქართველოში და რომელნიმე ამათ გვარნი
იმერეთს და რუსეთს შინაცა იყვნენ.

22. აზნაური ფურცელაძე.

ამათნი გვარნი პირველ იწოდებოდენ ფარაძედ იმერეთისა აზნაურად.
ამათნი გვარნი სჩანან დროსა მეფისა გიორგისასა წელსა 1703-სა და



სხვათადაც მეფეთა დროსა. ესენი მოვიდნენ იმერეთიდან და დაეშენნენ სახსოსა ადგილსა ლეონ მეფის ძის საბატონოს შვილოსა საერისთოდ წოდებულსა და ფარიძეები იწოდნენ ფურცელაძედ, შემდგომ ამათნი გვარნი საზღობენ რაოდენიმე იმერეთსა შინა.

23. აზნაური ტურის შვილი.


ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველადვე მოსახლენი აზრუმისა ტირავანად გვართა მდაბალ აზნაურად სომეხთა მეფეთაგან მიღებულნი. ხოლო ოდეს თურქთა დაიპყრეს აზრუმი, ესენი გადმოსახლდნენ საქართველოსა შინა და მსახურებისათვის მეფეთა მიღებულ იქმნენ აზნაურად ტურის შვილად და უმეტეს დროსა მეფისა ირაკლისასა უფრორე მიღებულ იყო ზაალ ტურის შვილი.

24. აზნაური ჩრდილელი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდან მოსრულნი ადგილით ჩრდილოსით და ესენი იმერთა მეფეთა დროსვე იყვნენ აზნაურნი და სახელისა გამო ჩრდილისასა გაუგვარდათ ჩრდილელობა და ესენიცა არიან მოხსენებელ ტრაქტატსა შინა მეფისა ირაკლისასა.

25. აზნაური გარსევანა შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან საბერძნეთიდან მოსრულნი, რომელნიცა მგალობელნი იყვნენ ბერძენთ მეფისა ასულის ელენე დედოფლისა, რომელიცა იყო მეუღლე მეფისა ბაგრატისა, ზითევსა შინა მოყოლილნი ელენე დედოფლისა და რომელნიცა მსახურებდნენ ქრისტეს სამკვალსა და ოქონისა ღვთის მშობლისა ხატსა, რომელ ხატი ესე მოსცა კეისარმან ზითევსა შინა ქალსა თვისსა ქრისტეს აქეთ 1028-სა და მერე მეფემან ბაგრატ მიიღო მათნი წინა-პარნი და უბოძა ამოწყვეტილის აზნაურის გარსევანად წოდებულის მამული და გვარიცა მათი და არიან მუნიდგან ცნობილნი აზნაურად და რომელნიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.



26. აზნაური კალატოზის შვილი.

ამათნი გვარნი რომელნიმე იტყვიან კავკასიის შთამომავლობათაგან, გარნა ცნობილ არიან დავით მეფის დროსა 1469 წელს და ვინაიდგან ამათ წინაპართა იცოდნენ არხიტექტურობა და კალატოზობა, ამის გამო გაუგვარდათ კალატოზობა გვარად და არიან აწ მოსახლედ ქართლში რა-ოდენმე სახლად მდაბალ აზნაურებად და სწერიან ესენიცა ტრაკტატსა შინა.

27. აზნაური როსტევეანის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სააკაძეთა გვართაგანნი მოსახლენი თავრი-ზსა შინა და უკანასკნელ მოვიდა ვინმე როსტევეან სააკაძე და იმის გამო გაუგვარდათ როსტევეანის შვილობა და ჰსჩნდენ ესენი დროსა როსტომ მეფისასა 1655 წ. აზნაურადვე მიღებულნი და მეფე ირაკლისგანცა ტრა-კტატში არიან მოხსენებულნი.

28. აზნაური მანუჩაროვი.

ამათნი შთამომავლობა არიან ძველადვე სუმბატთანთ გვარისანი, რომე-ლიც ზემორე აღვწერეთ სუმბატის შვილებისათვის და ესენი არიან გვა-რთაგან მათთა, გარნა აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან და ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

29. აზნაური უთნელის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მცხოვრებნი პირველ ახალციხეს კერძოდ ადგილსა შინა ოსთელად წოდებულსა, რომლისა გამო გაუგვარდათ უსთი-ელობა. ხოლო მერე ენისა ცვლილებისა გამო იწოდნენ უთნელის შვილად. ესენი დროსა ახალციხის დაპყრობისასა თურქთაგან შთავიდნენ იმერეთს და ამათნი გვარნი რომელიმე გარდმოვიდნენ ქართლს მამად ყულიხანის დროს. 1724 წ. მოსულან საქართველოში და დაესახლნენ გვერდის ძირს ადგილსა ფლავს - ქსანს საერისთაოს ადგილსა შინა და ჩნდნენ ესენი აზნა-ურად ვახტანგ მეფის დროსა და სხვათაცა. ხოლო უკანასკნელ შეიქმნენ



სამეფო აზნაურნი, რომელნიცა ტრაკტატსა შინა არიან მოხსენებულნი.
რომელნიმე სახლობენ იმერეთს გვართა მათგანნი.

30. აზნაური მახატელი.


ამათნი წინა-პარნი იყვნენ დროსა მეფისა არტავაზისასა კერპთა სასულეროთა უფროსნი ქურუმნი, რომელსა ეწოდებოდა მაჟანტელი და მერე დროსა ბაგრატიანისა მოვიდნენ ხორნაბუჯს ადგილსა კახეთისასა და იყვნენ მუნ, ხოლო დროსა თამარ მეფისასა იყვნენ ჩინებულნი გვამნი მოხსენებულნი მახატელად და მოხელენი თამარ მეფისანი. ხოლო უკანასკნელ გარდმოსახლდენ ქართლსა შინა და დაშთენ მუნ და მერეთ, ოდეს სპარსთა დაუწყეს რბევა ქართლსა, მაშინ ქსნის ერისთავთა დაამდაბლეს მახატელნი და განიყმავეს და დაშთნენ აზნაურად, რომელნიც პირველ იყვნენ თავადნი. ხოლო უკანასკნელ მეფემან ირაკლი დასდო ესენი თავისა აზნაურად, რომელნიცა არიან ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

31. აზნაური ყარაგოზაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ განჯისა ქეთხუდანი და მერე დროსა მეფისა ირაკლისა პირველისასა და თეიმურაზისასა მიიღეს 1559 წ. თხოვნითა განჯის მთავრისა ქალბანიხანისათა აზნაურთა რიცხვთა შორის ყარაგოზ სახელით (ქართულეზ შავ-თვალა) და შვილნი მისნი იწოდებიან ყარაგოზის შვილებად და არიან აზნაურნი მცირენი ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

32. აზნაური მირზაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ თათარნი აღალარნი და მწერალნი თათრულისა როსტომ მეფისა მირზანი და ამათ მაშინ 1655 წ. მიიღეს აზნაურობა და დაშთენ მირზაშვილებად შთამომავლობანი მათნი და ესენიცა მოსახლეობენ ქართლშია და იყვნენ მეფეთაგან აზნაურად მიღებულნი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.



33. აზნაური ზარდიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ შთამომავლობით დედით დავითის შვილისა განნი, გარნა უკანასკნელ იწოდნენ ესენი ზარდიაშვილებად, რომელიცა პირველ ძველად ზარდა ვინმე შანშიანისა ადგილსა მეპატრონე აზნაურ და უკანასკნელ ამათ მიიღეს მამული იგი სამეფო, ვინაიდგან ზარდის აღარავენ დაშთა ნათესავთაგანნი და ესენი იყვნენ დედით მონათესავენი, ამისთვის გაუგვარდათ ზარდიაშვილობა და არიან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინაცა აზნაურ ზარდიაშვილებად.

34. აზნაური ზანდუკელი.


ამათნი წინა-პარნი არიან სახლის კაცნი კობიაშვილებისა და გვართაგან მათთა, რომელიცა ზემორე მოვიხსენე კობიანთათვის და ესენი მოსახლეობენ არაგვის მამულსა შინა და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ აზნაურად.

35. აზნაური არებაშვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლნენ ვანის მხარეს, რომელნიცა იწოდებდნენ აშაკურ არწუნელად. ხოლო შემდგომად თურქთაგან დაპყრობისა მოვიდნენ ამათნი გვარნი და დაეშენენ სომხითსა შინა და მიღებულ იყვნენ აზნაურად მეფეთაგან, და უმეტეს ჰსწყალობდა მეფეი ვახტანგ არებას არებაშვილს, რომელიც გარდმოყვა რუსეთსა შინაცა შთამომავლობანი მათნი მოსახლენი და მეფისა ირაკლისაგან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა აზნაურად. ამათ გვართათვის ჰსწერენ სომეხთა მეისტორიენი, რომელ იყვნენ გვარით ორბელიანნი. ხოლო იწოდებიან აწ არებაშვილად სახელისა გამო.

36. აზნაური თურმანიძე.

ამათნი გვარნი არიან იმერეთიდგან სამეფო აზნაურნი, მოსრულნი ქართლში დროსა მეფისა თეიმურაზისასა ქრისტეს აქეთ 1748 და რომელნიცა მოხსენებულ არიან მეფისა ირაკლისაგან ტრაკტატსა შინა, ამათნი გვარნი რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე იმერეთს.



37. აზნაური ჯომარჯიძე.

არიან ძველადვე მოსრულნი ახალ-ციხიდან 1655 წ. მეფე ვახტანგის დროს, მონათესავენი მელვინეთ-ხუციანთი, ვითარცა ზემორე დავსწერეთ. რომელნიმე სახლობენ კახეთს და რომელნიმე ქართლში და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

38. აზნაური ქურული.

ამათნი გვარნი ძველადვე არიან რუსთაგან დაშთომილნი ქურულად გვარად წოდებულისა, რომელნიცა მოსახლობენ ქსანს, ადგილსა მონასტრად წოდებულსა და სვიმონ მეფისა ცოლ-შვილის მსახურებისთვის, ოდეს ოსმალთა შეიპყრეს სვიმონ მეფე. შემდგომ ესენიცა იყვნენ კარგად მიღებული წელსა 1558 და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა და ამათნი გვარნი სახლობენ სხვა-და-სხვა სახლად.

39. აზნაური ოქრომჭედლი შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ახალ-ციხელნი და იყვნენ ოქრომჭედლობის ხელოვნებასა შინა და საკუთარნი ახალციხის ათაბეგისანი. უკანასკნელ დროსა მეფისა როსტომისასა გარდმოვიდნენ ქართლს. მოსულან 1636 წ. მეფე თეიმურაზის დროს და მიღებულ იქმნენ მდაბალ აზნაურად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ დვანს ქართლსა შინა და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

40. აზნაური ბერძნის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ტრაპიზონიდან მოსრულნი ბერძენნი და მის გამო გაუგვარდათ ბერძნის შვილობა და არიან ცნობილ დროსავე მეფისა ლუარსაბისასა წელსა 1553-სა და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა და არიან მოსახლე ლიახვის ხეობასა ზედა შინდისის სოფელსა რაოდენმე სახლად.



41. აზნაური ალექსი შვილი.

ამათნი გვარნი არიან პირველ მკვიდრი გურიისა და მათნი გვარნი მო-
წყვენ მამია გურიელის ქალსა ზითევში დროსა მეფისა გიორგისასა ქრი-
სტეს აქეთ წელსა 1616. და ამა ალექსის ძეს ეწოდა ალექსი და მუნიდგან
მიიღეს ალექსის ძეობა. ესენი არიან ორს ადგილს მოსახლედ: 1) ხიდის
თავს და მეორენი ტფილისს და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა
შინა.

42. აზნაური მარკოზი შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად არღუთაანთაგანნი. გარნა ამათნი
წინა-პარნი გარდასახლებულ იყვნენ ფანასკერტს, ადგილსა თაყა ფანასკე-
რტელის მონათესავენიცა და მერეთ მოვიდნენ ქართლს მეფე დავითის
დროსა 1300 წ. და პირველ იყვნენ სომეხთა სარწმუნოებისა და მერეთ
მიიღეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოება და უწოდეს მარკოზ და მუ-
ნიდგან იწოდებიან აზნაურ მარკოზის შვილებად; თუმცა მეორე ხარისხის
აზნაურნი იყვნენ, გარნა აქვნდათ მუშრიბობისა ხარისხი სახლთა ამათთა
და არიან ესენი მოხსენებულ ტრაკტატსა შინა, რომელნიც მოსახლეობენ
ტფილისის ქალაქსა შინა.

43. აზნაური ლარაძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ახალციხის ნაწილის ადგილსა შინა ლივანად
წოდებულსა მოსახლენი, მოსულან დავით მეფის დროს 1259 წ. და ოდეს-
განდგა ათაბეგი, მაშინ გარდმოვიდნენ სომხითსა შინა და მიღებულ იქმნენ
მეფეთაგან აზნაურისა ხარისხითა და აქვნდათ სოფელნიცა, რადგან რა-
ოდენისამე კომლისა კაცითა მოვიდნენ და ესრეთვე აქვნდათ სახელად
თრიალეთისა სამეფო შემოსავლის პურის მოკრეფის უფროსობაცა და
ორთავე მეფეთა დროსვე არიან ცნობილნი, ესე იგი მეფის თეიმურაზისა
და მეფის ირაკლის დროსა და მოხსენებულნიცა არიან ტრაკტატსა შინა,
რომელნიცა მოსახლეობენ ტფილისს, გიორგი ლარაძის შვილებად წოდებულნი.



44. აზნაური ნახუცრის შივილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, ხუციაშვილად წოდებულნი, რომელიცა ხუცესი ამათი წინა-პარი შესცდა და მეორე ცოლი შეირთო და დაუტევა ხუცობა. ამის გამო გაუგვარდათ ნახუცრის შვილობა და ამათნი წინა-პარნი ჩნდნენ დროსა მეფისა ბაგრატისასა წელსა 1629 და მუნიდგან არიან მოსახლენი ტფილისს და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

45. აზნაური ფასტა შვილი.


ამათნი წინა-პარნი იყვნენ ჩერქეზთა აზნაურთაგანნი, რომელიცა ზითევში მოჰყვა ჩერქეზ ბატონის ასულს რუსუდანს, რომელიცა შეუმზადებდა ფასტას, რომელ არს (ფეტვის კრუპა) დროსა გიორგი მეფისასა 1562 წ. და ესე იყო მის დედოფლისა მზარეულთა უხუცესიცა. და მის გამო გაუგვარდათ შვილთა მათთა ფასტაშვილობა და არიან მუნით აზნაურნი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

46. აზნაური ჭარუა შვილი.

ჭარუაანნი თუმცა იყვნენ ძველად სომეხთა მდაბალი აზნაურნი, გარნა ასწყდნენ გვარნი მათნი და მეფემან მეორემან ირაკლიმ განააზღვა გვარი ამათი და უბოძა აქიშა თვისსა და იწოდებიან მუნიდგან აზნაურად და მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინაცა, აწ იწოდებიან აქიმოვებათ.

47. აზნაური მახვილაძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მონათესავენი ამირაჯიბთა და ესახლნენ გავხეთის კერძო მთისა, მახვილად წოდებულსა, რომლისა გამო გაუგვარდათ ესე სახელი მახვილეობა და დროსა ერეკლე მეფისასა, წელსა 1621-სა ცედას სოფელს მოვიდნენ და დაემუნნენ სურამის კერძოდ და მუნიდგან გაუგვარდათ გვარი მისი სახელისა გამო და არიან მოხსენებული ტრაკტატსა შინა. ხოლო რომელნიმე ამათ გვარნი ჰსცხოვრებდნენ როსისა შინა და სხვანი ქართლს.



48. აზნაური ზავარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ზავარ ალაღარად ხსენებულნი და დროსა მეფისა როსტომისა 1655 წ. იწოდნენ ზავარაშვილად და მიიღეს-ლა ქრისტიანობა და არიან ესენი მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

49. აზნაური ჯავარაშვილი.


ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად 1039 წ. ახალციხის კერძო ჯვარის ციხის მოურავად და ოდეს მიიღო თურქმან ახალციხე, მაშინ მოვიდა ჯავარა ვინმე ამათი წინა პარი და დაესახლა გაღმა მხრის სათარხნოს ადგილთა შინა სამეფოსა ადგილსა და ესენიც ცნობილ იყვნენ დროსა სვიმონ მეფისასავე აზნაურად და აწ რომელნიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა ჯავარაშვილად მოხსენებული ჯავარის გამო სახელისა.

50. აზნაური რჩეულაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი და ადრევე ცნობილნი აზნაურად, რომელსა ეწოდა რჩეულა ოსის სახელით და ამის გამო გაიგვარეს. გვარნი ესე რომელნიმე სახლობენ სამაჩაბლოს და რომელნიმე გვერდის ძირს, ესენი ცნობილ არიან ვახტანგ მეფისავე დროსა 1666 წ. აზნაურად, რომელნიმე იტყვიან მონათესავედ მაჩაბელთა და ესენიცა არიან ტრაკტატში მოხსენებულ.

51. აზნაური ქუმსის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსეთიდგან მოსრულნი, ქუმსი აღად წოდებული, რომელნიცა მოვიდნენ და დაემუნნენ ქართლს და მერე არაგვსა ზედა; ესენი ცნობილ არიან დროსა მეფისა როსტომისასა 1633 წ. აზნაურადვე და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებულ ქუმსის შვილებად ქუმსისა გამო სახელისა.



52. აზნაური დავითის შვილი.

ამათნი შთამომავლობანი არიან თავადის დავითის შვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ.

53. აზნაური ურქამაზა შვილი.


ამათი წინა-პარი იყო ურქამაზა სპარსი, რომელიც დამფთხელად იწოდება. ამისა სახელით და სიმსუბუქისა გამო გონებისა იწოდნენ ურქ ამზას დამთხვეულს მზას. ამათნი გვარნი იყვნენ მოსამსახურედ მეფისა როსტომისა. და იყვნენ მდაბალ აზნაურად მიღებულნი, უქმაზა შვილებად წოდებულნი და აწცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა გვარნი ამისნი, მოსულ არიან 1638 წ. როსტომ მეფის დროს.

54. აზნაური ცეროდინეს შვილი.

ამათნი წინა-პარნი იწოდნენ ადგილისა გამო ცერონისასა, რომელ არს ფცის წყალსა ზედა მდგომარე სოფელი და მუნ მოსახლე აზნაური მდაბლისა ხარისხისა იყო ტანითა მცირე, რომლისა გამო იწოდებოდნენ ცეროდინეს და ამის გამო გაუგვარდათ სახელი ესე შთამომავლობათა მათთა. რომელნიმე ჰსწერენ რომე იყვნენ ესენი ძველად ფალავანდით მონათესავენი და დამლობოდნენ და უკანასკნელ შვიქმნენ აზნაურებად. ესენი ჩნდნენ დროსავე ვახტანგ მეფისასა წელსა 1712 და ტრაქტატსა შინაცა არიან მოხსენებულ. ხოლო სომეხნი უწოდებენ ხეროდინედ აზნაურად, რომელნიმე არიან სომხად სარწმუნოებით გვარნი ამათნი.

55. აზნაური თაყველის შვილი.

ამათ წინა-პართა გაუგვარდათ ადგილისა გამო თაყველისა, რომელიც მოსახლეობენ მუნ. ესენი არიან ძველად რაჭის ადგილიდამ გარდმოსულნი ქართლსა, მოსულან ვახტანგ მეფის დროს 1712 წ. და ცნობილნიცა დროსა მეფისა თეიმურაზისასა მცირე აზნაურად, რომელნიცა მოხსენებულ არიან ტრაქტატსა შინაცა.



56. აზნაური წითელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე იყვნენ არაგვის საერისთოს ადგილის სახასო აზნაურნი, რომელნიცა იწოდებოდნენ წითლაძეთ და ოდეს ვახტანგ მეფე წარვიდა რუსეთად, თანა გაყვა წითლაძე და მსახურებდა მუნ მეფესა და მან დაუმტკიცა 1726 წელსა წითლაძე შვილობა და მერმე მეფეთაგანცა არიან მიღებულ აზნაურად და არიან ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი გვარნი, რომელნიმე დაშთნენ რუსეთს და სხვანი არიან ქართლსა შინა.

57. აზნაური იშხნელის შვილი.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე არიან გუარითა აწრუნელნი, რომელსა ეწოდა არიუზ საჩიკხული და ამის შვილს იშხან და ესენი იყვნენ კეისართაგან დადგინებულნი ვანსა შინა მებაჟეთა უფროსად წელსა 1042-სა და ოდეს განძლიერდნენ, მოსულან იმერითილამ მეფის თეიმურაზის დროს 1745 წ. და დაიპყრეს კერძონი აზრუმისა და სხვანი. მაშინ მოვიდნენ გვარნი ამათნი ახალციხეს და რომელნიმე შთამოვიდნენ ქართლსა და რომელნიმე იმერეთს და დაესახლნენ სახასოთა ადგილთა შინა და არიან მუნიდგან ცნობილნი აზნაურ იშხნელის შვილებად და მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

58. აზნაური ელარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად კავკასიის მთით მოსრულნი ოსთა აზნაურთაგანი. ცნობილან 1719 წ. ელიყანას შვილებად, რომლისა გამო გაუგვარდათ ილარის შვილობა. და იწოდებიან ესენიცა ილარის შვილად და არიან აზნაურადვე ცნობილნი დროსა მეფისა თეიმურაზისა და ვახტანგისასა და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულნი.

59. აზნაური მიქელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთით მიქელაძეების სახლის შვილთაგანნი მდებალ აზნაურად მიღებულნი, რომელნიც მოყვა ზითევსა შინა მიქელაძის ასულსა დედოფალს ზვარაშანს, მეუღლესა გიორგი მეფისასა და მუ-



ნიდგან არიან ცნობილ აზნაურად მიქელაშვილებად წელსა 1685-სა და მოხსენებულიცა ტრაკტატსა შინა.

60. აზნაური ფარიამანის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ფარი იამანიდამ მოსრულნი და არიან ცნობილნი დროსა როსტომ მეფისასა 1634 წ. მიღებულ იქმნენ აზნაურად. ხოლო სახელი ამათი გამოითარგმანების ფარი იამან, რომელიც ნიშნავს (ფარი სახელსა და იამან ქვეყანასა და ამის გამო მიიღეს ფარი იამანის შვილობა) და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

61. აზნაური შახოვი.


ამათნი გვარნი არიან ძველად მოსრულნი ჯულიდგან, ანსა შინა შახოვად წოდებულნი, გვარით სომეხთა ბეზირგანნი და მერე ანიდგან მოსრულნი საქართველოსა შინა, ოდეს თათართაგან წაბდა ანი და არიან რომელიმე რუსეთს მოსახლენი და მათ რუსეთსა შინა მოსახლეთა მეფემან თეიმურაზ 1759 წ. უბოძა აზნაურობა შახოვა შვილობისა დროსა მათს დიდებულების ელისაბედ იმპერატრიცასასა აშტარხანსა შინა რომელნიცა ესახლნენ ტფილისის მაღაქელაშვილებად. უკანასკნელ მეფემან ირაკლი მესცა მერვე ხარისხის აზნაურობისა ადგილი და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

62. აზნაური დიდებულიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდან მოსრულნი დროსა არჩილ მეფისასა, წელსა 1690-სა.

63. აზნაური ფანის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი იმერეთიდან. ფანისა შვილის სახლის კაცნი და ამათნი გვარნი ჰსჩნდენ დროსა სვიმონ მეფისასა 1561 წ. და არიან მოსახლე რუისის სოფელსა შინა და ამათნი გვარნი, რომელიმე სახლობენ რუსეთში, რომელნიც მოყვნენ ვახტანგ მეფესა და არიან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინაცა.



64. აზნაური ორჯონიკიძე.

ამათ წინა-პართ გაუგვარდათ ადგილის გამო ორჯოსა, რომელიცა არ
ნაწილი ახალციხისა და ესენი მოვიდნენ პირველ იმერეთსა შინა და მერ
მოჰყვენენ აბაშიძეთა დროსა მეფისა ვახტანგისასა 1711 წ., რომელნიც
მოსახლეობენ სააბაშიოში და სხვაგანცა და არიან ტრაკტატსა შინა მო
ხსენებულიცა.

65. აზნაური საყვარელიძე.

ამათნი წინა-პარნიც არიან ძირით იმერელნი და ამათ გვართავანნი მო
ვიდა ქართლსა დროსა მეფისა ბაგრატისასა 1512 წ. და არიან მუნდიგან
დაშთომილნი. ხოლო რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქა
რთლში, რომელნიც მოხსენებულნი არიან ტრაკტატში.

66. აზნაური ცალქალამიძე.

ამათ წინა-პართა ადგილისა გამო ეწოდა ცალქალამისა და გაუგვ
რდათ ესე, ესენი არიან ძველადვე მოსრულნი დროსა დავით მეფისას
1509 წ. იმერეთილამ და მოსახლეობენ ქართლში და არიან მოხსენებულ
ტრაკტატსა შინა.

67. აზნაური მათადაშვილი.

ამათ გვართა ეწოდათ პირველ ანსა შინა ტერტერას მადათას სახელისა
გამო შვილთა მისთა მადათაშვილობა და იყვნეს მუნ ჩინებულნი ბეზირგა
ნნი და დროსა ანისა დაცლისასა მტერისაგან რაოდენსამე კომლისა კაცი
მოვიდნენ სომხითსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესასა 1415 წელსა და
დაეშენნენ ბოლნისის ხეობასა შინა და მეფემან მიიღო მესამის ხარისხი
აზნაურად და სხვათა მეფეთაგანცა შეწყყნარებულ იყვნენ და ტრაკტატს
შინაცა არიან მოხსენებულ.



68. აზნაური ფირალაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ფილალიად წოდებულნი, რომელი გარდმოითარგმნების მოხუცი ალია ანუ მორწმუნე ალიასი. ესე ფირალი მოვიდა დროსა მეფისა ალექსანდრესა და დაემუნნენ ქალაქსა გრემსა, წელსა 1498 და მუნ იყვნენ ალაღარისა ხარისხითა მცირის აზნაურობისათა. ხოლო უკანასკნელ, ოდეს მოვიდა კახეთსა ზედა შაჰაბაზ და მუნებურნი ხალხნი დაიხიზნენ, ესენი აღვიდენ ახალციხეს და მიიღეს სომეხთა სარწმუნოება და მერე დამშვიდებისა შემდგომად შთამოვიდნენ იმერეთს და არიან აწ მოხსენებულ ტრაკტატსა შინა ფირალაშვილებად მოხსენებულნი.

69. აზნაური ლორის-მელიქის შვილი.

ესენი არიან ძველადვე თავადის მელიქის შვილის სახლთა კაცთაგანნი, ვითარცა ზემორე აღვწერეთ თავადის მელიქის შვილისათვის და არიან აწ მოსახლენი, რომელნიმე ლორის ხეობაშია, რომელნიმე ტფილისს და რომელნიმე რუსეთსა შინა. ამათნი გვარნი რომელნიმე იწოდებიან პაპა მუშრიბის შვილებად, მელიქ ჯანაშვილებად, ავთანდილის შვილებად, ზრიგოგიაშვილებად, და სხვანი ხელოქანად და სხვანი. და ესე მელიქის შვილებიც არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

70. აზნაური ქალანთრის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი განჯიდგან ყაზახსა შინა, რომელნიცა იყვნენ მოხელენი სპარსთა ენისაებრ ქალანთარნი და ესე გაუგვარდათ შვილთა მათთა და არიან მცირე აზნაურისა ხარისხისა მექონნი. რომელნიმე არიან თათრად, რომელნიმე არიან სომხად, მიიღეს აზნაურობა მეფე თეიმურაზისაგან 1740 წ. სომეხი ქალანთრის შვილები სახლობენ შულავერას. ხოლო სხვანი რომელნიმე მოზღოგას და ყიზლიარს. ამათ უწოდებენ მკალავის შვილებად, რომელ იყვნენ მკალავნი ამათნი წინა-პარნი. ხოლო სხვანი სახლობენ ყაზახსა შინა და არიან მოხსენებულ აზნაურად მეტადრე ყაზახის ქალანთარნი, რომელიც ჰსჩნდენ დროსა მეფისა თეიმურაზისასა.

71. აზნაური გილდაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი და ეწოდა ოზ გელდი ესე იგი თვით მოსრული და ამათთა გვართა მიიღეს ქრისტიანობაი, დაესახლნენ ერწოსა საერისთოსა ადგილსა შინა და მერე რომელნიმე დაეშვნენ ქართლს და რომელნიმე კახეთს დროსა მეფისა თეიმურაზისასა 1648 წ. და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისაგან.

72. აზნაური ბაზლიძე.


ამათნი წინა-პარნი ძველად მოსულან დავით მეფის დროსა 1299 წ. მოსახლე იყვნენ ვაკე ბაზალეთს, რომელისა გამოცა აქვნდათ გვარი ბაზლიძეობისა ადგილისა გამო და ოდეს ამათნი წინა-პარნი ამოწყვიტეს ნუგზარ სიღამონისძემ არაგვის ერისთავმა 1569 წ., ვითარცა ზემორე დავწერეთ არაგვის ერისთავთათვის, მაშინ განიბნივნენ დანაშთნი ბაზლიძენი, რომელნიმე დაესახლნენ კახეთს, რომელნიმე ქართლს და რომელნიმე ყიზლარსა შინა და ამათნი გვარნი ცნობილ იყვნენ დროსა დავით მეფისასა წელსა 1299 და მოხსენებულნიც არიან ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისასა.

73. აზნაური ფატრელიშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ლეკთა ადგილით ფადართ, რომლისა გამო გაუგვარდათ ფატრელობა. ესენი ცნობილ იყვნენ დროსა მეფისა პირველისა ირაკლისასა 1703 წ. და მიღებულ მეფეთაგან აზნაურად, გარნა ამათნი გვარნი ასწყდენ და არვინმელა არიან მცხოვრებ საქართველოსა შინა.

74. აზნაური შავერდაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ განჯის ბეგლარბეგის შავერდის უკანონოს ცოლისაგან ნაშობნი და ამათი წინა-პარნი შავერდას შვილად ხობილ შავერდავე გასომხდა და დაესახლა ტფილისს. ესენი ჰსჩნდენ სვიმონ მეფის დროს 1559 წ. და ვახტანგ მეფესაც გარდმოყვნენ რუსეთსა შინა აზნაურობისა ხარისხით და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ, სამეფო აზნაურნი არიან ესენიცა.



75. აზნაურის ბათის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ოსთა აზნაურისა თაგაურისა სახელით ბათესა შთამომავლობისანი და, მის გამო გაუგვარდათ მამულით სახელი ბათეშვილობა. ამათნი წინა-პარნი ჩნდნენ დროსა მეფისა გიორგისასა 1563 წ. და მუნიდგან ცნობილ არიან მეფეთაგან ბათეშვილ აზნაურებად და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინაცა.

76. აზნაური უზნაძე.

ამათნი წინა-პარნი პირველ ესახლნენ ადგილსა ერწოს საერისთაოსასა, სოფელსა, რომელსა ეწოდებინ უზნაძე და იყვნენ მუნ მოსახლენი უზნაძეთ ხმობილნი მკირე აზნაურნი, რომელთაცა განუგვარდათ სახელი ესე უზნაძეობა და არიან ცნობილ დროსა ვახტანგ მეფისასა და თეიმურაზისასა 1720 წ., რომელნიც აწ მსცხოვრებენ და მოსახლეობენ ლიახვს ხეობასა შინა და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

77. აზნაური ოთანაშვილი.

ამათ წინა-პართა ეწოდა ოთან, რომელიც დროსა თრდატ მეფისასა წინამძღომელი იყო მხედრობათა ქრისტეს აქეთ 259 წ. ესენი ესახლენ პირველ დვინსა შინა, რომელ არს აწ გარნაჩი და ოდეს სპარსთა იწყეს რბევა სომეხთა სამეფოთა, მერე გარდმოესახლენ ახალციხეს და მერე, განდგა რა ახალციხის ათაბეგი, შთამოვიდნენ საქართველოსა შინა, წოდებულნი ოთანა შვილებად აზნაურად მიღებულნივე დროსა სვიმონ მეფისა 1588 წ. და სხვათაცა და არიან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

78. აზნაური კოტეტის შვილი.

ამათ წინა-პარს ეწოდა სახელად კონსტანტინე, გარნა ეძახდნენ კოტეტსა და ამის გამო გაუგვარდათ შთამომავლობათა მათთა კოტეტის შვილობა, ესენი არა არიან ძველნი აზნაურნი, არამედ მეფემან თეიმურაზ 1703 წ. უბოძა მღვდელსა კოტეტსა და შვილთა მისთა აზნაურობა, რადგან კარის ეკლესიის დეკანოზი იყო, აწ კოტეტის ეკლესიად წოდებულნი



ტფილისსა შინა სამეფო სასახლის ადგილსა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

79. აზნაური გრიგოლაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი ანიდგან, რომელნიც ესახლენ მუნ და იყვნენ პირველ ქედხუდანი და მერე ანის დამდაბლების გამო აიყარნენ და მოვიდნენ გრიგოლას შვილები საქართველოსა შინა, რომელიც მიღებულ იყვნენ მდაბალ აზნაურად და რომელიცა ახლდა რუსეთსა შინა ვახტანგ მეფესაცა გრიგოლაშვილი და არიანცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

80. აზნაური ფარესაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსიდგან მოსულნი, სახელით ფარისად წოდებულნი და მის გამო მიიღეს შთამომავლობათა მისთა ფარესაშვილობა, ესენი ჰსჩნდენ როსტომ მეფის დროსა, რომელმან მიიღო 1635 წ. მცირე აზნაურად და მოხსენებულიცა არიან ტრაკტატსა შინა.

81. აზნაური გოგიბედაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად კლდეკარის საერისთაოს ადგილით მდაბალნი მონათესავენი მიწობლის ძისანი და არიან ძველადვე სამეფო აზნაურნი და ესენი ჩნდენ დროსა მეფისა ლუარსაბისასა 1612 წ. და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

82. აზნაური ელიოზისშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი და მცხეთის ქალაქსა შინა მოსახლენი. ხოლო ამა ელიოზის შვილმან მღვდელმან ურიათამან აბიათარ მიიღო მეფისა ხოსროიანისა მირიანისაგან ზარისხი აზნაურობისა, ოდეს ნათელ იღეს წმიდა ნინოსაგან მეფემან და სხვათა ქართველთა წელსა ქრისტეს აქეთ 317 და მღვდელმანცა აბიათარ და მამონიწოდნენ აზნაურად ელიოზისშვილებად საზოგადოთ. ხოლო ძმათა ამათათა შვილები იწოდნენ აბიათარის შვილებად, ელიოზის შვილებად და გე



დონის შვილებად და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა მეფისა ირაკლისაგან.

საკათოლიკოზო აზნაურნი

83. აზნაური მაღალაშვილი.

ამათგანი რომელიმე იყო თავადი და რომელიმე აზნაური ვითარცა ზემორე დავსწერეთ თავადის მაღალაშვილისათვის. იხილეთ მუნ.

84. აზნაური ელიოზისშვილი.

იხილე ზემორე, ვითარცა დავსწერეთ.

85. აზნაური თუხარელი.

ამათნი წინა-პარნი მოსახლე იყვნენ სამცხის ნაწილსა შინა და საათაბეგოსასა თუხარის ადგილსა შინა და მუნებურნიცა მოხელენი და, ოდეს განდგა ათაბეგი, მაშინ მოვიდნენ საკათალიკოზოსა ადგილსა შინა მეტეხს დროსა დავით მეფისასა 1469 წ. და იწოდნენ გვარად თუხარელად ადგილისა გამო და არიან აზნაური მეორისა ხარისხისანი, რომელნიცა სახლობენ რაოდენმე სახლად: 1) სვიმონის შვილებად, 2) ბერის შვილებად, 3) ჭაბუას შვილებად და სხვანი და სხვანიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

86. აზნაური ქარსიძე.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ ძველად არაგვის ადგილსა შინა ქასრის ხევს და მერე გარდმოესახლნენ საკათალიკოზოსა ადგილსა შინა და გაუგვარდათ ადგილისა გამო ქასრისა ქარსიძეობა. ამათნი წინა-პარნი ჰსჩნდნენ სვიმონ მეფისა დროსა შინა 1580 წ. დროსა მეფის თეიმურაზისასა მიიღო უფრორე პატივი გიორგი ქარსიძემან, ოდეს განჯისა ომსა შინა დაიჭრა მტერთაგან მეფისა თანა და არიან ესენი ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.



87. აზნაური თაზიშვილი.


ამათნი წინა-პარნი ესახლენ სამცხეს და დროსა ახალციხის განდგომისასა შთამოვიდნენ ქართლსა 1703 წ. და ამით შინა იყო უფროსი თამაზა, მცირე აზნაური მესამისა ხარისხისა, რომელსა ძველად უწოდნენ თამაზა შვილად და ამათმან გვართაგანმან ვინმემ განარისხა საქმესა რასმეზე რომსტომ მეფე და მეფემან შერისხა და უბძანა „შე თაზის შვილო“ (ესე იგი თათრულად მწევრის შვილო) და მერმე მის გამო გაუგვარდათ თაზის შვილობა და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

88. აზნაური ქადაგის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, გვართო ქადაგიძეები. ამით მიიღეს, რომელ მოხელენი მთისანი ანუ ისე მსახურნიცა კაცნი, ოდეს მტერი ვინმე მოვიდოდა საქართველოზედ ანუ სხვა რაიმე საქმე მოხდებოდა ესენი, ვითარცა ქადაგნი, იმსახედ მოყვებოდნენ და უქადაგებდნენ ერთა და განამხობდნენ და ამით გვართაგანი ვინმე დაეცემოდის ქადაგად და მის გამოდ გაუგვარდათ სახელი ესე და იწოდნენ აზნაურ ქადაგის ძეებად შთამომავლობანი მათნი. ხოლო ამაზედანცა არს კავკასიისა მთასა შინა, რომელიცა დაეცემის ვინმე ქადაგი და მომავალის საქმისათვის იტყვის რასამე, ვითამ ჩვენება რაიმე იხილა, ვითარცა არიანცა ფშაველთა და ხევსურეთსა შინა ქადაგად წოდებულნი: ხოლო ქადაგიძეები რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლსა შინა და არიან მოხსენებულ აზნაურად ტრაკტატსა შინა. მოსულან სვიმონ მეფის დროს 1624 წ.

89. აზნაური ზუმბულიძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად აფხაზეთსა შინა მოსახლენი, და შთომილნი სპარსთაგან მხედრობისა და მერეთ რომელნიმე გადმოვიდნენ საქართველოსა შინა და დაესახლენ ქართლს და იწოდებიან მუნიდგან ზუმბულისძეთ და ცნობილნი იყვნენ დროსა ვახტანგ მეფისა და მოხსენებულცა არიან ტრაკტატსა შინა, რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე ამით გვარნი აფხაზეთს შინა.



90. აზნაური ყოვარიშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ იმერეთის აზნაურნი, ყრუაშვილებად ხმობი-
ლნი და ამათგანნი ვინმე მოვიდა ქართლსა შინა და დაესახლა და მისცეს
გვარივე ყრუაშვილობისა, გარნა ენისა ცვლილებით უწოდნენ ყოვარიშვი-
ლებად და გაუგვარდათ ესე. ხოლო აწ რომელნიმე სახლობენ ქართლში
და რომელნიმე იმერეთს და ესენიცა ცნობილნი იყვნენ აზნაურად ვახტანგ
მეფისა დროსვე 1702 წ. და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებულ.

91. აზნაური კვალიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, კაკიაშვილები გვა-
რით. შესცვალეს სახელნი ამათნი კვალიაშვილებად. როსტომ მეფის დროს
მოსულან 1635 წ. და არიან ესენიც ცნობილ მეფეთაგან და ტრაკტატსა
შინა მოხსენებულ.

92. აზნაური ბოჭორაძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან იმერეთის აზნაურნი და რომელნიმე მოვი-
დნენ ამათ გვარნი დროსა არილ მეფისასა 1698 წ. და დაესახლნენ ქა-
რთლს და მუნიდგან იწოდებიან ბოჭორას შვილებად გვარი ამათნი, რომე-
ლნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და ესენიცა არიან მო-
ხსენებულ ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისაგან.

93. აზნაური ევაძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან იმერეთიდან მოსრულნი, რომელნიც
იყვნენ ერაძეთ ხმობილნი და აწ იწოდებიან გვარად ევაძედ. ესენი ჰსჩნდენ
ვახტანგ მეფის დროსა 1661 წ. და ტრაკტატშიაც არიან მოხსენებულ,
რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლსა შინა.

94. აზნაური აღსაბაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, აბტაბაძედ წოდე-
ბულნი, და მერე ცვლილებისა გამო ასოსა აღსაბაძედ იწოდებიან. ესენიც



არიან ცნობილ დროსა მეფისა თეიმურაზისასა 1699 წ. და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ. რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლსა შინა.

95. აზნაურნი ბადაშვილი.

ამათნი წინა-პართაგანი მოჰყვა სპარსეთით როსტომ მეფესა, ბადალად წოდებული თათრულად, და მერე შემდგომად მიიღეს მართლ-მადიდებლობა გუართა ამათა. იწოდებიან აზნაურ ბადაშვილებადვე და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

ქსნის საერისთოს გვერდის ძირის აზნაურნი არიან შემდგომნი ესე:

96. აზნაურნი კორინთელი.


ამათნი წინა-პარნი არიან ძველადვე მოსრული კორინთით, ვითარცა ზემორე აღვწერეთ ქსნის ერისთავთათვის. მუნ არიან მოხსენებულ და ჰსწერიან ტრაკტატსა შინაცა.

97. აზნაურნი ლოლაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდან მოსრულნი და ესენი ჩნდნენ ერეკლე მეფის დროს 1695 წ. და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ, რომელნიმე სახლობენ აწ იმერეთს და რომელნიმე ქართლს.

98. აზნაურნი თულაშვილი.

ამათნი წინა-პარნი ძველად იყვნენ სპარსნი თუქლი ყაენის შვილი, რომელიცა მობარებული ჰყვანდა ყაენისაგან, მეფესა დავითს მზეველად 1294 წ., და მას ყვა სომეხთა ქალი ვინმე ტფილისს ხარქად და მისგან ნაშობნი იწოდნენ თუქლის შვილებად, და შემდგომ მეფემან არა უტევა წარყვანებად არცა ქალისა მის და არცა შვილთა მისთა სპარსეთად და დაშთნენ თუქლის შვილები და მიიღეს მართლ-მადიდებლობაი და მერე იწოდნენ



შეცვლისა გამო სახელისა თულაშვილებად და იყვნენ ხარისხითა აზნაურისათა მეფეთაგანვე ცნობილნი და ტრაქტატსა შინაცა არიან მოხსენებული. ამათნი გვარნი რომელნიმე მოსახლობენ ქართლს, მზითვად გაყოლილნი და რომელნიმე სომხითსა შინა.

99. აზნაური ხმალაძე.

ამათნი წინაპარნი იყვნენ ძველად ახალ-ციხესა მცხოვრებნი და აბჯართა ათაბაგისათა მცველნი, რომლისა გამო ეწოდათ ხმალთა მცველნი, მოსულან როსტომ მეფის დროს 1635 წ. და მერე შთამოვიდნენ ქართლსა და უწოდეს შვილთა მათთა ხმალაძე და გაუგვარდათ, რომელნიცა მოხსენებულ არიან ტრაქტატსა შინაცა.

100. აზნაური უთნელის შვილი.

ესენიცა არიან ზემოხსენებულის უთნელის სახლის კაცნი, იხილე ზემორე სამეფო უთნელის შვილისა აღწერაში და არიან მოხსენებულ ტრაქტატში.

101. აზნაური სრესელი.

ამათნი წინაპარნი არიან ოსნი კავკასიის მითთ მოსრულნი, ქურთაულთა გვარისანი, სრესელად წოდებული, რომელიცა განუგვარდათ შვილთა მისთა, და არიან ტრაქტატსა შინა მოხსენებულიცა. თეიმურაზის დროს 1739 წ. მოსულნი არიან.

102. აზნაური ფალვენის შვილი

ამათნი შთამომავლობანიცა არს თავადთა ფალვენიანთაგან, გარნა არიან აზნაურად მიღებულნი ძველადგან მეფეთაგან და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა. იხილე თავად ფალვენის შვილის აღწერაში.



103. აზნაური მრეველი შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მრეველები სოფლებისა მეჯვედის ხეობისანი, ძველად იწოდებოდნენ მრეველის შვილად, (ესე იგი მასწავლებლის შვილი) და იწოდნენ ვახტანგ მეფის დროს მრეველის შვილებად. ძირით არიან აზნაური ფლაველი გვერდის ძირსა 1703 წ. და მის გამო გაუგვარდათ მრეველობის მაგიერ მრეველის შვილობა და არიან ესენიცა აზნაური მოხსენებულნი ტრაქტატსა შინა.

104. აზნაური მაჭავარიანი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ყარაბაღის კერძოდ, ადგილსა მაჭარაკამურს მოსახლენი ვაიუც წურსა შინა და მათნი წინაპართაგანნი გარდასახლდნენ ახალციხეს და მუნიდგან იმერეთს შინა შთავიდნენ დროსა ახალციხის განდგომისასა და მერე რომელნიმე მოსულან გიორგი მეფის დროს 1587 წ. გადმოესახლენ ქართლსა შინა და იწოდნენ გვარად ადგილის გამო მაჭავარიანებად და არიან ესენი ცნობილინივე დროსა გიორგი მეფისასა და ტრაქტატსა შინაცა არიან მოხსენებულნი რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე იმერეთს.

105. აზნაური ალექსის შვილი.

ესენი არიან მონათესავენი სამეფო ალექსის შვილებისა, ვითარცა ზემორე აღვწერეთ ალექსის შვილებისათვის და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

106. აზნაური ბასილა შვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ პირველ ადგილსა ბასიანსა შინა და მერე დასახლდნენ იმერეთს და მუნიდგან მოვიდნენ რომელნიმე ქართლს, რომელნიც ადგილისა გამო ბასიანისა ბასილა შვილებად იწოდნენ და განუგვარდათ ესე, ესენიცა არიან ცნობილი აზნაურად მეფისა. ბასილა შვილობა მიიღეს გიორგი მეფის დროს 1587 წ. და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ.



107. აზნაურის ჩუბინის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან დროსა რუსუდან დედოფლისასა ნოენთაგან შთამომავლობათაგან ჩუბინ ნოინის შვილთაგანნი (ნოინი ანუ ბატონენი), რომელნიც მაშინ იყვნენ ქართლს, დაეპყრათ მათ და მერე გამოსვლისა მათისა ქართლიდგან დაშთინენ ჩუბინის შვილთაგანნი ატოცის წყალსა ზედა საფალავანდოიანოსა ადგილსა შინა, და იყვნენ მეფეთაგან მიღებულ აზნაურად და მერე ოდეს მოინდომეს ყმად ფალავანდიანთა, გარდმოვიდნენ გვერდის ძირს და დასახლდენ მუნ მეფე თეიმურაზის დროს 1739 წ. გარნა ერისთავიანთაც ძალითა გაიყმაც და მერე შეიქმნენ სამეფოდ და არიან ძველადვე ამათნი წინაპარნი ნოინთაგან, რომელნიცა ჰსჩნდენ ქართლსა შინა ქარისტეს აქეთ 1237 წ. და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

108. აზნაურის ტატის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ გვარად დატად წოდებულნი, რომელიცა იყო დატ სომეხთა მეფისა სანადიროთა ადგილთა ზედაშხედველი და მერე დამლაბლებისა სომეხთა მეფობისა მოვიდნენ ქართლს და დაეშენნენ და მიიღეს მართლ-მადიდებლობა და იწოდებოდნენ დატის შვილებად და მერე მისა თვისებისა გამო გაუგვარდათ ტატის შვილობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

შენიშვნა. ზოლო სხვა რვეულში ესე სწერია: აზნაური ტატის შვილი არის ახალ-ციხით ტაოელი ტეტია შვილი, ზოლო ამისა შვილსა ყრმასა უწოდენ ტატასა ალერსობისა გამო და ამის გამო გაუგვარდათ ტატის შვილობა მეფობასა ვახტანგისასა 1704 წ.

109. აზნაურის მანურის შვილი.

ამათნი წინაპარნი არიან ქურთის გვარისანი მანურ აღად წოდებულისა და ესენი მოვიდნენ და იყვნენ ახალ-ციხეს და მერე შთავიდნენ იმერეთს, და ამათგანნი დაშთა ლეჩხუმსა შინა აზნაურად მანდარის შვილად. ზოლო მანური მოვიდნენ ქართლსა, დროსა მეფისა არჩილისასა 1675 წ. და პაპე-ლის სახელითა სახელისა გამო მანურისა გაუგვარდათ მანურის შვილობა და არიან მუნიდგან წოდებულნი და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.



110. აზნაური ძამელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი ახალ-ციხიდამ დროსა ციციანის მოსვლისასა და იყვნენ მცირე აზნაურნი მოსახლენი ხეობასა შინა ძამისასა წოდებულს და მერე გამოვიდნენ და დაესახლენ ქართლს და ადგილისა გამო გაუგვარდათ ძამელაშვილობა მეფის თეიმურაზის დროს 1730 წ. და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

111. აზნაური კობახიძე.


ამათნი წინა-პარნი იმერეთიდამ მოსულან თეიმურაზ მეფის დროს 1730 წ., იყვნენ პირველ მოსახლე ადგილსა ერევნისას - კულაბად-ფურად წოდებულსა და ოდეს სპარსთა დაუწყეს რბევა, აიყარნენ და მოვიდნენ ახალ-ციხეს და იქიდგან შთავიდენ იმერეთს, რომელთაცა ენისა გამო უწოდენ კობახად მათ იმერნი და იყვნენ ესენი ცნობილ დროსა მეფის იმერთა ალექსანდრესასა მცირე აზნაურად და მუნიდგან გაუგვარდათ შთამომავლობათა მათთა კობახიძეობა და არიან რომელნიმე იმერეთს მოსახლე და რომელნიმე ქართლსა შინა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

112. აზნაური განძიელი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ გვართა განძიედ წოდებულნი, რომელ განძი იყო სომეხთა მეფეთა დროს თავადად და ოდეს დამდაბლდა სომეხთა სამეფო და იქმნა აღრეულება, ამათნი წინა-პარნი მოვიდნენ და დასახლდენ ადგილსა თრიალეთისასა, განძად წოდებულსა, და მერე მუნიდგან შთამოვიდნენ ვახტანგ მეფის დროს 1727 წ. და დამდაბლებისა გამო შეიქმნენ აზნაურნი და იწოდნენ შთამომავლობანი მათნი განძიელებად და ესენი ცნობილნი იყვნენ დროსა მეფის ვახტანგისა, და თეიმურაზისასა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

113. აზნაური ჯაფარიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან შთამომავლობით ჩინგიზთა სულთნისა, ჯაფარად წოდებულისა, რომელნიცა ჩინგიზთაგან დადგინებულ იყო ჯაფარ



სულთანნი გამგეთ რაჭისა ადგილთა, რაჭიდამ მოსულან ქართლს არჩილ მეფის დროს 1634 წ. და ოდეს განდევნილ იქმნენ ჩინგიზნი საქართველოდამ, დაშთენ გვარნი მათნი და მიიღეს მართლ-მადიდებლობაი და დაშთენ თავადობისა ხარისხითა რომელნიმე და რომელნიმე ამათგანნი აზნაურად და არიან მუნიდგან-მუნ მცხოვრებნი და რომელნიმე მდაბალნი ამათნი გვარნი მოსრულნი ქართლსა შინა, რომელნიც მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინა.

აზნაურნი საბართის შვილოს ადგილისანი,
რომელნიცა მიეწერებიან საბართიანთა
ადგილთა შინა მცხოვრებთა აზნაურთა

114. აზნაური არება შვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ ადგილსა კერძოსა ვანისასა. არწუნსა წოდებულსა, რომელსა ეწოდა არეშ და მერე თურქთა დროთა განძლიერებისა მოვიდნენ სომხითსა შინა და დაესახლნენ მუნ და ამათს შთამომავლობას ორბელიანთა მონათესავესა და სწერიან ტრაკტატსა შინა.

შენიშვნა, სხვა ვარიანტი: არეშაშვილი არის ძირით იმერეთიდან არეშისძე. ამათი გვარი მოვიდა ვახტანგ VI მეფის დროს და დაეშენა სომხითსა შინა 1703 წ. და მუნით მიიღეს არეშაშვილობა.

115. აზნაური ბერძნის შვილი.

ესენი არიან სამეფო ბერძნის შვილების განაყოფნი, ვითარცა აღვწერთ ბერძნის შვილთათვის, მუნ იხილეთ და ესენიცა არიან ტრაკტატში მოხსენებულ.

116. აზნაური სადუნა შვილი.

ამათ წინა-პართათვის მოუთხორობენ სალდუხის ძის შთამომავლობათან, რომელიცა იყო წარჩინებული სალდუხან წოდებული თამარ მეფის ძროსა 1180 წ. და მერე ოდეს დამდაბლდენ, და შეიქნენ ამათნი შთამო-



მავლობანი მცირე აზნაურად, საღუნაშვილობით იწოდნენ და განუგვარდათ ესე და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

117. აზნაური ნამორაძე.

ესენი არიან ქართლიდგან სომხითს განსრულნი დროსა ვახტანგ მეფისასა 1704 წ. მონათესავენი ნამორასძენი იხილე მუნ და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

118. აზნაური ლამაზის შვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ კახეთსა შინა, ლაბიანად წოდებულსა ივრის ხეობაზედ, რომელთაცა უწოდენ ლამიანის ძეებად, დროსა გიორგი მეფისასა 1587 წ. ხოლო ამათ შთამომავლობათაგანნი იყო ვინმე ყრმა ფრიად მშვენიერი, რომელსა სახელად უწოდდენ ლამაზსა და მის გამო გაუგვარდათ შვილთა მათთა ლამაზის შვილობა და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

119. აზნაური გოსტამის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი და ამათგანსა ეწოდა სახელად გოსტამ თათრულის სახელით. ისინი ესახლენ პირველ თეზმისა ხეობასა შინა და უკანასკნელ გარდასახლდენ სომხითსა შინა და მუნიდგან შთამომავლობანი მათნი იწოდნენ გოსტამის შვილებად, ესენი ცნობილ იყვნენ როსტომის დროსაცა 1635 წ. ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

120. აზნაური ბლორძელი.

ამათთა წინა-პართა მიიღეს გვარად ბლორძელობა, ვინაიდან იყვნენ პირველ ადგილსა ბლორსა წოდებულსა და ამათ ხელოვნებისა გამო ჯარაობისა, მეფეთგან მიიღეს მცირისა აზნაურობისა ხარისხი ვახტანგ მეფის დროს 1704 წ. და იყვნენ ესენი ცნობილ მეფე თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა დროსავე, რომელნიცა არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ და არიან მოხელე, რომელნიმე ქრცხინვალსა, და რომელნიმე სომხითსა შინა მოსახლენი.




121. აზნაური გეთასანაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მონათესავენი შორიელნი მხარგრძელისანი და მოსახლენი ხაჩინის ადგილსა შინა. ამათთა პირველ წინა-პართა ვახტანგაშვილს უწოდნენ. ხოლო უკანასკნელ ამთგანნი ვინმე გათათრდა და უწოდეს ასან, და მერე ხაჩინის მთავარმან რისხვით გამოაძო და უბძანა გეთასან (რომელ არს თათრულეზ, წარვედ ასან) და მერე მოვიდნენ სომხითს და ამათნი შვილნი კვალად გაქრისტიანდენ და განუგვარდათ გეთასანაშვილობა და არიან მუნიდგან ცნობილ აზნაურადვე და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

შენიშვნა, სხვა ვარიანტი: აზნაური გეთასანაშვილი, ახალ-ციხით მოსრული, თათარი ასანა წოდებულნი, რომელიც ცხოვრებდა სომხითსა როსტომ მეფის დროს 1635 წ. აიყარა და წარვიდა თვისსავე მამულსა და დაშთენ მისნი რომელნიმე ნათესავნი და ამის გამო ეწოდათ გეთასანაშვილი (რომელნი ნიშნავს: გეთი ასან, ესე იგი: წარვიდა ასან).

122. აზნაური ყიფიანი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი სვანეთიდგან, რომელნიც დაშთენ პირველ მურვან ყრუს მხედრობათგანნი ყიფთი სვანსა შინა ტყვეთ, რომელნიცა მეფეთაგან მიღებულ იქმნენ თავადად და არიან აწცა სვანეთსა შინა ყიფიანნი მექონნი მამულისა. ხოლო რომელნიმე ამთგანნი წარვიდნენ ახალ-ციხეს და გათათრდენ მუნ. ხოლო რომელნიმე მოვიდნენ ბაშქიეებთა თანა და რომელნიმე დასახლდენ სომხითსა შინა ვახტანგ მეფის დროს 1711 წ. აზნაურად მიღებულნი და არიან ძველადვე გვარი ამათნი ნაცნობნი მეფეთაგან და სცხოვრობენ რომელნიმე იმერეთსა შინაცა, და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.



სამაჩაბლოს აზნაურნი, რომელნიც მოსახლეობენ მუნ.

123. აზნაური რჩეულაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან სამეფო აზნაურის რჩეულაშვილის გვართაგან, ვითარცა ზემორე აღვწერეთ, იხილე მუნ და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

124. აზნაური ნაბიჭრისშვილი.

ესენი არიან მაჩაბელთაგანვე ხარკთაგან შობილნი და მცირე აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან ძველადვე და მოხსენებულნიცა ტრაქტატსა შინა. ამისთვის იყო ეს გვარი მიღებულ აზნაურად, ვინაიდან ძველადვე იყო განწესებულ, რომელ მეფეთა ანუ მეფეთა ძეთაგან უწესოთ შექმნილთა აქვნდათ ხარისხი თავადობისა, თავადთაგან უკანონოდ შექმნილთა აქვნდათ ხარისხი მცირე აზნაურობისა. აზნაურთაგან შთამომავალთა ამასვე სახედ აქვნდათ მსახურის მეფისა ადგილი. ხოლო გლეხთაგანი მიეცემოდენ ეკლესიათა ყმად, რომელისა საეპისკოპოსა შინა იქმნებოდა ესე გვარი შემთხვევა, მის საყდრისა იქმნებოდაცა ყმად იგი.

სადიასამიძოს ადგილის აზნაურნი მოსახლენი.

125. აზნაური მახვილაძე.

ესენი არიან სახასო მახვილაძეების მონათესავენი. იხილე ზემორე მახვილაძეთათვის, ვითარცა აღვწერეთ და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.



126. აზნაური გობირეხვაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ თრიალეთის ადგილსა შინა მცხოვრებნი გობად, გვერდელად წოდებულნი და ესენი შემდგომ ჰსცხოვრებდნენ საათაბეგოსა შინა და დიასამიძეთა შთამოყვენ ქართლსა შინა დროსა მათისა შთამოსვლისათა, ვითარცა ზემორე სწერიან და მის ადგილისა გამო გაუგვარდათ გობირეხვეობა და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

127. აზნაური ხუციასვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ხუციას შვილებად წოდებულნი, რომელნიცა იმერეთს მკვიდრობდენ და მუნიდგან მოვიდნენ ქართლსა და დასახლნენ ვახტანგ მეფის დროს 1705 წ. და ხუციას შვილობა გაუგვარდათ ხუციასვილებად და არიან მცირე აზნაურნი რომელნიმე აწ ჰსცხოვრობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

საციციანოს ხეობის აზნაურნი არიან შემდგომნი ესე:

128. აზნაური მეღვინეთ ხუციასვილი.

ესენი არიან სახასო აზნაურის მეღვინეთ ხუციას ნათესავნი და იხილე მუნ, ვითარცა ჰსწერიან იგინი. ხოლო ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

129. აზნაური კლიმიას შვილი.

ამათთა გვართა განიგვარეს სახელისა გამო კლიმისა კლიმიაშვილობა. დროსა მეფისა სვიმონისასა ჰსჩნდენ აზნაურად მცირედ, ოდეს სვიმონ მეფე ებრძოდა ოსმალთა მაშინ მსახურებისათვის მიიღეს აზნაურობა 1561 წ. და არიან ადგილითვე საციციანოთი და მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.



130. აზნაური ორჯონიკიძე.

ესენიკა არიან მონათესავენი სახასოს ორჯონიკიძისანი, ვითარცა ზე-
მორე მოვიხსენეთ იხილეთ მუნ და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

131. აზნაური უთრუთაშვილი.

ამათნი წინა-პართაგანისას იტყვიან უთრუთის ციციშვილის შვილო-
ბილად გააზნაურებულსა მეფეთაგან, რომელნიც ჰსჩნდენ დროსა მეფისა
როსტომისასაცა და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ, რომლის
გამო გაუგვარდათ უთრუთის გამო უთრუთის შვილობა მეფე როსტომის
დროს 1635 წ.

132. აზნაური ალაიბეგის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ გვართა თათართა ალაართაგანნი, ალაიარ
ბეგად წოდებულნი. ძველადვე მოსახლენი ქართლს დროსავე თამარ მეფე-
სასა და ამათმან გვარმან ნათელილეს და მოიქცნენ მართლ-მადიდებელად
და მისცესვე მეფეთ გვარად ალაიარბეგის შვილობა და არიან მუნიდგან
ცნობილ აზნაურად და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

133. აზნაური დანდლის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მონათესავენი დიასამიძისანი და მცხოვრებნი
ახალციხეს აზნაურადვე მიღებულნი, რომელიც იყო მორდალ ალად წო-
დებული დიასამიძის გვარისა ახალციხეს მოსახლე მისი მახლობელნი ნათე-
სავნი. გარნა გაუგვარდათ დანდალის შვილობა მიზეზითა ამით, რომელ
ამათი პაპათაგანნი ეწყობოდა ჩანგლით ნადირობასა თევზისასა, (რომელ
დანდალი ნიშნავს ჩანგალსა) და ამის გამო უწოდეს დანდალის შვილობა
ძეთა მისთა და მერე გაიგვარეს გვერდწითელობაცა. ოდეს ნადირობდა ვა-
ხტანგ მეფე თრიალეთსა, ერთმან ამათგანმან მოკლა ერთი ირემი და მეფე-
მან იხილა შორით და ბრძანა, მომგვარეთ კაცი, რომელსა აქვს გვერდ-
მან ბზედ წითელი, რადგანაც ეკერა კაბის გვერდებზედ წითელი მაუდი და
ოდეს მოვიდა მეფესთან უბრძანა: ბარაქალა გვერდ-წითელოო, და მუნი



დგან ეწოდა გვერდ-წითელობაცა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა დანდალის შვილებად.

134. აზნაური სტელი შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ტერის შვილებთა მონათესავენი და მერე ცვლილებისა გამო უწოდეს სტელის შვილობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

135. აზნაური დაფქვია შვილი.

ამათმან წინა-პარმან მიიღო სახელად დაფქვიაობა სვიმონ მეფის დროს გაუგვარდათ ეს სახელი, რომელიცა არა მოიღალეებოდა უბნობასა და ბაძობასა შინა და საზოგადოება მიზეზისა გამო ამისა უწოდნენ დაფქვიას და ესენი იყვნენ პირველ ქრცხინვალს მოსახლენი, და მერე მოვიდნენ საციციანოსა და იყვნენ მცირე აზნაურად ცნობილნი დროსა მეფისა თეიმურაზისასა და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებულ.

136. აზნაური ქართველი შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მოსახლენი ოდიშსა, რომელნიც სახლობენ. ქართველი ვინმე მცირე აზნაური თანა გარდაყოლილი დიდისა მეფისა თეიმურაზისა და დაშთა მუნ, ოდიშსა შინა, და შვილთა მისთა გაუგვარდათ ქართველის შვილობა ალექსანდრე მეფის დროს 1742 წ. არიან რომელნიმე ისევ ოდიშსა შინა, რომელნიმე ქართლს და რომელნიმე ტფილისს და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

137. აზნაური აბრამის შვილი.

ამათნი წინა-პარნიცა იყვნენ იმერეთიდგან მოსრულნი აბრამა შვილებად, მცირე აზნაურად მიღებულნი და ჰსჩნდენ ესენიცა როსტომ მეფის დროსა 1635 წ. და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.



138. აზნაურის ობლიძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ იმერეთით აბულაძეთაგანნი შორეულნი მონათესავენი და მცირე აზნაურნი და ამათგანი ვინმე დაშთა ობლად, და მოვიდა საქართველოსა შინა და დაესახლა, რომლის ობლობისა გამო გაუგვარდათ ობლიძეობა ვახტანგ მეფის დროს 1711 წ. და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

139. აზნაურის მალრადე.

ამათნი წინა-პარნი არიან კახეთიდგან კისის ხევიდგან მოსრულნი გაღმა მხარს შინა, რომელნიც იყვნენ ძველად ბერძენთაგანნი მადნის ხელოსანნი, რომელნიცა ჰსთხრიდენ მადანთა მალაროებთა და მის გამო მალრადეობა გაუგვარდათ და არიან მოხსენებულიცა ტრაკტატსა შინა.

140. აზნაურის ალექსისძე.

არიან გვარით ალექსის შვილებისანი, ვითა ზემორე აღეწერეთ იხილეთ მუნ და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებული.

141. აზნაურის ბუნიათის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ახალ-ციხელნი თათრად ბუნად-ალად წოდებულნი, და ოდეს განდგა ათაბეგი, ამა ბუნიათის შვილთაგანი მოვიდა ქართლს და მიიღო მართლ-მადიდებლობა და მცირე აზნაურად მიიღო მეფემან სვიმონ და არიან მუნიდგან წოდებული ბუნიათის შვილებათ გვარნი ამათნი და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

142. აზნაურის მუჩაიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი და ცნობილნი დროსა ვახტანგ მეფისასა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა. მოვიდა ვახტანგ მეფის დროს 1711 წ.



143. აზნაური გულბადას შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი გულბადად წოდებული აღალარები და ამათგანი ვინმე მოვიდა ქართლს დროსა მეფისა როსტომისასა და იქმნა ქრისტიანე და დაესახლენ ქართლს და არიან მუნიდგან ცნობილნი გულ-ბადას შვილებად და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებული.

შენიშვნა, მეორე ვარიანტში სწერია: გაუგვარდათ ესე გულბათაშვი-
ლბა დროსა მეფისა სვიმონისასა 1561 წ.

144. აზნაური ბუდუტაური.

ამათნი გვარნი ძველადვე არიან რუისის ადგილსა შინა და დაშთომი-
ლნი თურქთაგან და არიან ცნობილნი მეფეთაგან აზნაურად და ტრაკტა-
ტსა შინაცა მოხსენებულ.

145. აზნაური დეკანოზის შვილი.

ამათნი წინა-პარნი საბერძნეთიდგან მოსულან ბაგრატ მეფის დროს
1028 წ., მოყოლილი ზითევში ბერძნეთ მეფისა ელენესი მღვდლად და ყვა-
ბს შვილნიცა და იწოდებოდა მღვდელი იგი დეკანოზად, ამის გამო გა-
გვარდათ გვარი ესე. ესენი არიან ზოგნი ქართლს მოსახლენი, ზოგნი კა-
ხეთს და ზოგნი იმერეთს და იყვნენ ამათნი წინა-პარნი დროსა მეფისა ბა-
რატისასა, წელსა 1028 და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

146. აზნაური წინამძღვრის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ პირველ ბათუმის ადგილიდგანვე ძველად და
წინებური აზნაურთაგანნი იქმნა მღვდლად და ოდეს მოუკვდა ცოლი,
წინა მღვდელ მონაზონი და მიიღო ხარისხი წინამძღვრობისა, რომლისა
მო შთამომავლობათა მისთა გაუგვარდათ წინამძღვრის შვილობა და
არიან ცნობილ დროსა თამარ მეფისავე წელსა 1202-სა და იწოდებიან
წინამძღვრის შვილებად და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსე-
ნებულ.

შენიშვნა. სხვა ვარიანტში ჩამატებულია: ესე ბერ-მონაზონი იქმნა წა-
გზავნილ დალისტნის გზით გიორგის მიერ მეფისა არჩილ მეფისადმი

1667 წ., შეპყრობილ იქმნა შამხლისაგან და უკანასკნელ მონაზონმან ამან განკურნა სნეულობისაგან შამხალი იგი და მან განუტევა კვალად. ამან ზავ-ჰყო მეფისა და შამხალისა შორის და მსახურებისა ამისთვის ებოძა წინამძღვრობა, ხოლო შვილთა მისთა - აზნაურობა.

147. აზნაური ფურცელაძე.

ესენიცა არიან სამეფო აზნაურის ფურცელაძეს მონათესავენი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

148. აზნაური ჩინჩალაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდან მოსრულნი დროგანყრისასა სამს სამეფოდ, ადგილით ჩინჩალად წოდებულის, რომლისა აწ იმერნიცა უწოდებენ ადგილსა ამას ჩინჩალაძეთსეულსა და არიან ესენიცა ცნობილ აზნაურად დროსა მეფისა ვახტანგისასა და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

149. აზნაური ქურდევანიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსულნი სვანეთით მცირე აზნაურის ქურდიანის გვარისა და არიან ცნობილ დროსავე გიორგი მეფისასა წელსა 1696-სა და მუნიდგან იწოდებიან ქურდევანის ძეებად, რომელნიმე სახლობენ იმერეთსა შინაცა და არიან ესენი მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

150. აზნაური ჩაკაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან კახეთიდან გადმოსრულნი თეიმურაზ მეფის დროს 1629 წ. და საციციანოს გვერდის ძირს მოსახლენი ძველად ჩოკაშვილთაგანნი მდებალნი აზნაურნი და ცნობილნი დროსა ვახტანგ მეფისასა, რომელთაცა ჩოკას მაგიერ გაუგვარდათ ჩოკაშვილობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.



151. აზნაური იონათამის შვილი.

ამათნი წინა-პართაგანნი ვინმე იყო შორს მონათესავე ციციანთა, იონად წოდებული, და პირველვე მოსახლენი, გვერდის ძირს მოსულა კონსტანტინე მეფის დროს 1483 წ. ცნობილნი მეფისა როსტომისავე დროსა და გაუგვარდათ იონათამისა გამო შვილთა მათთა იონათამის შვილობა და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებული.

152. აზნაური მწყერაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, რომელნიც ესაზღვნ ლოსიათ ხევს, მწყერის ციხე ადგილსა წოდებულსა და ადგილისა გამო გაუგვარდათ მწყერაძეობა. არიან ესენიცა მდაბალნი აზნაურნი და ცნობილნი ლუარსაბ მეფისა დროსა და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

153. აზნაური საყვარელიძე.

ესენი იხილენ ზემორე სახასო აზნაურებში იმათნი გვარისანი არიან, ვიარცა აღვწერეთ და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

154. აზნაური ალიყულა შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან დროსა მეფისა როსტომისასავე ცნობილნი, პარსით ალიყულას შთამომავლობისა, რომელთაც გაუგვარდათ შვილთა მისთა და შთამომავლობათა მამისა სახელი ალიყულა შვილობა და არიან მოსახლენი საციციანოს ქრისტიანედ და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

155. აზნაური საფარა შვილი.

ამათნი წინა-პართაგანნი ვინმე იყო ახალ-ციხეს საფარბეგად წოდებული თათარი, რომლისა შთამომავლობათა მისთა მიიღეს მართლ-მადიდებლობა და გაუგვარდათ საფარას გამო საფარის შვილობა. ესენი არიან ცნობილნი დროსავე როსტომ მეფისასა 1597 წ., და მოხსენებულიცა ტრაკტატსა შინა.



156. აზნაური გვარამაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდან მოსრულნი საწულოკიძის ადგილიდან დროსა მეფისა გიორგისასა 1687-სა წელსა. და არიან ცნობილ რომელნიმე იმერეთს და რომელნიმე საციციანოს და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

157. აზნაური საამის შვილი.

ამათნი წინა-პართაგანი იყო ვინმე შორს მონათესავე სააკაძისა საამოდ წოდებული და მოსახლე მცირე აზნაურად თემის ხეობასა შინა და გარდმოსახლდენ მუნით საციციანოსა შინა, რომლისა გამო საამისა გაუგვარდათ მამეულთა სახელი და არიან ცნობილ დროსა მეფისა თეიმურაზისასა და მოხსენებულთა ტრაკტატსა შინა.

158. აზნაური ავლადას შვილი.

ამათნი წინა-პარნი მოვიდნენ იმერეთიდან, რომელნიცა ძველად იყვნენ გვარით ალავიძეები, და ცვლილებისა გამო ენისა, უწოდნენ ავლადად წინა-პარსა ამათსა, რომლისა გამო გაუგვარდათ ავლადის შვილობა და არიან ესენი მოსრულნი დროსა ვახტანგ მეფისასა 1711 წ. და ცნობილნიცა აზნაურად. რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

159. აზნაური ხუცის შვილი ანუ ტუცის შვილი.

იხილე ზემორე. დიასამიძის სახლის-კაცთა შორის არიან მცირენი აზნაურნი და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

160. აზნაური ხაბარაძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მოსახლენი ადგილსა სოფელსა ხარბალაძე წოდებულსა, რომლისა გამო ხარბალაძეობა გაუგვარდათ ადგილისა გამო.



და არიან მცირე აზნაურნი დროსავე მეფისა როსტომისა და ვახტანგისასა და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

შენიშვნა: ოდეს განუდგა მეფესა ვახტანგს შანშე ერისთავი, მსახურა მეფესა და მსახურებისათვის მიიღო აზნაურობა 1719 წ.

161. აზნაური რევაზაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სომხითით ბარათაანთაგანნი და მცირე აზნაურნი, რომელნიც მოვიდნენ და დასახლდენ საციციანოსა შინა და არიან ესენი ძველადვე ცნობილნი დროსა ვახტანგ VI მეფისასა 1703 წ. მეფეთაგან და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

სათარხნოს ადგილის აზნაურნი

162. აზნაური ცალქალამიძე.

იხილე ზემოთ. სახასო აზნაურებში მისნი გვარნი არიან და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

163. აზნაური ჩივაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი ჯავახეთით ვაჩიანის ადგილით და ადგილისა გამო ცვლილების სახელისა როსტომ მეფის დროს 1592 წ. ჩივაძეთ უწოდესთ, რომელსა ძველად ვაჩიანელს უწოდნენ გვართა მათთა და არიან მცირე აზნაურნი და ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

164. აზნაური ჯაჯანაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ოდიშიდგან მოსრულნი ჯანალის ძეები და გაგვარდათ ჯაჯანის ძეობა და არიან ესენი დროისა არჩილ მეფისავე წელსა 1675 და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინაცა.



165. აზნაური ჯავარაშვილი.

იხილე ზემორე სამეფო აზნაურებში. ჯარაშვილებისა არიან მონათესავენი და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულნი.

166. აზნაური კარგარეთელი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი საავალისშვილოს ხეობიდან, ადგილით კორტანეთით, დროსა მეფის ლუარსაბისასა, ჰსჩნდენ ესენი ქრისტეს აქეთ 1609 და ამათ გაუგვარდათ კორტანეთელობისა გამო კარგარეთელობა, აწ ჰსცხოვრებენ სათარხნოსა შინა, და არიან მოხსენებულნიცა ტრაკტატთა შინა.

საამირეჯიბოს ადგილსა შინა მოსახლენი აზნაურნი

167. აზნაური ბაქრაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან რაჭიდან მოსულნი 1711 წ. პირველ იყვნენ ჩინგიზ ყაენის ბეგებად წოდებულნი ორნი ძმანი, პირველს ეწოდა ბარქაშ და მოერესა ბაქსარ. ხოლო ბარქაშმან შესცოდა რაიმე მანგუნ ყაენსა და შიშვნეული გამოიქცა და მოვიდა საქართველოსა შინა წელსა 1255-სა ხოლო მეფემან ნარინ დავით დაასახლნა ესენი რაჭას და უბოძა მამულნი და პირველის ხარისხის აზნაურობაი. გადმოსულან რაჭიდან 1711 წ. და არიან აწ მოსახლენი რაჭას და ქართლსა შინა და არიან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა და ამათ გაუგვარდათ მამეულით სახელი ბაქრაშ ბაქრაძეთ.

168. აზნაური მონავარასშვილი.

ამათ წინა-პარს ეწოდა პირველ სახელად მონავარ და ესე იყო ტანისა მოსის მცველი და მერე მოვიდა ესე საქართველოსა შინა წელსა ქრისტეს აქეთ 455 და მეფემან დაასახლა ესე ერწოს ხეობასა შინა მარავეს ადგილსა და მიიღო ამან ქრისტიანობა და უბოძა მეფემან აზნაურობა და გვარად



მონავარის შვილობა შვილთა მისთა და არიან მუნიდგან წოდებულნი მონავარას შვილად. ესენი გადმოესახლენ ქართლს დროსა იესე მეფისასა 1715 წ. და არიან ტრაკტატსა შინა.

169. აზნაური ბადრია შვილი.

ამათნი წინა პარნი მოსახლე იყვნენ ერევნის კერძოდ, ბაგრიჯის სოფელს და მუნიდგან აღრეულობისა გამო თათართაგან აიყარნენ და მოვიდნენ იმერეთს და იწოდნენ მუნ აზნაურად ბაგრიჯელად. ხოლო უკანასკნელ ენისა გამოცვლისა გამო ბადელის უწოდდენ იმერნი და ამათნი გვარნი მოვიდნენ ქართლს და ბადელიას წილ უწოდეს ბადრიას შვილათა მათთა და არიან იმერეთს და ქართლს მოსახლენი. მოსულან 1711 წ. და მოხსენებულნი არიან ტრაკტატში.

საამილახრო აზნაურნი

170. აზნაური ზედგინიძე.

ესენი არიან ზედგინიძის გვართაგანნი მონათესავენი ძველად ამილახვართა, რომელიც დაესწერეთ ზემორე იხილე მუნ. ცნობილ არიან გიორგი მეფის დროს 1456 წ. ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ.

171. აზნაური ქარუმისძე.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ ახალ-ციხეს და იყვნენ გვარად ქორიანნი. მცირე აზნაურნი, რომელსა ეწოდა თათრულად ქარუმ და ამათი შთამომავლობა მოვიდა ქართლს და მიიღეს მართლ-მადიდებლობა და იწოდნენ. შვილნი მათნი ქარუმის ძეებად. ესენი ცნობილ არიან დროსა მეფისა როსტომისასა 1597 წ. და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ.

173. აზნაური ყანჩაელი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად დროსა სომეხთა მეფისა ლეონისასა, რომელსა აქვდა ციხეი ყანჩუა ანუ კანჩა ეფრატის მდინარის მხარეს, ზე-



ითუნის ქალაქის მახლობლად და ამათნი წინა-პარნი იყვნენ მცველნი ციხისა მის წელსა 1277-სა და უკანასკნელ ციხეი ესე უბოძა მეფემან თავადსა თვისსა ოშანს სიმზნისა და ძლევა შემოსისათვის ჯილდოდ თურქთა ზედა. ხოლო უკანასკნელ ამა მეციხოვნე შთამომავლობათაგანნი მოვიდნენ ქართლს დროსა ბაგრატისასა წელსა 1619-სა და მიიღო მეფემან აზნაურად და დაესახლნენ ქართლსა შინა და მუნიდგან ადგილის გამო მიიღეს გვარად ყანჩაელობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა სოფელსა, რომელსა აწ ეწოდებინ ყანჩაეთი ამით გამო. ხოლო აწ მოსახლეობენ ქართლში.

შენიშვნა, სხვა ვარიანტი: აზნაური ყანჩელი, სახელი ყანჩა ოსეთსა შინა. ესე მოვიდა ყანჩა ჩერქეზთაგან აზნაურად წოდებული, და დაეშენა პირველ ქსანსა ზედა ადგილსა, რომელსა ეწოდა ყანჩაეთი. ამის გამო ეწოდა გვარსა მისსა ყანჩელი დროსა ბაგრატისასა 1619 წ.

173. აზნაური ბასილაშვილი.

იხილე ზემორე ბასილაშვილი, იმათნი გვარნი არიან და მოხსენებულნიცა ტრაკტატსა შინა.

174. აზნაური ჩიკოიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი მეორე ზარისხის აზნაური, დროსა ვახტანგ მეფისასავე 1711 წ. ცნობილნი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს.

175. აზნაური ლიპარიტის შვილი.

ესენი არიან ძველადვე გააზნაურებულნი ორბელიანთ გვარისა, რომელსა ეწოდა ლიპარიტ ორბელიანი, იოანეს მამა და არიან იმერეთიდგან მოსრულნი 1711 წ. და ცნობილნი მეფისა თეიმურაზისა და როსტომისგანვე და აწ მოხსენებულნიცა ტრაკტატსა შინა. რომელნიმე სახლობენ სალიპარტიანოსა შინა იმერეთს და რომელნიმე ქართლს.



176. აზნაური ტარჯაიჭას შვილი.

ამათნი წინა-პარნი იწოდებოდნენ ტარსაიჭად, რომელნი ესახლენ პირველ ყარაბაღის კერძო სისიანის მხარეს და იყვნენ გვარად ორბელიანნი და დროსა ადარნასე მეფისასა მიჩნეულნი წელსა ქრისტეს აქეთ 923; ესენი უკანასკნელ დამდაბლდენ და გააზნაურდენ და მოვიდნენ ქართლს ამათნი შთამომავლობანი დროსა ლუარსაბ მეფისასავე 1609 წ. იყვნენ აზნაურად მიღებულნი ტარასაიჭად გვარით წელსა 1609 და მერე გაუგვარდა ტარაჯაიჭის შვილობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა. შენიშვნა. სხვა ვარიანტი: ესენი არიან ძველად განძელნი ჯავახეთით და თრიალეთიდან მოსრულნი ტარიჭოს გვართაგანი, რომელიცა მუნებური მთავარი იყო ტარიჭო მეფობასა ადარნასესა 923 წ. და სხვანი.

177. აზნაური ზაალის შვილი.

ამათ წინა-პარსა ეწოდა ზაალ ტაოელი და იყო აზნაური მესამე ხარისხისა. ესე წარიყვანა ყაენმან და ჰყო მამადიან. ხოლო უკანასკნელ შვილნი ამისნი მოვიდნენ მეფისა სვიმონის თანა 1588 წ. და მიიღეს მართლ-მადიდებლობა და მიიღო მეფემან ზაალის შვილებად აზნაურად და არიანცა ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

178. აზნაური თუხარელი.

იხილე გვარი ამისი ზემორე თუხარელში, ამათგან არიან და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

179. აზნაური ალექსის-შვილი.

იხილე ზემორე. სახასო აზნაურის ალექსისშვილის გვართაგან არიან და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

180. აზნაური მურაჩატა შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სომეხნი ყარაბაღის ადგილიდგან და მელიქთა გუარნი მცირე აზნაურად მიღებულნი და მოვიდნენ ისენი დროსა მე-



ფის ლუარსაბისასა და მიიღეს მართლმადიდებლობაი და დაეშენენ ქართლს. მათ გვარნი რომელნიმე იწოდებიან მურადაშვილებად. სომეხნი არიან მოხსენებულ მურაჩატის შვილებად ტრაკტატსა შინა.

შენიშვნა, სხვა ვარიანტში: როსტომ მეფის დროს მოსულან 1635 წ.

181. აზნაური ციპანკურიძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მოსახლე პირველ სომხითსა შინა მთასა სიმაკად წოდებულსა კილიკისა კერძოდ ქურთისტანისა და დროსა თურქთა განძლიერებისასა მოვიდნენ ესენი ახალციხეს და მუნიდგან იმერეთს და ამათგანი გარდმოვიდნენ ქართლს და დაეშენენ და ჩნდენ ესენი ვახტანგ მეფისავე დროსა აზნაურად წელსა 1711 და არიან რომელნიმე სამეფოცა და საკათალიკოზოცა იმერეთს და ქართლსა შინა მოსახლენი და მოხსენებული ტრაკტატსა შინაცა.

სამროვლო აზნაურნი ეკლესიისა

182. აზნაური მამაცაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან რაჭიდგან მოსრულნი იმერელნი, რომლისა მამაცობისა გამო გაუგვარდათ შვილთა მისთა მამაცაშვილობა და არიან მეორე ხარისხის აზნაურნი, ცნობილნი დროსა კონსტანტინე მეფისასა, წელსა 1479 და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ და მოსახლენი რუისს.

183. აზნაური დეკანოზის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან კონსტანტინეპოლიდგან მოსრულნი და მოყოლილნი ზითევში კეისრის ქალის ელენე დედოფლისა მეფისა ბაგრატისა მეუღლესთან, რომელიცა იყო დეკანოზი ოქონის მღვთისამშობლისა ხატისა ქრისტეს აქეთ 1028-სა და მუნიდგან არიან აზნაურად შერაცხილნი და მოსახლენი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა შთამომავლობანი მისნი და მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.



სამთავრო აზნაურნი:

მთავარ ეპისკოპოსის აზნაურნი

184. აზნაური ნანიაშვილი.

ესენი არიან გვარად ელიოზის შვილები, ვითარცა ზემორე აღვწერეთ
იხილე მუნ.

საქვაფთიხეო აზნაურნი

185. აზნაური შატბერაშვილი.

შატბერეთ ციხე არის ვანდიის კერძო, რომელ არს ყარსის ადგილი
და ესე ციხე აიღო მეორემან მეფემან სუმბატ წელსა 988 და ამა ციხის
ფროსი მოვიდა ქართლში და მიღებულ იქმნა მეფეთაგან აზნაურად ლუ-
რსაბ მეფის დროს 1547 წ. და ადგილისა გამო მისთა შვილთა გაუგვა-
რდათ შატბერაშვილობა და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

სადავითისშვილოს თავადის ადგილის
აზნაურნი

186. აზნაური ტატიაშვილი.

ამათსა წინა-პარსა ეწოდებოდა დატ და ესე იყო სომეხთა მეფისა სანა-
ღირთა ადგილისა მცველი და ზედამხედველი და ესენი ძველადვე იყვნენ
აზნაურნი და მერე, სომეხთა დამდაბლებისა უკან, მოვიდნენ საქართვე-
ლოსა შინა და იწოდებოდნენ დატისშვილებად და მერე ენისა ცვალებისა
გამო უწოდეს ტატისშვილობა და გაუგვარდათ და არიან ცნობილ ესენი
დროსა ლეონ მეფისასავე წელსა ქრისტეს აქეთ 1524-სა და არიან ტრა-
ქტატსა შინაცა მოხსენებულ.



187. აზნაური რიკაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიგანვე მოსრულნი, მოსულან ვახტანგ მეფის დროს 1711 წ. (მეორე ვარიანტი). და ცნობილნი დროსა არჩილ მეფისასა აზნაურად და არიან რომელნიმე ქართლში მოსახლენი და რომელნიმე იმერეთს და ტრაკტატსა შინა არიან მოხსენებულ.

188. აზნაური რამინისშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან ამირეჯიბთა გვარისანი, გარნა მდაბალნი და აზნაურად მიღებულნი და ცნობილნიცა დროსა როსტომ მეფისასა და ტრაკტატსა შინაცა მიღებულ.

შენიშვნა. სხვა ვარიანტში: ძველად როინის გვარისანი ახალ-ციხილად იმერეთს ჩამოსულნი და რომელიმე ამათ გვარი რამინად წოდებული მოვიდა ქართლს დროსა სვიმონ მეფისასა 1588 წ. და გაუგვარდათ ამა სახელისა გამო.

საჯავახიანოს ადგილის აზნაურნი მოსახლენი

189. აზნაური აბულვარდისშვილი

ამათ წინა-პართათვის იტყვიან, რომ იყვნენ სენემ ქარიშის გვართაგან და იყვნენ პირველ მოსახლე ვანსა შინა და უკანასკნელ მოვიდნენ აბულეთს და მუნიდგან გაღმა მხარს ქართლში და ესენი სჩნდნენ ქრისტსა აქეთ 971 წ. და არიან მუნიდგან წოდებულნი სახელისა გამო აბულვარდისა და იწოდებიან შთამომავლობანი მისნი აბულვარდის შვილებად და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

190. აზნაური მახვილაძე

ესენი იხილე ზემორე მახვილაძეების აღწერაში, მისნი მონათესავენი არიან და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებული.



191. აზნაური ზაალის შვილი

ესენი იხილე ზემორე ზაალის შვილებში, ამათი გვარისაგან არიან და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

192. აზნაური ბეჟანის შვილი

ამისი წინა-პარნი დაშთენ კალმურთაგან ბეჟან წოდებული საქართვე-
ლსა შინა, რომელნიც იწოდებოდნენ შვილნი მისნი ბეჟანის შვილებად
და, ოდეს ლანგ თემურ ბრძოდა მეფესა ბაგრატს, მაშინ მხნედ გამოჩნდა
ბეჟან ამათი შთამავლობისა და მეფემან მიიღო ბეჟანის შვილებად და
წოდებინა მუნიდგან ბეჟანის შვილებად და არიან ტრაკტატსა შინა მო-
ხსენებულ.

შენიშვნა, მეორე ვარიანტი: ბეჟანის შვილი არის სპარსით მოსული ბე-
ჟან ბეგ ვინმე, დროსა მეფის როსტომისასა 1638 წ.

193. აზნაური გამყრელიძე

ესენი იხილე ზემორე, გამყრელიძეებში, იმერეთიდან მოსული საბასო
აზნაური მეფის არჩილის დროს 1675 წ. ამათგანნი არიან ესენიცა და
ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

194. აზნაური ნინია შვილი

ამათი წინა-პარი იყო კალმოესთა ნოინთაგან ნანანად წოდებული და
ამათა მუნიდგან ქართლსა შინა ადგილსა (ოლსა) შვილთაგან მისთა და
წოდნენ ნინიაშვილად, აზნაურად და არიან ტრაკტატსა შინა მოხსენე-
ბულ, წელსა ქრისტეს აქეთ 1237.

შენიშვნა. მეორე ვარიანტი: ესენი იყვნენ გვარად ნანანა შვილნი მო-
სილილნი ტრაპიზონით ანდრონიკესთან (იხილე ანდრონიკაშვილი თა-
ლი ზემოთ) და დაშთნენ რომელნიმე კახეთს და დამდაბლდნენ ჟამთა ვი-
არეებისა გამო და რომელნიმე მოვიდნენ ქართლსა შინა და იწოდებინა
ნინიაშვილად დროსა მეფისა თეიმურაზისა 1629 წ.



საფალავნეს შვილნი აზნაურნი

195. აზნაური ნამორაძე.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად ნაურდიდგან თერგის წყლის პირს მცხოვრებნი, მოსრულნი იმერეთს, დროსა ბაგრატ მეფისასა, ქრისტეს აქეთ 1525 წ. და იქიდგან გაღმოვიდნენ და დაეშენენ სამეფოსა ადგილსა ნიქოზს, რომელიცა სვიმონ მეფესა, თვისსა ბატონის შვილობაში, ეპყრა გვერდის ძირი და ადგილი ესე ნიქოზი, და მუნ სცხოვრებდა ნაურელი, მცირე აზნაურად მიღებული, და ამა ნაურელის შთამამავლობათა მიიღეს გვარად ნამორაძეობა ენისა ცვლილებისა გამო და არიან მოხსენებულ ტრაკატსა შინა და იყო მეფის ირაკლისგან მიჩნეულ ერასტი ნამორაძე მსახურებისათვის, ოდეს ავარიის ხანი დიდის ჯარითა შემოადგა ყვარელსა და გაჭირვებისა დროსა სხვათა თანა ესე ერასტი შევიდა და უთავადა ციხესა შინა ყვარელისასა და გაამაგრეს ციხე იგი.

196. აზნაური წვიმექიძე

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი და მიღებულნი მცირე აზნაურად და ცნობილნი დროსა როსტომ მეფისასა და მოხსენებულნიც ტრაკატსა შინა.

სახიდირბეგოს მცხოვრებნი აზნაურნი

197. აზნაური ნათისშვილი

ამათი წინა-პარი მოვიდა სტამბოლიდგან ბერძენთა გვარი, რომელსა ეწოდა ნათან და დაესახლა ახალ-ციხეს და იყო მუნ აზნაურად მიღებულ და, ოდეს ათაბეგი შეიქნა მამადიანი, ესენიც აიყარნენ და შთამოყვენენ ხიდირბეგის შვილებს ქართლშია და დაეშენენ მუნ და არიან ცნობილნი მცირე აზნაურად მეფისაგან დროსავე ლუარსაბისა მეფისას 1612 წ. და მეფის ირაკლის დროსაც იყო გლაზა ნადის შვილი მიჩნეულ მეცნიერებისა გამო და არიან ტრაკატსა შინა მოხსენებულ.



198. აზნაური ოლთაელი ანუ ოლაძელი

ამათნი წინა-პარნი არიან მკვიდრნი ადგილის ოლთისა და მის გამო მიიღეს გვარადცა ოლთაელობა და არიან მცირე აზნაურნი, ცნობილნი დროსავე მეფისა თეიმურაზისასა და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

შენიშვნა. მეორე ვარიანტი: არის სურამის ზეობიდანვე ძველად ოძელი სოფელიდამ და ადგილისა გამო გაუგვარდა ოლძელი, ესენივე იყვნენ დროსა თეიმურაზ მეფისასა 1640 წ.

სამუხრანოს ადგილის აზნაურნი

199. აზნაური რატისშვილი

იხილე ზემორე თავადის რატისშვილის და ქსნის ერისთვის გვარებთა შორის, რომელიცა არს მუნ.

200. აზნაური ზედგინიძე

იხილე ზემორე ამილახვრიანთ გვართა აღწერაში და არიან ესენი მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

201. აზნაური მუსხელაშვილი

იხილე ზემორე სამეფო აზნაურის მუსხელაშვილის აღწერაში, მისი გვარნი არიან; და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

202. აზნაური ვაჩიანიძე

ამათ წინა-პართა ადგილისა გამო ვაჩიანისა მიიღეს გვარი ესე, რომელიცა არიან ჭავჭავთის ადგილიდგან მოსრულნი და ცნობილნი, როსტომ მეფისა დროსავე მცირე აზნაურად მიღებულნი, როსტომ მეფემ 1597 წ. მისცა აზნაურობა, როდეს მოჰყვა ათაბეგისა ქალსა დედოფალს თინათინს ზითევში და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.



203. აზნაური ქავთარაძე

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, ვითარცა ზემორე მოვიხსენეთ ქავთარის შვილი და ამათგანნი და არიან აზნაურად მიღებულნი დროსავე ლუარსაბ მეფისასა და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა. რომელნიმე საზლობენ ამათნი გვარნი იმერეთს და რომელნიმე ქართლს.

შენიშვნა. მეორე ვარიანტის სიტყვით, გიორგი მეფის დროს 1587 წ.

204. აზნაური ელიოზის შვილი

იხილე ზემორე ელიოზის შვილის აღწერაში, ამათ გვართაგან არის და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

205. აზნაური ბაქრაძე

იხილე ზემორე საამირიჯიბოსა აზნაურთა აღწერასა შინა იმათ გვარისანი არიან, ვითარცა ზემორე აღეწერეთ და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

206. აზნაური მესხის შვილი

ამათი წინა-პარნი არიან მოსრულნი იმერეთიდგან მესხისავე გვარისანი, ვითარცა ზემორე სწერია ამილახვართათვის. მუნცა არიან მოხსენებულ და არიან ტრაკტატსა შინა დაწერილი.

207. აზნაური ნათის შვილი

იხილე ზემორე ნათის შვილების აღწერაში. მისნი გვარნი არიან და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

208. აზნაური ნასიძე

ამათნი გვარნი არიან სომეხთა ადგილის ვანისაგან მოსრულნი, რომელსა ეწოდა ნერსაძე და დროსა თათართა განძლიერებისასა მოვიდნენ ქ



რთლსა და დაეშენნენ და მიიღეს ნაცვლად ნერსესის ძეობისა ნასიძეობა და არიან ესენი ცნობილ დროსა გიორგი მეფისასა და სხვათასა და ტრაქტატსა შინა მოხსენებულ.

შენიშვნა. მეორე ვარიანტი: ძველად იყვნენ იმერეთიდ ნასრაძეთ წოდებულნი, მოსრულსა დროსა მეფისა შაჰნავაზისას 1661 წ. და მუნიდგან იწოდებიან ნასიძედ.

209. აზნაური წიწინაძე

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მთავრად დადგენილი ვანსა შინა, რომელსა ეწოდა წიწერან და მერე ამათმან შთამომავლობათაგანმან ვართაპეტმან, წიწერანის ძედ წოდებულმან, მოასვენა ხატი წმინდისა ღვთის-მშობლისა დროსა მეფისა დიმიტრისასა, წელსა ქრისტეს აქეთ 1278, და მოართო მეფესა ხატი იგი, რომელსა ჯილდოთ მის ვართაპეტის შვილებსა უბოძა წიწერანის ძეობა გვარად და აზნაურობა და სახასოთა ადგილთა შინა მამული და აგრეთვე იმერეთსა შინა, რომელნიცა იწოდებიან ქართლსა შინა წიწინაძედ, ხოლო იმერეთსა შინა ჭიჭინაძედ და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

210. აზნაური შალილაშვილი

ამათი წინა-პარი იყო მცირე თავადთა გვარისა შარიშხანად წოდებულნი, თავადი მცირე სომეხთა სამეფოსანი და თათართა დაპყრობის დროს გარდმოსაზღლდენ, ახალციხეს და მერე იმერეთს და ამათნი გვართაგანნი შივიდნენ ქართლს და რომელნიმე იმერეთს დაშთნენ და მიღებულ იქმნენ აზნაურის ხარისხით გვარად შალილაშვილად შარიშხის ნაცვლად იმერეთს შინა იწოდებიან აწ შარუაშვილებად და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა შალილაშვილები.

შენიშვნა. მეორე ვარიანტი: შალილაშვილები არიან გვარით შალიკაშვილები, გააზნაურებულნი, ვითარცა რატიანნი და სხვანი (იხილე თავადი შალიკაშვილი).



211. აზნაური ნანაშვილი

ესენი არიან ძველადვე გვართ ნინიაშვილისანი, ვითარცა ზეით დავწერეთ და იწოდნენ მერე ნანიაშვილად და იყვნენ ცნობილ დროსა როსტომ მეფისასა და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ, რომელნიცა აწ სცხოვრობენ სამუხრანოსა შინა.

სააბაშიოს ადგილის მოსახლენი აზნაურნი


212. აზნაური ყიფიანი

ამათი წინა-პარნი იყვნენ ძველადვე ყიფთაგანნი, რომელნიცა დამო დროსა არჩილ მეფისასა იმერეთს, ოდეს მოვიდა მურვან ყრუ, წელსა ქრისტეს აქეთ 669. და ოდეს აბაშიძეები მოვიდნენ ქართლს, ესენიც გარდმყვნენ და მიუბოძა მეფემან ვახტანგ სურამის კერძოდ მამული და არიან მუნიდგან მცხოვრებნი ქართლში და მოხსენებულ ტრაკტატსა შინა, ამათნი გვარნი რომელნიმე სახლობენ სვანეთსა, ახალციხეს, იმერეთს და ქართლში.

213. აზნაური სავანელი

ამათნი წინა-პარნი არიან მონათესავენი მდაბალთა აბაშიძეთა, დამდბლებულნი მათთან, ხოლო სავანელობა მიიღეს ამათ ადგილისა გამო სავანეთისა, რომელ არს საწერეთლოსა ხეობასა შინა და მუნ ესახლნენ პირველ და მერე მოვიდნენ ქართლს, დროსა ვახტანგ მეფისასა, და არიან ცნობილ აზნაურად და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

შენიშვნა. მეორე ვარიანტი: სევავან არის ციხე ვანის მხარეს მაგარი და მუნიდგან არიან მოსრულნი, ამის გამო ეწოდათ სავანელნი ქართულის ენის თვისებით. ესენი არიან დროსა თათართაგან დაპყრობისა მათ ადგილთა, რომელნიც იყვნენ ციხისა მის უფროსად, ესენი იყვნენ ძველადვე 901 წ.



214. აზნაური ჩხეიძე

ამათნი წინა-პარნი იყვნენ თავადის ჩხეიძის გვართაგან, რომელიცა ზემორე მოვიხსენე ჩხეიძეებისთვის, იხილე მუნ და არიან ესენიცა მოხსენებული ტრაკტატსა შინა.

215. აზნაური რუსასშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან რუსეთით მოსრულნი ადრევე და მიღებულ მდაბალ აზნაურად, რომლისა გამო ადგილისა რუსეთითა ეწოდათ რუსასშვილობა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

216. აზნაური ორჯონიკიძე

ესენი არიან ახალციხით ადგილით ორჯონიკიძე და ადგილისა გამო გაუგვარდათ ორჯონიკიძეობა, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა და ცნობილიცა დროსა ვახტანგ მეფისასა და არიან მონათესავენი ზემოხსენებულის სახასო ორჯონიკიძისა, იხილეთ მუნ.

217. აზნაური გოდაბრელიძე

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ოსეთით აზნაურის გოდას გვარისანი და შთამოვიდნენ იმერეთს, რომელიცა ცნობილ იყო აზნაურად ალექსანდრე იმერეთა მეფისაგანვე და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს.

218. აზნაური ნაცვლისშვილი

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მოხელედ მეფეთა ნაცვლად წოდებული და მის გამო გაუგვარდათ გვარი ესე ნაცვლისშვილობა, რომელნიმე სახლობენ კახეთსა და რომელნიმე ქართლსა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.



219. აზნაური ავალიანი

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მდაბალთა ავალიანთა მონათესავენი და ცნობილნი დროსავე როსტომ მეფისასა, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს, იხილე ზემორე ავალიანთათვის და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

220. აზნაური ალექსისძე

იხილე ალექსის ძის აღწერაში მათის გვართაგან არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

221. აზნაური ჩიკოიძე

იხილე ზემოდ.

222. აზნაური ნემსაძე

ესენი არიან ძველნი ნემეცის ძეები: ნურშაპურ აწრუნელი ვანის ქვეყნიდამ.

223. საბადის შვილი

არიან გვართო ურიანი, მოსრულნი 978 წ რომელსა ეწოდა საბადა და მის შვილთა უწოდეს საბადის შვილად, აზნაურად 985 წ.

224. კორძაია

კურჩაკ, ანუ კურბაკ არის ურუმისა და ვანის ტბის საშუალ ადგილი, აწ სალმასად წოდებული და მუნიდგან არიან კურძაიანნი, ხოლო იმერთაგან ეწოდათ კორძაიები წელსა 3851.



225. ჭაშიტაშვილი

ქარი არის ქალაქი მახლობელ ეარამანიისა ადგილისა. წელსა 130
ქილამ მოვიდა ჭაისელი და უწოდეს ჭაშიტაშვილი.

226. ჭაშიაშვილი.

იმავე ჭაშიტაშვილის ქვეყნიდამ არის.

227. დუშიაშვილი

დღუშ იყო სპარსთა მეფისა მელიქშას შვილი. წელსა 1092 მისი გვარნი მოვიდნენ გარდაგდებულნი სპარსთაგან და მიიღეს სარწმუნოება ქრისტიანეთა და მეფემან უბოძა ადგილნი სურამის სამთავროსა შინა და აზნაურის ხარისხით იყო მიღებულ.

228. ხაშანაძე

ხუშაკუნიკ არის სოფელი ნახჩევნის მხარისა, გუსტანის ადგილის საშუალ, და მუნებურნი არიან ხაშანაძეები. ოდეს სპარსთაგან წარხდა სომეხთა ადგილნი, მაშინ მოვიდნენ და დაესახლნენ სურამის საერისთავოსა შინა.

საფალავანდის შვილო აზნაურნი

229. გოგიბაშვილი

გორგაბეგის შვილნი არიან, ძველად სომეხთ მეფეთა ადგილთაგან მოსრულნი, წელსა 630 და აწ იწოდებიან გოგიბაშვილებად.

230. შალმელიქის შვილი

ამათნი წინა-პარნი იყვნენ დვალეთს ოსთა აზნაურნი და არიან მუნიდგან გადმოსახლებულნი ქართლს საფალავანდო ადგილში.



231. შალიბას შვილი

შაბათ, ანუ შაბით თავადი გუბთნის ადგილისა ნახჩევანის მხარეს აკულისა. ამათნი გვარნი მოვიდნენ და დაეშენნენ 392 წ. და მიიღო მეფემან რიცხვთა შინა აზნაურთასა.

232. სამარჯლანის შვილი

სამარჯანდელნი არიან ძველად, თურქისტანის ადგილიდამ მოსრულნი ძველადვე.

233. ხუცია შვილი

ესენი არიან იმერეთიდამ მოსრულნი ძველნი აზნაურნი მეფის კარის ხუცესის შვილნი, რომელთაც მსახურებისთვის მეფისა მიიღეს აზნაურობა.

234. ლაშატის შვილი

ლაშტივარ არის არზრუმის მხარეს მახლობელ ქალაქი, რომელ დააქციეს თურქთა 1049 წ. აქაური აზნაურთაგანი მოვიდა ქართლში და მიიღეს გვარად ლაშატის შვილებად.

235. ნაგლაძე

არიან ძირით იმერეთიდამ მოსრულნი, ესენი იყვნენ ნერძენიდგან, ვანის მხრიდამ გადმოსულნი.

საჩხეიძო აზნაურნი

236. მაჭავარიანი

იხილე ზემორე.



237. ქართველიშვილი

მზითვეში გატანებული მეფეთაგან სადადიანოში.

238. რამინისშვილი

იხილე ზემორე და ქვემორეცა.

სახერხეულიძო აზნაურნი

239. მაჭავარიანი

იხილე ზემორე.

სათაქთაქიშვილო აზნაურნი

240. რამინისშვილი

რევან არის სოფელი მახლობელ ნიშაბურისა ინდოეთისა კერძო და
ქიღამ არიან მოსულნი 454 წ. და ადგილისა გამო მიიღეს რამინისშვი-
ლობა.

241. ღონენაშვილი

ღონია არის ქალაქი კილიკიის მხარეს იკონიისა, იქიღამ არიან მოსუ-
ლნი და ადგილისა გამო გაუგვარდათ გვარი ესე წ. 1084.

242. ციმაკურიძე



საყაფლანი შვილო აზნაურნი, ანუ რომელსაცა ჰფლობენ ორბელიანნი

243. ჩაჩიკაშვილი

სასუნკი, ანუ სასიკ არის სამთავრო ვანისა მხარეს და იქაურნი არიან.

244. ყაითმაზაშვილი

245. დოვრათაშვილი

დოვრათა იყო თათართ მთავარი ყალმუხთა და ოდეს იყვნენ საქართველოსა შინა ყალმუხნი მფლობელად, მაშინ ამისნი გვარნი დაშთნენ და ეწოდათ დოვრათაშვილები, ენის თვისებისა გამო 1238 წ.

246. ბაგრატიის შვილები

ბაგრატ გრიგოლის ძე იყო ტარონის ქვეყანასა შინა კერძოსა ვანისასა, რომელიც იყო კეისრისაგან რომანოსისა, პატრიკვრად დადგინებული წ. 926 და, ოდეს დაიპყრეს ოსმალთა ადგილნი ესე, მოვიდნენ სომხითს და მეფემან მიიღო ამათი გვარნი აზნაურად და უბოძა ადგილნი. მერე და შთათ ყაფლანიანთა გარემოებისა გამო.

247. შაბურის შვილი

იხილე ზემორე.

248. მორთულაძე

მულათელ იყო ვანანდელი, რომელიც აწამეს თათართა მთავარმან ბულამ 855 წ. და ამათნი შთამომავალნი მოვიდნენ ქართლში და მიიღეს გვარად მორთულაძეობა, ანუ მულათალიძეობა.



249. კობახის შვილი

(იხილე კობახიძეებში №355).

250. ტარიელა შვილი

ტარონ არის ქვეყანა სომხითსა შინა და უწოდებდენ მუნებურსა აზნა-ერთაგანსა ტარონილად. ამათ შთამომავალსა ეწოდა სახელად ტარიელ და შვილთა და შთამომავლობათა მისთა უწოდეს ტარიელის შვილებად.

251. ყოინიძე

252. ხანდამის შვილი

ხანარანდ არის სახელი კაცისა. ესე იყო სომეხი საბერძნეთსა შინა მო-ვლელდ ანტიოქიისა კერძოდ 555 წ. ამათნი გვარნი მოვიდნენ შემდგომად დაპყრობისა თათართაგან ადგილთა მათ, მიიღო მეფემან აზნაურისა ხარი-ბითა და მუნიდგან ეწოდებათ ხანდარანის მაგიერ ხანდამის შვილები.

253. ბუჭყია შვილი


ბუჭნი ციხე არის ერუენისა კერძო და იქაურნი მეციხეთ უფროსნი ვენენ. სომეხთაგანნი აზნაურნი. ესენი ცხოვრებდნენ 472 წ. ამათი გვა-რნი მოვიდნენ საქართველოსა შინა და გაუგვარდათ ადგილისა გამო ბუ-ჭია შვილობა.

254. ავთანდილა შვილი

არიან ძველადგანვე სომხითელნი აზნაურნი.

255. მაჭავარიანი

(იხილე ზემორე).



257. ჯანიაშვილი

ჯან, ანუ ჯაბ სევადას შვილი, გვართ სომეხი ავღანელი. ესენი იყვნენ 861 წ. ესენი მოვიდნენ შემდგომად სომეხთა მეფობისა და დაშთნენ ქართლსა შინა.

258. ნაცვლიშვილი

(იხილე ზემორე).

259. საყვარელიძე

(იხილე ზემორე).

260. ბანძაშვილი

არის ზეობა სიონისა ანუ სისიანისა. იქილამ არიან მოსულნი და საბელისა გამო მიიღეს ბანძაშვილობა. ბაძენ იყო თავადი კილიკისა, რომელიც ცხოვრებდა 1095 წ. და ამათნი გვარნი მოვიდნენ ჟამსა თურქთა გაძლიერებისასა და დაესაზღვნენ ქართლში და მიიღეს გვარი ბანძაშვილებისა.

261. ქავთარაძე

(იხილე ზემორე).

262. ღერეული

გერე, ანუ ღერე, არს სოფელი აშტინგისა ადგილსა შინა და მუნიღან არიან მოსულნი აზნაურნივე და მიღებულნი მეფეთაგან აზნაურად 1335 წ.

263. კარგარეთელი

(იხილე ზემორე).

264. ბეჟიტაშვილი

არიან კალმუხთაგან დაშთომილნი აზნაურნი, რომელსა ეწოდა ბეჟეტი და მუნიდგან იწოდებიან ბეჟიტაშვილებად.

265. ლოლაძე

(იხილე ზემორე).

შენიშვნა. ლოლვა, ანუ ლელვა არის ციხე კილიკიისა სამზღვარსა ზედა და ესენი იქილამ მოსულ არიან ციხისთავნი 1202 წ. რომელნიმე იმერეთსა შინა მოსახლობენ, რომელნიმე ქართლსა შინა.

266. შერგილაშვილი

შერგილ იყო ლეკთა მთავარი და იმათი გვარის კაცნი არიან მოხელენი და იწოდებიან ორგვარად: პირველნი შერგილაშვილებად და მეორენი შერგინის შვილებად.

267. გაბილაშვილი

გაბილ, ანუ ზაბილ იყო ასული ლეონ III სომეხთა მეფისა, ამან აღზარდა ობოლი ვინმე ყრმა და უწოდა გაბილა შვილად. მის გამო მიიღეს აზნაურობა და მათ შთამომავალს ეწოდა გაბილაშვილობა. ესენი მოვიდნენ წელსა თურქთა დაპყრობისასა დიდისა სომხითისასა.

268. დივანაშვილები

არიან გვარით დვიანთის გვარისა თუმანის შვილებთაგანი, გილანიდამ იწოდებიან. ამათმა გვარმა პირველმა განითვისა თუმანიშვილობა და შემდეგ დივანიშვილობა.



269. ქაოზისძე

ქარაფუს არის სოფელი სომეხთა სამეფოსა შინა ტუსკისა კერძოდ და მუნიდგან მოვიდა ქაოს ვინმე სომეხი, მიიღეს აზნაურად და იწოდებიან მუნიდგან ქაოზის შვილებად.

270. კოჭი ბროლაშვილი

ესენი არიან იმერეთილამ მოსულნი.

271. ელიოზის შვილი

(იხილე ზემორე).

თავადის სომეხთ მელიქის ადგილთა
შინა აზნაურნი

272. აბაზაშვილი.


აბაზ იყო სპასპეტი სომეხთა მეფისა, ყარსსა შინა დადგინებული 984 წ. და ჟამსა თურქთა დაპყრობისასა მოვიდნენ მცირესა სომხითსა შინა და მუნიდგან იწოდებიან აბაზის შვილებად იმა აბაზისა შთამომავლობანი.

273. არდაშელის შვილი

არტაშერ სომეხთა თავადი იყო კეისრის კარზედ 545 წ. ჯარში მოსა მსახურე. ამათნი გვარნი მოვიდნენ სომხითსა შინა და დაეშენნენ და მუნიდგან იწოდებიან არდაშერის შვილებად.

274. ყარაასანაშვილი

ყარა ასან იყო თურქთაგანი ალაღარი ძველად დაშთომილი. ესენი და შთნენ ჟამთა თურქთა განდევნისა სომხითით და ამისნი გვარნი იწოდებიან ყარა ასანის შვილებად მამეულთ სახელისა გამო და არიან აზნაურნი.



275. ისაშვილი

ისა, ანუ ისაია არიან ავღანელნი ძველად თავადნი წელსა 855. მიღე-
ულ არიან აზნაურად საქართველოს მეფისაგან, ესენი დაშთნენ დროსა
ხელასასა, სპარსთა მთავრისასა.

საავალიშვილო აზნაურნი

276. ლაპინაშვილი

არის ადგილი ლუბინი საშუალ ალვანისა და ლეკთა და მუნიდგან
არიან მოსულნი და ლაპინასშვილს უწოდებენ შთამომავლობათა მათთა.
ხოლო რომელნიმე მათ გვართა ლოპინის შვილად უხმობენ. ესენი არიან
დროსა მეფისა გიორგისასა ქართლსა შინა მოსრულნი და ადგილისა გამო
აიგვარეს ესე.

277. აჯიას შვილი

ესენი არიან ძველადგანვე თათართ გვარისა აჯიას შვილნი, ახალციხი-
დან მოსულნი ხეობასა შინა და მონათლულნი მუნ.

278. სანთლის-კუდაშვილი

არიან ძველადვე ხეობის აზნაურნი.

279. ლომიძე

არიან იმერეთის აზნაურნი, მათი სახლის კაცი მოსულა ქართლსა შინა.

280. კეცხოველი

არის ადგილი კეცხეტი. მუნებურნი არიან და ადგილისა გამო მიიღეს
ვარი ესე.

281. ედიშერის შვილი

არიან ედისიდგან მოსულნი ხეობასა შინა ძველადვე აზნაურნი.

კახეთის სამეფო აზნაურნი

282. ნათანის შვილი

(იხილე ზემორე ნათიშვილი).

283. პეტრიაშვილი

იყო ვანის მხრიდგან, მხნე და ძლიერი მეომარი დედის ძმა გულვასილისა და წარჩინებული კაცი, რომელმანც მრავალგზით ავნო სპარსა მხედრობასა ქურდულის ზედსახითა და ამათნი გვარნი დაშთნენ კახეთსა შინა წელსა 1108, მიიღეს აზნაურობა პეტრიაშვილობისა სახელისა გამო მამუღლთა მისთა და მუნიდგან ცხოვრებენ კახეთსა შინა.

284. ყოდალაშვილი

ყოდავით არის ქვეყანა, ანუ ყოდალით თათრის ენითა. ესე ადგილი არის ერევნის მხარეს, რომელიც იყო სანადირო ადგილი სომეხთ მეფისა და ყოდალელს ვისმე ებარა ესე ადგილი. იმა ადგილთა ზედამხედი წელსა 368-სა არშაკ მეფისა დროსა. ამათნი გვარნი შემდგომად სომეხთა მეფისა მოვიდნენ კახეთსა და მიიღო მეფემან აზნაურად ყოდალაშვილად.

285. კობიაშვილი

ყუბილახან იყო თათართა უფროსი დროსა დაპყრობისა თათართაგან კახეთისა და, ოდეს ასწყვიტეს კახთა, ამისი ყუბილახანის ნათესავი ვინმე დაშთა და მოინათლა და მიიღეს მეფეთა აზნაურად 1253 წ. და იწოდებოდნენ კობიაშვილებად.



286. ნაცვლის შვილი

(იხილე ზემორე).

287. გილდა შვილი

გინდ, ანუ გილდ იყო ეპისკოპოზი კილიკიის მხარესა. ესე იყო ზედა-მღები ობოლთა 365 წ. ოდეს დაიპყრეს თათართა ესე ადგილნი, ამათნი გვარნი იწოდებოდნენ გინდაშვილებად და მოვიდნენ კახეთსა, მეფემან მიიღო აზნაურად და მას აქეთ იწოდებიან გილდაშვილებად.

288. გიჟიყრელი


გადიშე მალხაზის შვილი ზურხუნელი წ. 450 იყვნენ სომეხთა თავადნი მამიკუნთანთაგან. ესენი მოვიდნენ ჟამთა თათართა დაპყრობისა სომხითისასა გიშყარს და მერე დაეშენნენ კახეთსა და მიღებულ იქმენ მეფესაგან აზნაურად და იწოდებიან გიჟიყრელად ადგილისა გამო.

289. გარაყანიძე

გარნიკ შვილის-შვილი იყო გულამისა დიდსა სომხითსა შინა წ. 2140-სა და 3300. ესენი დია ძველად მოვიდნენ, ორ სახლად გაყოფილნი, და იწოდებოდნენ ბარნიკაშვილებად. პირველნი სახლობდნენ ჭანსა ცხრა მძასა ზედა და პატრონობდნენ ადგილსა მასსა. ხოლო მეორენი იდგნენ გარდანისა (გლდანისა) მხარეს, აწ ზემო ავჭალად წოდებულსა, პირველნი არიან აწ ლამის ყანის სოფლისა პატრონნი, ერისთავთაგან დამდაბლებულნი, ხოლო მეორენი აწ ცხოვრობენ ზემო ავჭალას.

290. მიწობლიძე

ბაიაზეთის მხარეს იყო მონასტერი, მეწობად წოდებული, რომელიც ითარგმნების დიდის იობის მონასტერად. ხოლო მუნ იყო თომა ვინმე წინამძღვარი მეცნიერი, წიგნთა მთარგმნელი, გვართ თავადი და ამის გვარნი მოვიდნენ არშაკუნთანთა დროს და იწოდნენ მიწობლიძედ და იყვნენ



მთავრად კლდის კარისა ქართლსა შინა და მუნ მიღებულ იქმნენ აზნაურად, მიწობლიძედ წოდებულნი.

291. გველეხიანი

ესენი არიან გველათელნი. პირველ იმერეთს მოვიდნენ და მერე კახეთსა, მეფის თეიმურაზის დროს.

292. მაჭავარიანი

(იხილე ზემორე).

შენიშვნა. მაჭარაკაძურ აღგილი არის ყარაბაღის მხარეს ვაიციურსა შინა და ესენი არიან მუნიდგან მოსულნი, რომელნიმე იმერეთს და რომელნიმე ქართლსა 1371 წ.

293. აზაურაშვილი

ალანუზან, ანუ აზარან იყო სპარსთა მხედარი 349 წ. და სარდალი შაბურისა სპარსთა მეფისა. ამათნი გვარნი დაშთენ კახეთსა შინა და მეფემან მიიღო აზნაურთა რიცხვთა შინა აზაურაშვილებად.

294. ბახუტაშვილი

ბახტინ იყო სომეხთა მოხელე ათასის თავი, გვარით ფრანგი, რომელიც სცხოვრებდა ყარაბაღსა შინა. ამათნი გვარნი მოვიდნენ კახეთსა შინა. მეფემან მიიღო აზნაურად და მუნიდგან იწოდებიან ბახტინიშვილები ბახუტაშვილებად.

295. თუშმალიშვილი

იყო მოხელე მზარეულთა, შემდეგი ნაზირისა და მეფემან თეიმურაზმან გაუგვარა სახელი თუშმალის შვილობა და ირიცხებიან აზნაურთ რიცხვში.



296. გოგნიაშვილი

გოგინ იყო ძმა მიწობლიძისა, მეღვინე მეფისა 1430 წ. და ამათმა შვილმა გაიგვარა გოგნიაშვილობა.

297. სულხანისშვილი

სულხარა არის მონასტრის სახელი დიდსა სომხითსა შინა და მუნებურისა ადგილიდამ მოვიდნენ სომეხთა აზნაურნი სულხარელნი და ქართულის სახელით სულხან სულხანიშვილობი გაიგვარეს 1391 წ.

298. მეღვინეთხუცესისშვილი

(იხილე ზემორე).

299. მგალობლისშვილი

ესენი არიან მაყანთ გვარნი, რომელნიც იყვნენ პირველ მგალობელნი მეფისა სახლისანი და აგრეთვე ალავერდისაცა. ამისა გამო მგალობლის შვილობა გაუგვარდათ მათ მგალობლობისა გამო.

300. ენდრონიკაშვილი

ესენი არიან ენდრონიკანთაგან დაშთომილნი აზნაურნი (იხილე თავადი ენდრონიკაშვილი).

301. აბელიშვილი

აბელა იყო ფარეშთა მოხელეთაგანი ზედამღეგი და ნაიბი ფარეშთ ხუცისა დროსა ვალარშაკ მეფისა არშაკუნთანთასა 3859 წ. და ამათ გვართა მიიღეს აბელის შვილობა მოვიდნენ შემდგომად თათართ დაპყრობისა სომეხთ სამეფოსა 5518 წ. და დაეშენნენ ალავერდს, კახეთსა შინა. გაუგვარდათ აბელიშვილობა და არიან რიცხვთა შინა აზნაურთასა.



301. თანიშვილი

ესენი არიან შორს განაყოფნი ფანიაშვილებისა და იწოდებიან თანი-
აშვილებად. ესე სახელი მიიღეს თათართაგან: თაან ტანოვანს ეწოდება და
მის გამო გაუგვარდათ ესე.

302. იორამის შვილი

ესენი არიან გვარით ბერძენნი იორის შვილები, მოსრულნი ძველადვე
საბერძნეთით და მუნიდგან იწოდებიან იორამიშვილებად, აზნაურად მიღე-
ბულნი.

303 უძნაძე

(იხილე ზემორე).

304. ჯაფარიძე

(იხილე ზემორე).

305. ნაცვლის შვილი

(იხილე ზემორე).

306. ზალდასტანის შვილი

ესენი არიან გვარით სპარსნი. ზალდასტან სახელია და მუნიდგან გა-
იგვარეს ზალდასტანის შვილობა.

307. ხირსელაშვილი

ხირსადგან არიან ქიზიყისვე ადგილად ხირსელნი და ამის გამო გაუგვარ-
დათ ხირსელაშვილობა.



308. ბოსტაშვილები

არიან ძველად კალმუხთაგან დაშთომილნი. ლომის გამო გაიგვარეს ბოსტაშვილობა.

309. ასასაშვილი

ასით იყო ძველად ბერძენთა მხედარი და ამათნი გვარნი მიხაილანი და-
შთნენ საქართველოსა შინა დროსა ბერძენთა მეფისასა მონამოხისასა
1403 წ. და მუნიდგან მიიღეს ასასაშვილობა გვარად და ირიცხებიან
აზნაურად.

310. გომელისშვილი

არიან გვარით ელიოზაშვილებისგან და მუნიდგან არიან მოსულნი გო-
მიდგან და იწოდნენ გომელის შვილებად, რადგანაც გომელს უწოდნენ
მოსულსა.

311. ესიტაშვილი

ესეცა ასასაშვილთაგან არიან, ძველად ასიტ ბერძენთ მეფეთა მხედა-
რთაგანი იყო.

312. ოზაიაშვილი ანუ ოზაშვილი

ესენი არიან გვარით ოზბეგიშვილები, ხვარასნიდამ მოსულნი, რომე-
ლიც იყო ოზ ალა და მუნიდგან მიიღეს ოზაშვილობა.

313. ალაშვილი

ალა ტერტერ იყო ნახჩევნის ქვეყანაში და დროსა შააბაზისასა მოვი-
დნენ კახეთსა შინა, ოდეს შააბაზ აჰყარა მუნიდგან სომეხნი და ესე იყო
მდიდარი და კაი კაცი და მეფემან დაასახლა 1604 წ. და მის შვილებს
უწოდებენ ალაშვილებად და მიღებულ იყო მეფისაგან აზნაურადვე.



314. ყავრიშვილი

ყარინ არის აზრუმის ქვეყანა და მუნიდგან არიან მოსულნი და ყარინი-დგან მოსულთა მიიღეს ყავრიშვილობა.

315. მიქელაშვილი

316. ტარიელაშვილი

იხილე ზემორე. ესენი სახლი კაცნი არიან საამილახვროს ტარიელაშვი-ლებისა.

იმერეთის თავადნი და აზნაურნი

317. წერეთელი


არიან გვართი მონათესავენი წადარის ბეგისა დალისტანს, რომელიცა ჰფლობდა წადაარს და სხვათა მახლობელთა მისთა. ოდეს მოვიდა ლანგ თემურ და აიძულა მუნებურთა გამაჰმადიანება ამით დაუტევეს ადგილი თვისი და მოვიდნენ ჩერქეზს და მუნიდგან გადმოვიდნენ იმერეთს მეფის ბაგრატის დროს 1395 წ. და მან მიიღო პატივით, მისცა საჩხერე და უწოდა თავადად და აწცა არიან მუნ ჟამიდგან აქამომდე, გიორგი მეფის დროს 1709 წ. შეიქმნენ უმეტეს წარჩინებულნი.

318. წულუკიძე

გიორგი მეფის დროს თავადნი 1605 წ.

319. აბაშიძე

მურვან ყრუ რო მოვიდა, მაშინ დარჩა აბაშური ბეგის შვილი, რომე-ლიცა აღზარდა არჩილ მეფემან და უბოძა ჭალა და თავადობა. სხვანიცა



ამისა სახლნი დარჩნენ მრავალნი და ესენიცა მუნ დაასახლა, რომელნიც არიან აზნაურად, ისევ აბაშიძეებად წოდებულნი 668 წ.

320. ჩხეიძე

თავადნი გამოჩენილნი თეიმურაზ და როსტომის დროს 1636 წ. ბაგრატ მეფემ 1535 წ. შოშიტა ჩხეიძე დასვა რაჭის ერისთავად.

321. მიქელაძე

ვაკის თავადი 1690 წ. მიქელ მთავარი იყო მოსახლე ვანისა და აზრუმის საშუალ ადგილისა ტარონსა შინა. ესე მიქელ მსახურებდა ალექსი კენისარსა, რომელსა მისცა დაი თვისი ცოლად და ამათგან იშვნენ ორნი ძენი: გრიგოლ და იოანე, რომელნიც იწოდებოდნენ პროსებესტოდ 1085 წ. მერედ შემდგომ თურქთაგან დაპყრობისა ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემან მიქელაძეებად თავადებათ, მათნი მდაბალნი სახლის კაცნი მიქელაშვილებად, აზნაურად. პირველნი ცხოვრობენ იმერეთს, მეორენი ქართლსა.

322. ფხეიძე

არიან სალიპარტიანნი, ორბელიანთა ნათესავი (იხილე ორბელიანი. იმათი დროინდელნი არიან).

323. ჭილაძენი

ჭიხთაგ, ანუ ჭიხბაგ არის ადგილისა გამო, რომელიცა არის ალვანის მხარეს ლეკთა და არის ეგე გვარი შერაცხილი აზნაურად და თავადად მეფისა თამარის დროს, გარნა თავადნი არვინლა არიან გვარნი მისნი.

324. ჟიჟავაძე

ესენი იწოდნენ ჟიჟავის ადგილისა გამო გურიისა კერძოდ.



325. ნიქარაძე

არიან სპარსთაგან ნიქადის შვილნი, რომელნიცა დაშთნენ იმერეთს და მის გამო იწოდებიან ნიქარაძედ.

326. ლორთქიფანიძე

ლორიქან არის ციხე მხარესა მცირის აღბაქისასა, რომელ არს საღმასის კერძოდ და მუნებურნი მეციხოვნენი მოვიდნენ დროსა გიორგი მეფისასა 1656წ. და ამის გამო მიიღეს სახელად ლორიქანის მაგიერ ლორთქიფანიძეობა.

327. აგიაშვილი

არიან მასხარაშვილები ძველად.

328. იაშვილი

329. ავალიშვილი

330. მაჩაბელი

331. ჯაფარიძე

332. მიქაძე

არის ადგილიდამ არარატისა, ეწოდება ნიქა და ამისგანნი მოვიდნენ და იწოდნენ მიქაძედ 1042 წ.



333. მდივანბეგის შვილნი

არიან ახალნი აზნაურნი კვინიხიძეები.

334. მდივნის შვილები

არიან გვართ მდივნისაგან რაჭისა.

335. მესხი შვილი

არის მესხეთილამ მოსულნი ახალციხის მხრიდგან და არიან ძველად გვართ ამილახვრიანნი.

336. თაყა შვილნი

არიან გვარად ბარათიანი და რომელნიმე ჯაფარიძეები.

337. მაჭავარიანი

(იხილე ზემორე №287).

338. აბულაძე

(იხილე ზემორე აბულაჯ).

339. ჯღერია შვილი

არის ძღვანელნი სოფლიდამ მხარესა კაძელანისასა, მუნიდგან მოსულნი და იწოდნენ ჯღერია შვილად. ესე ადგილი არს ყარსის მხარე, შარაქად წოდებული და იყო მუნ მეუფროსედ ჯღერან ვინმე გვარისა ყირგიზთაგან და ამის გამო იწოდნენ ჯღერია შვილებად 533 წელსა.



340. ფინუზის შვილი

341. კუხნიტა შვილი

კუხტ არის სამზღვარი ახალციხისა პარზარის მთის კერძოდ და მუნი-
დგან არის მოსულნი ძველად და მიიღეს გვარად კუხნიტელობა და იწოდე-
ბიან მუნიდგან კუხნიტაშვილებად წელსა 629-სა.

342. ჩიკოიძე

იხილე ზემორე.

343. ღოღობერიძე

ღუბილხან, ანუ ღუღილხან იყო თათარი წელსა 1253 და ამით გვარნი
დაშთნენ იმერეთსა შინა და მიიღეს ღოღობერიძეობა სახელისა გამო მა-
თისა.

344. ინასარიძენი

ინანუს იყო სომეხთა მეფეთა თანამხლებელი ბაგრატიონთა გვარისა,
თავადად მიღებული 3984-5183 წელსა და ამათნი გვარნი მოვიდნენ იმე-
რეთს და იწოდნენ ინასიძეებად.

345. ლაშის შვილი

მეფემან ლაშა გიორგიმ აღზარდა ობოლი ვინმე აზნაურთაგანი და
უწოდდა ლაშის შვილად.



346. გამყრელიძე

347. ხეიძე

348. იაშვილი

349. კახიძე

კახაბერის გვარიდგან არიან.

350. კიკნაძე

კიკირონ მოშიარე მეცნიერი იყო წელსა 5137 და ამათნი გვარნი დროსა ბერძენთ მეფისასა მოვიდნენ ჰომპიოსთან და დაეშენნენ იმერეთს და მის გამო დაშინენ იმერეთს, გამრავლდა მათი გვარი და იწოდებიან კიკნაძეებად.

351. გლუჯიძე

(იხილე სააკაძენი).

352. გოცირიძე

გონთარიძეები, ესენი იყვნენ ძველად მხედარნი ბერძენთა, ამათ უმუხანათეს ბერძენთ მეფესა და მოვიდნენ გამოქცეულნი იმერეთს; მუნ შეიწყნარეს აზნაურად და დაეშენნენ 545 წ.

353. სვანაძე

არიან სვანეთის აზნაურნი მუნიდგან გადმოსულნი სვანის ძედ წოდებულნი.



354. კირმალაძე

კირმანოელის მსახურთაგანი მოვიდნენ საბერძნეთიდან 1144 წ. და კირმანოელის სახელისა გამო მიიღეს კირმალაძეობა.

355. აბღუშერის შვილი

აბღიშურ იყო ზედამდეგი ედესიისა ქალაქისა მოხელე წელსა 33. და ამათნი გვარნი მოვიდნენ დროსა თურქთა დაპყრობისასა სომხითისა და იწოდნენ აზნაურად აბღუშერის შვილებად.

356. თევდორა შვილი

თეოდორ რუსტუმელი იყო მხედართ მძღვანი სომეხთა 625 წ. ამათნი გვარნი მოვიდნენ დროსა თურქთა განძლიერებისასა და იწოდნენ თეოდორას შვილებად.

357. კოჭიბროლა შვილი

358. ბაქრაძე

359. ჭილა შვილი

360. თაყა შვილი

ფანასკენტელნი აზნაურნი.

361. კობახიძე

არიან ერევნის ადგილიდამ მოსულნი კულმაფურიდამ იმერეთს, იმერეთი
დამ ქართლს. მოვიდნენ იმერეთს 902 წ. და შერაცხილ იქმენ აზნა-
ურად.

362. ბოჭორაშვილი

არიან ბოჭორმიდგან კახეთით იმერეთს გადმოსახლებულნი და ადგი-
ლისა გამო გაუგვარდათ ბოჭორაშვილობა.

363. კვიციანი

კატუკ ქალაქია კილიკიის კერძო და მუნიდგან მოვიდნენ წ. 1288
აზნაურთა გვარნი და იწოდებიან კვიციანელებად ადგილისა გამო.

364. ბულაშვილი

თათართაგან და შთომილნი არიან. ესენიც ჯაფარიძეს გვარნი არიან.

365. სავანელი

იხილე ზემორე.

366. გომართელი

არიან ორნი გომართიდგან მოსულნი.

367. გძილიძე

368. მომცემლიძე

369. კვინიხიძე

ოდის თავადნი

1. დადიანი მთავარი.


2. დადიანის ბიძები და ბიძისშვილები

3. ფაღავა

